ლიტერატურული გაზეთი

№16 (344) 1 - 14 სექტემბერი 2023 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

დათო მაღრაძე

რეისი პარიზი-თბილისი

საწერმა მაგიდამ მსურს, რომ იკანკელოს,
უბრალო სიტყვები ლექსად რომ ვაქციო...
სამელნის ბარძიმთან რომ დასცდეს ანგელოსს:
— აქსიოს!
ჩემს საწარ მაგიდას, ნამგზავრმა, მინდა, რო
გავანდო სათქმელის ახალი იარა,
მხრებიდან მოვიხსნა ადამის მუნდირი,
რომ ვაშლით აშლილი,
სიტყვით ვეზიარო.
რადგანაც ქაოსი, გარეშე ლირიკის,
მოედო ქუჩებს და
მოედო ეზოებს,
ვხედავ, დაუკარგავს პოდიუმს ბილიკი,
შიშველი მკერდი რომ მიმოაქვს თეძოებს.

ახალი სათქმელი სალექსოდ მაქეზებს
და ჭიქას ჭიქაზე ვაყოლებ ჯიუტად,
თუმცაღა ინტრიგა არ ახლავს ტრაპეზებს,
თუ სუფრას აკლია
ქრისტე, ან იუდა.
ღმერთი თუ არ გწყალობს, მაშ კარგად მეყოლე...
სჯობს, ისევ ვისკით რომ მიადგე მეგობარს,
ნაგავში იპოვის მუნდირის ეპოლეტს
ვინმე და იტყვის, რომ:
— გათავდა ეპოქა!
...მაგრამ თუ ახალი სათქმელით ნიავქარს
დავუხვდი კაცურად,
ვილოცავ: — ო, ნეტავ...
დაღლილი სხეულის მხნეობა მიაგავს
ჯიბეში გულდასმით მოძებნილ მონეტას.

პროგრესის მამებმა ახალი ილეთით
თუ ხსოვნის არქივთან გაწყვიტეს სადენი,
მიშველის მემორის ავიაბილეთი, —
პრუსტის ორცხობილა,
სახელად მადლენი.
მორალურ ქაოსის გრიგალი სადაურ
შებერვას მაუწყებს... დავეძებ საწვიმარს,
მიცხადებს მკითხველი, შევიბამ სამკლაურს,
რეპრესირებული ლექსების სამძიმარს.
სკოლიდან გარიცხულ სტრიქონებს ვზეპირობ,
მამულის,
ენის და
სანთელის ნარატივს...
და სიკვდილს ვუწოდებ პროლოგის ეპილოგს,
რომლითაც ცხოვრება იწყება მარადი.
როდესაც გავყურებ ჰორიზონტს... ცას ზღვა რო
ერთვის და მახარებს
სამყაროს შვილობა,
მაშფოთებს ქვეყნების გამყოფი საზღვარი,
ძლივსმოშუშებული სადავო ჭრილობა.
განგაში დაეტყო დასავლურ საიტებს,
საბანკო დროშაზე ელავს იუანი...
ცვლის იუნაითედს იუანაითედ
შტატებად და ამას მოწმობს იოანე.
თითქოს საფრანგეთიც გაიქცა პარიზის
ქუჩიდან, დატოვა პარიზი პარეზით...
მე, ჩემი ქუჩების მყოფნის ასპარეზი,
ვისაც გსურთ, მიხილავთ
მტკვრის სანაპიროზე.

— დავლიოთ! — ღალატით ნატკენი ათოსი
მეტყვის და ნათდება ღვთისმშობლის ტაძარი...
პარიზი თბილისში გადარჩა... პათოსი
არ გახლავთ, ჭორია ნოტრდამის ხანძარიც...
...პოდიუმს ეძებენ ყოფილი ჩარჩები:
— ჩვენ აქეთ გვეგონა,
— ვაი და იქ თუა?..
მე მამადავითის ერთგული დავრჩები,
როგორც რომ სეზანი ერთგულებს ვიქტუარს.
უფალმა განსაჯოს, ვის ორმო, ვის პარნა-
სი ელის სათქმელის ახალი ეტაპით...
და ქუსლით გავსინჯავ სცენაზე ფიცარნაგს,
როგორც გალილეის ლურჯი ზღვის ზედაპირს.

IV

ქეთევან ნათელაძე

აკოცე ბაყაყს

გხვევდა ბურუსში მოცახცახე ხეების ლანდი,
გარს რომ უვლიდი საშიშ ჭაობს, მღვრიეს და ლეგას,
იქნებ ვერაფერს ვეღარ იგრძნობ ამაზე ნამდვილს,
დროებით ვცხოვრობთ, არაფერი არ რჩება ჩვენგან.

წარმოიდგინე მილიონჯერ, რომ კოცნი ბაყაყს,
ყველა ოცნებამ დაე ერთ დღეს დაკარგოს სახე,
რომ ხუჭავ თვალებს, მის ლურჯ სხეულს, დახორკლილ სხეულს,
თეთრ ხელებს ახებ და ვარდისფერ ბაგეებს ახებ.

ილუზიისთვის აშენებულ ჯებირებს ჰგავდა
შენი ზღაპრის და რეალობის გამყოფი ღობე,
ამ მყრალ ჭაობში უფლისწულებს რა უნდათ ანდაც,
განა არ იცი? ჭაობები ბაყაყებს შობენ.

აკოცე ბაყაყს, გაექეცი ზიზღსა და შიშებს,
ეჭვსა და ყოყმანს და ასობით უსაგნო სურვილს,
აკოცე ბაყაყს, შენს ცრემლებში ხელახლა იშვი,
და დაკარგული დაუბრუნე სამყაროს სული...

დროებითია ყველაფერი, მას რისიც გჯერა,
ჩამოშლის დრო და დაშაშრული გვალვისგან სივრცე,
აკოცე ბაყაყს და უცადე სხვანაირ სცენარს,
აკოცე ბაყაყს, იმისთვის, რომ ბაყაყად იქცე.

V

პაატა ნაცვლიშვილი

ჟორჟეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად

დასაწყისი N341-343

გოდეგა

რუსუდან ნიკოლაძემ თავისი ძმის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ტრაგიკული ამბები დაწვრილებით აღწერა თავის ჯერ გამოუქვეყნებელ დღიურში, რომელიც საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკაშია დაცული. ეს არის დის მოთქმა ძმაზე, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთგვარი შეფასება და ამავე დროს ეს არის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამ ამბების შესახებ, რომლებიც აქამდე მეტ-ნაკლებად დაფარული იყო საზოგადოებისათვის. რუსუდან ნიკოლაძეს დღიურში ჩაუწებებია სურათები და გაზეთების ამონაჭრები, რომელიც მის თხრობას კიდევ უფრო ამძაფრებს თუ ერთგვარ რელიეფურ იერს აძლევს. რუსუდან ნიკოლაძემ ასეთი დღიური, თუმცა მოცულობით გაცილების ნაკლები, მამამისის — ნიკო ნიკოლაძის დაკრძალვაზეც შემოგვინახა და მე იგი ცალკე წიგნადაც გამოვეცი 2004 წელს სათაურით: „ნიკო ნიკოლაძის სიკვდილი და დასაფლავება“.

რუსუდან ნიკოლაძის ამ „ახალ“ წიგნს, რომელსაც „გიორგი ნიკოლაძის სიკვდილი და დასაფლავება“ შეიძლება ვუწოდოთ, ჯერ კიდევ ელის სრული სახით გამოქვეყნებას, თავისი შენიშვნებითა და წინასიტყვაობით. აქ კი, შევეცდები, რამდენად ეს ჩემი ჩანაფიქრი ამის საშუალებას მოგვცემს, ჟორჟეტასთან დაკავშირებული მისი მთავარი მომენტები და მისი ტრაგიკული სულისკვეთება წარმოვაჩინოთ.

1929 წლის 27 აგვისტოს თეთნულდზე გიორგი ნიკოლაძის თვალწინ დაიღუპნენ ასვლის ორი დანარჩენი წევრი — ყოფილი მეზღვაური და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი პიმენ დვალი, 45 წლისა, და ქართული ალპინიზმის ვარსკვლავი, გიორგი ნიკოლაძის იალბუზის ასვლის მონაწილე სიმონ ჯაფარიძე, 30 წლისა. ერთი კვირის მერე ბაკურიანიდან თბილისს მომავალი რკინიგზის სადგურში გარდაიცვალა ქართული მათემატიკური სკოლის დამფუძნებელი ანდრია რაზმაძე, 40 წლისა. ერთი წლის მერე 1930 წლის სექტემბერში სვანეთის ავტომაგისტრალის გაყვანის დროს დაიღუპა გიორგი ნიკოლაძისა მყინვარწვერისა და იალბუზის ექსპედიციების მონაწილე ატო აღნიაშვილი, 25 წლისა.

ამ უდროო სიკვდილთა წყებამ მთლიანად ჩამოშალა გიორგი ნიკოლაძის სამომავლო გალავანი, მან კიდევ უფრო მარტოსულად იგრძნო თავი, ვიდრე იუზოვკაში, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები იყო მისი სულის ერთგვარი მესაიდუმლე და როცა საკუთარ ლექსებსაც ბარათაშვილის განწყობით წერდა.

გიორგი ნიკოლაძეს 1910 წლიდან თან ჰქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების და წერილების კრებული, მისი მე-7 გამოცემა, რომელიც სწორედ 1910 წელს გამოვიდა.

აი, რას წერს გიორგი ნიკოლაძის მეგობარი ალექსანდრე სიგუა თავის წიგნში „ულმრთო იყო შენი სიკვდილი“:

: მე არაერთხელ მინახავს გიორგი ნიკოლაძის ხელში ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებული, 1910 წელს „ცოდნის“ მიერ გამოცემული, რომელსაც დართული აქვს დ. კარიჭაშვილის წერილი „ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია“, ილია ჭავჭავაძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და ივანე გომართელის წერილი „ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია“. ნ. ბარათაშვილის ეს ლექსთა კრებული, ლამაზ ყდაში ჩასმული, გიორგის სამსახურში დაჰქონდა ხოლმე. იგი ისე იყო შეყვარებული ბარათაშვილის პოეზიაზე, რომ საუბრის დროს ხშირად ჩაურთავდა ხოლმე პოეტის სტრიქონებს და ამის უფრო მეტ შინაარსსა და დამაჯერებლობას ანიჭებდა თავის მსჯელობას, თავის ნათქვამს. სამეცნიერო ასპარეზზე და ფართო საზოგადოებაში სახელმოხვეჭილი გიორგი ბარათაშვილის ლექსებს დიდი განცდით ზეპირად ამბობდა. ეს ვაჟკაცი, როდესაც ლექსს კითხულობდა, თრთოდა და ცახცახებდა. მის სევდისმომგვრელ და თავისებურ პოეტურ ხმას აღტაცებაში მოჰყავდა დედა-მამა და მისი მამიდაშვილი ბესო ჭიჭინაძე.

როგორც რუსუდანმა მიამბო, გიორგი აპირებდა თურმე ნიკოლოზ ბარათაშვილზე მონოგრაფიის დაწერას და როცა ეს დედ-მამას უამბო, ძალიან მოუწონეს... :

ბარათაშვილის ეს წიგნი, რომელსაც გიორგი ნიკოლაძე მთელი ოცი წელი თან ატარებდა, რუსუდან ნიკოლაძემ ალექსანდრე სიგუას გადასცა, ხოლო ალექსანდრე სიგუამ ნიკოლაძეებთან დაკავშირებულ არაერთ ხელნაწერთან თუ ფოტოსურათებთან ერთად მე გადმომცა. დღეს ეს ყველაფერი პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმშია დაცული.

ვინ იცის, რამდენჯერ გადამითვალიერებია ეს წიგნი, გიორგი ნიკოლაძის ხაზგასმებით დამშვენებული.

აი, ერთი ასეთი ხაზგასმული ადგილი:

: მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,

რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს! :

გიორგი ნიკოლაძემ, თუმცა თავისი მარტოსულობისა და საქართველოს მძიმე მდგომარეობის გამო მუდმივად შეჭირვებული და მუდმივად ქვეყანაზე მოფიქრალი, „მზიანი დილის“ გათენებისთვის ემზადებოდა და მთელ თავის ძალისხმევას ამისთვის ხარჯავდა და ემეტებოდა. დისერტაცია მან 40 წლის ასაკში დაიცვა. როგორც ჩანს, იგი ხანგრძლივი ცხოვრებისათვის ემზადებოდა, დაახლოებით ისეთისთვის, მამამის რომ არგუნა ღმერთმა. როგორც ჩანს, საამისოდ გენეტიკაც ხელს უწყობდა — აკი მისმა დამ რუსუდანმა მამაზე 15 წლით მეტი იცოცხლა და 96 წლისა გარდაიცვალა 1981 წელს. გენეტიკა აქ არაფერ შუაშია, მაგრამ ჟორჟეტამაც 78 წელი იცოცხლა.

ვინც ასე თუ ისე იცნობს გიორგი ნიკოლაძის ბიოგრაფიას, მისთვის ძნელი არ უნდა იყოს წარმოიდგინოს, რამდენს შეძლებდა იგი, მართლა რომ დასცლოდა.

მაგრამ გიორგი ნიკოლაძე, ისევე როგორც მისი საყვარელი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ისევე როგორც მისი კოლეგა და მეგობარი ანდრია რაზმაძე, ისევე როგორც მისი ალპინისტი მეგობრები — სიმონ ჯაფარიძე, პიმენ დვალი და ატო აღნიაშვილი ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა.

რუსუდან ნიკოლაძე გიორგისადმი მიძღვნილ თავის დღიურში წერს.

: დღეს, ამ დილით, მომიხდა გიორგის ქარხანაში წასვლა, მომიხდა უიმისოდ ყოფნა იქ, სადაც სული და გული, მასპინძელი და მომვლელი გიორგი იყო. მომიხდა ამ მშვენიერ, მზიან, ლურჯციან დღეს მისვლა იქ, იმ ღუმელთან, იმ ალთან, იმ ცეცხლთან, რომელიც გიორგიმ „დაანთო“ პირველად საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში. მისი საყვარელი „ეალი“, ელექტროალი, რომელმაც ის ასე მტარვალად, ასე უეცრად დაგვიწვა, ხელიდან გამოგვგლიჯა, იმსხვერპლა. მძულდა ეს ალი და თან როგორ მიყვარდა. ვუახლოვდებოდი ამ ალს და მთელ იმ ღატაკ, თითქოს ნანგრევ „უმწეო“ შენობას, „ქოხ-ქარხანას“, როგორც მე მას ზაფხულში ვუწოდე, და რასაც გიორგის სიცილი მოჰყვა.

ღმერთო, რა ცარიელად მომეჩვენა დღეს მთელი ქვეყანა, როცა არსად, არსად არ დაგვხვდა, აღარ იყო ის, რომელიც იყო აქ ყველაფერი... ყველაფერი და ისეთი მხიარული, ისეთი სტუმართმოყვარე მასპინძელი!..

20 იანვარს უნდა დაეწყოთ ის საბედისწერო ახალი მუშაობა ჩამოსულ „სტუმრებს“ — მადნის და მასალის გამოცდა ჩვენს „ქოხ-ღუმელში“...

18 იანვარს უნდა დაედგათ პირველად „კარმენი“ ქართულ ენაზე, როგორც სწორედ 25 წლის წინ, 1906 წლის იანვარში დაიდგა პირველად „დემონი“ ქართულად, დათა გედევანიშვილის მონაწილეობით (დემონის როლში). მე მაშინ მე-II კურსის სტუდენტი ვიყავი, საახალწლოდ შინ ჩამოსული და ერთად ვიყავით ყველანი ამ ქართულ ოპერაზე. ახლაც ყველა მიდიოდა ჩვენიანი (ჩემ და დედას გარდა) — გიორგი აბა როგორ გამოტოვებდა ასეთ მოვლენას. მისთვის მიუღებელი იყო, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენმა ოპერამ ვერ გააქართულა ვერც ერთი ევროპიული ოპერა.

18 იანვარს პრემიერა ვერ შესდგა, ვერ მოესწრო და 20-სთვის გადაიდო, როცა გიორგის შუაღამეზე „რუსების“ ცდები ეწყობოდა დიდუბეში, ღუმელის გაშვება ახალი მასალით. გადაწყდა რომ გიორგი ჯერ ოპერაში წავიდოდა, შემდეგ, იქიდან პირდაპირ ღუმელზე, ქარხანაში.

ზამთარი ცივი იყო, თოვლიანი და საოცრად უმზეო, შავად ჩამობნელებული, ნოტიო, ნისლიანი. გიორგის ამ სიშორეზე სიარული ძალიან გვაწუხებდა ყველას, მაგრამ რა გაენყობოდა... :

20-ში დილას რომ ჩაის შეექცეოდნენ, გიორგის რუსუდანისთვის უთქვამს, მოდი, ნახე ბარომეტრს შეხედეო. ნიკო ნიკოლაძის ერთგულმა ხელსაწყომ თითქოს ამინდის გაუარესებასთან ერთად იგრძნო და იწინასწარმეტყველა, ნიკოლაძეთა ოჯახის ტრაგედია. რუსუდანს შეშინებია, გიორგის კი სიცილით უთქვამს — ჩანს, რაღაც საშინელება მოხდება, ისე „დაეჯახა“ ძირს ბარომეტრიო.

: 20-ს რომ ავდექით, გაზეთში ჩავიხედეთ, იქნებ ხელახლად გადაუდვიათ „კარმენიო“, მაგრამ არა, „კარმენი“ დღეს იყო. ნიჟარაძემაც დარეკა, ცდებსაც უსათუოდ დღეს ვიწყებთო, ამაღამ იქნებ მანქანით გამოგიაროთო შუაღამისთვის, დიდუბეში წასასვლელად...

დილის ჩაის რომ ვსვამდი და გიორგიმ დამიძახა დედას ოთახში: „მოდი აქ, ბარომეტრს შეხედეო. თუ გახსოვს, გუშინ რამდენი იყოო?“ მე მახსოვდა საღამოს 728 მმ იყო, რაც გიორგიმაც შეამოწმა და რაზედაც მე მქონდა ნონიუსი დაყენებული წინა საღამოს. „აბა ახლა შეხედეო“, — მითხრა გიორგიმ და მე პირდაპირ წამოვიყვირე გაოცებით: ბარომეტრი 712-ზე დაცემულიყო და ნონიუსის და ვერცხლისწყლის დონის შუა 16 მილიმეტრიანი შავი სიცარიელე აღებდა პირს, შავად, საძაგლად. მე პირდაპირ შემეშინდა — ეს რა მოგველის-თქო, გიორგი კი მხიარულად იცინოდა. ჩემმა გულის გასახეთქად და გაოცებამ ის კიდევ უფრო გაამხიარულა და ასეთივე სიცილით მითხრა — „რამე საშინელება მოხდება, სჩანს, ისე „დაეჯახა“ ძირს ბარომეტრიო“...

და ხომ მართლაც მოხდა ჩვენთვის!..

„კარმენისთვის“ რომ იცვამდენ უკვე ქარიშხალი იყო. გული მისკდებოდა, არ გაცივდესო. გიორგის ჩაცმაში ყველანი ვიღებდით მონაწილეობას, ვინ რის ჩაცმას ურჩევდა, ვინ რისი: ისეთი რამ უნდა შეგვერჩია რომ თეატრშიაც ლაზათიანი ყოფილიყო, ქარხანაშიც გამოდგომოდა 20-22 საათიანი მორიგეობისათვის — ასეთ ყინვა-ქარიშხალში, თოვლში, ასეთ სიშორეზე და ისეთ პირობებში, როგორიცაა შავი ქვის ღუმელთან მუშაობა.

გიორგიმ, ცხადია, არც-ერთი ჩვენგანის რჩევა არ მიიღო, ის ჩაიცვა, რაც თითონ მოისურვა — თავისი ყოველდღიური მოქსოვილი და პიჯაკ-შარვალი. არ დათანხმდა არც ჟორჟეტას მომზადებული „საგზლის“ წაღებაზე და გაუდგა გზას ოპერისაკენ. ქარი გასაგიჟებელი იყო. სიცივე კიდევ უარესი... :

ძალიან გადაჯაჭვია ერთმანეთს იმდღევანდელი „კარმენი“ და გიორგის გარდაცვალება.

: მესამე მოქმედების დროს მოიყვანეს ატირებული გურამი — არ მოუნდომია გათავებამდე შინ წამოსვლა და საშინლად უღრიალია თეატრში. ისიც, თამროც, ნიკოც სულაშლილები დაბრუნდენ შინ და თამრო აღარ გაბრუნდა კონსერვატორიაში, ტატას კონცერტზე, სადღაც 11-12 საათზე ტატას გამოსვლა იყო და ტატა მათ ელოდა... გათავდა მეოთხე მოქმედებაც და ჟორჟეტა და ნიკიც გაბრუნდენ — უგიორგოთ, რომელსაც ისინი ერევნის მოედ-



გიორგი ნიკოლაძე
(გოგი თოთიბაძის ნახატი)

ჟურნალი „ცოდნა“-ს გამოცემა № 45.

ნ. ბარათაშვილის

ლექსები და წერილები.

ფასი 40 კაპ.

გამოცემა მეოთხე.

დ. კარიჭაშვილის — მოკლე ბიოგრაფიით.
ილია ჭავჭავაძის — კრიტიკული წერილით.
ივ. გომართელის მიერ — ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრების და პოეზიის დახასიათებით.

გიორგი ნიკოლაძის ნაქონი
ბარათაშვილის წიგნი

ნამდე მიუცილებია, შემდეგ კი უჭმელი, თეატრში გახურებული, ამ ქარიშხალში ტრამვაით და ფეხით ქარხანაში გაბრუნებულა შემდეგ საღამომდე. ჟორჟეტა სულ აშლილი დაბრუნდა — სახე დასივებული, ძალიან ნამტირალი. თურმე მთელი ორი მოქმედება ეტირა — უმიზეზოდ — და გიორგი „გაწყრომოდა“... მაშინ ხომ მხოლოდ 8 თვე იყო, რაც გივი დაიღუპა, მისი ძმა, და გიორგი სულ თავს ევლებოდა ჟორჟეტას, რომ ის მწუხარებას არ მისცემოდა...

ქარხნის სახურავი სულ აუგლეჯია ქარს იმ ღამეს... გიორგი მხოლოდ საღამოს დაბრუნდა, 21-ს. რა საშინელი, რა დაქანცული, რა გაყინული!.. და რა საზარელ გუნებაზე... არც ცდებით იყო კმაყოფილი, სჩანს, არც ჟორჟეტასთან იყო ჩვეულებრივ მშვენიერ განწყობილებაში. ღამე — და კიდევ ამ სიცივეში — ქარხანაში ყოფნა თბილი ბინის ნაცვლად იყო მიზეზი ჟორჟეტას ცოტაოდენი „სიგრილის“ — გიორგი კი ჩვეულებრივ ჯიუტად იცავდა თავის ხაზს თავის მუშაობაში და საერთოდ ყველაფერში...

ადრე დაწვა გიორგი იმ საღამოს და დილით სურდო-ხველით ადგა — „გავცივდიო წუხელის“. ბევრი ვეხვეწეთ, ერთი დღე შინ დარჩენილიყო, მაგრამ მან არც ეს ქნა არასგზით: „უჩემოდ ვერ მოერევიან ახალ ცდებსო, არ მიდის ჯერ კარგად საქმეო...“

საღამოს გიორგი ისეთი გამოცვლილი დაბრუნდა და ისეთი გამხდარ-გაფითრებული, რომ ბუხართან მჯდარმა ჟორჟეტამ მიაძახა მას უნებლიედ: „რა მოხდა გიორგიო!“ — არაფერი, რა უნდა მომხდარიყოო... :

მერე და მერე საქმე უარესობისკენ წასულა. რუსუდან ნიკოლაძე თრთოლვით, მაგრამ რეპორტიორის დარად აღწერს მოვლენებს:

: და მისი ხველა! მეტადრე მე-5, მე-6 დღიდან და მეტადრე მე-10, მე-11 დღიდან როცა ის უკვე... კვდებოდა, ჩვენ კი, უბედურებმა, ეს ჯერ არ ვიცოდით, ან თუ გვიელავდა ცუდით შეჩერებულ გულში ასეთი სისხლის გამყინავი შიში, ვუწყრებოდით, ვუტევდით ჩვენს თავს, რომ ნება არ მიგვეცა ჩვენი გულისთვის ასეთი „სისულელის წარმოდგენისა“, ასეთი „ლაჩრობისთვის“ თავის მიცემისა. ვცდილობდით წარმოგვედგინა ყველა ის შემთხვევები, როცა ასეთივე (და ამაზე უფრო საშინელი) სურათი გვქონია ჩვენ ან სხვებს — ამავე წყეული კრუპოზული ანთებისა და როგორ მოსპობილა მთელი ეს საშინელება კრიზისის შემდეგ. ასე არ იყო დედას ანთების დროს პეტერბურგში? ასევე არ იყო იუზოვკაში, გიორგის პირველი ანთების დროს? თამრო ერთი ასჯერ გვიყვებოდა მე და ჟორჟეტას, რამდენად უარესად იყო მაშინ გიორგი და აი, ხომ მორჩა და ხომ გამოკეთდა ასე მალე. მე და თამრო... ათას-ათასჯერ ვუამბობდით საწყალ, შეშინებულ, გულგახეთქილ ჟორჟეტას, დედა როგორ იყო პეტერბურგში, გიორგის ანთების სწორედ ერთი წლის წინ. როგორ კვდებოდა რამდენჯერმე, რა გამოაცხადა კონსილიუმმა, რა ეგონა ჩვენს ექიმს, რა მოსვლოდა დედას გულს. და მერე როგორ რჩებოდა დედა და როგორ რჩებოდა გიორგი...

რამდენსაც დამინახავდა, გამიღიმებდა და მეტყოდა: რატომ არ იძინებ წადი, დაწექიო, ჟორჟეტა კარგად მივლისო... 4 საათის შემდეგ წამოვწექი მართლაც სასადილო ოთახში, ბუხრის წინა „დივანზე“... ამ დივანზე გულგახეთქილი წოლა ერთ-ერთი ძირითადი ჩემი შთაბეჭდილება იყო იმ საზარელი ორკვირეულის! წამოვწექი, ღელვით და სიცივით აკანკალებული და კიდეც ვიძინე ცოტა, რადგან მეჩვენებოდა რომ მათაც სძინავთ ორივეს, გიორგისაც და მის გვერდში წამოწოლილ ჟორჟეტასაც... 6-დან კარი მიხურული დამხვდა და ვეღარ შევბედე, არ გავაღვიძო-თქო... დარეკა 7, დარეკა 8 — კარი არ იღებოდა და გიორგის საშინელი დროგამოშვებით ხველის გარდა არაფერი ისმოდა. თითქმის ცხრის ნახევარი იყო, კარი რომ სწრაფად გაიღო და ჟორჟეტა გიჟივით გამოვარდა: გიორგის 39 და 7 აქვს, მე კი დამძინებია და აქამდე მეძინაო! მეცა მე ჟორჟეტა, მომეხვია და ტირილი დაიწყო. გულგახეთქილმა დედამ ძლივს გაიგო რაშია საქმე, თან ჟორჟეტას ვამშვიდებდით, თან გიორგისთან შევედით საჩქაროთ. შევედით და მე შუა ოთახში გამაჩერა — იატაკზე მიკრულივით! — მისმა დანახვამ: როგორ გამოცვლილიყო ამ 4 საათის განმავლობაში, როგორი გამხდარი იყო, თვალებ- და ლოყებ-ჩაცვენილი, რა საშინელი ფერით — ცვილივით გაფითრებული ნესტოებზე და საფეთქლებზე — სიცხით აწითლებული ლოყებით და რა დაქანცული, რა გატანჯული თვალებით. და რა ალერსიანი, თავისი უმშვენიერესი ღიმილით, რომელსაც ცხადია, ჩვენ დასამშვიდებლად იწვევდა თავის სიცხით დამწვარ, თითქმის გაშავებულ ტუჩებზე, რომელიც ასე საშინლად უშრებოდა და უხმებოდა იმ საზარელი ავადმყოფობის დროს... და ტუჩებზე ენას ივლებდა, რაც ჩემზე საშინლად მოქმედებდა...

ჟორჟეტა გიორგისთან დარჩა გასინჯვის შემდეგ და ჯერ არაფერი იცოდა, დედასთან კი მამიდა ფროსიკო იჯდა. მამიდა კატოს შესახებ ექიმთან მოსალაპარაკებლად. მამიდა კატოსაც გრიპი დაემართა იმ დღეებში და იმ დღეს ცუდად იყო, 38,7 ჰქონდა და მამიდა ფროსიკო მასზე ბევრად უფრო ღელავდა, ვიდრე გიორგიზე... :

მერე მამიდა ეფროსინე, ბესიკ ჭიჭინაძის დედა შეუყვანიათ გიორგისთან. მძიმე სურათი დახვედრიათ, მაგრამ გიორგის უცდია სახით უეცარი შეცვლა, გაღიმებაც კი და მამიდას მიბრუნებია: „აა! ეს შენ ხარ, მამიდა ფროსიკო, გამარჯობა, როგორ ხართ? მამიდები როგორ არიან? აკოცე მათ ჩემს მაგიერ“...

მერე მამიდა ეფროსინე ოთახიდან გამოვიდა და რუსუდანი და ჟორჟეტა დარჩნენ მასთან.

: როცა ყველა წავიდ-წამოვიდა ღამისთვის და მე და ჟორჟეტა დავრჩით მორიგეებად, ჯერ მე ვუჯექი გიორგის და... მისი ნესტო მეჭირა გამოწეულად (მარცხენა) რომ სუნთქვა შეძლებოდა და იქნებ დაძინებოდა, მერე სამ საათიდან გიორგიმ ჩემ ოთახში გამისტუმრა, ახლა შენ დაიძინეო. სანამ მე ვუჯექი და ჟორჟეტას იქვე, ტახტზე თითქოს ეძინა, გიორგის მხიარულად ეჭირა თავი — საერთოდ, იმ ღამეს თითქოს კარგ გუნებაზე იყო. აიჩემა, რამე რგოლი რომ მომცა ცხვირში ჩასადები, მაშინ დამეძინებაო — ეს დაზიანებული ცხვირის ძვალი მიშლის სუნთქვას ასეთ სურდოშიო. მეც მოვიგონე: ალუმინიუმის სათითეს თავი წავაჭერი და დარჩენილი ღრუ წაკვეთილი „პირამიდით“ ნესტოში შევუდე. გიორგიმ ბევრი იცინა თავისებურად, გულიანად, მაგრამ, ცხადია, აბა რას უშველიდა სათითე მის საზარელ ანთებას და სურდოს? და გიორგის ერთი წუთიც არ უძინია, არც იმ ღამეს...

პირველიდან სამამდე მე ვუჯექი სავარძელში ლოგინის გვერდში. სამიდან მე გამისტუმრა და ჟორჟეტას რიგი დადგა. 25-დან ჟორჟეტას ლოგინი გამოვიტანეთ მათი „შკაფის უკანა“ განყოფილებიდან, რომ უკეთ მისადგომი ყოფილიყო მოსავლელად გიორგი... დღე თამრო და ჟორჟეტა არ შორდებოდენ, ჩვენ დანარჩენები სულ ახლო მახლოდან ვიჭვრიტებოდით ან შემოვდიოდით...

გიორგის განუწყვეტლივ უფცქვნიდენ და აწუწვნიებდნენ მანდარინებს, წვენს... საწყალი, საცოდავი ჟორჟეტა, როგორ უვლიდა მას, განუწყვეტლივ, როგორ შესცქეროდა თვალებში, როგორ ეალერსებოდა, როგორ ევლებოდა თავს... თან როგორ შესცქეროდა თვალებში თამროს, ექიმს... როგორ გამოგვიკითხავდა ჩვენს გამოცდილებას, ჩვენს ახლანდელ შთაბეჭდილებებზე... ჩვენც როგორ ვიყავით, ყველა... :

გიორგი მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ რამდენადაც შეეძლო, მხიარულად უამბობდა ჟორჟეტას და რუსუდანს ძველ ამბებს. იუზოვკაში თავისი წინა ფილტვების ანთება გაიხსენა, როცა ეგონათ, რომ ვერ გადარჩებოდა. რუსუდანმა ვერაფრით ვერ გაიხსენა, როდის ჰქონდა მაშინ გიორგის კრისიზი — მეშვიდე თუ მეცხრე დღეს. ყველანი მისი კრიზისის მოლოდინში არიან — თუ გადაიტანს, გადარჩება.

: დილის 7 საათამდე, როცა უეცრად ოფლი წასკდა და ერთი წუთით ყველას კრიზისი გვეგონა... დედას და ჟორჟეტას გადახვევა და ტირილი — გადარჩა ჩვენი გიორგიო. და შემდეგ მაკაროვის შემოსვლა დედასთან: „ადექით, თუ შეგიძლიათ წადით თქვენ ვაჟთანო“. გახარებული, ხელებაკანკალებული, სიცხიანი დედას ჩაცმა და გიორგისთან გაშურება, თავის გადარჩენილ, კრიზისგამოვლილ „შავ ბიჭთან“ და დედას ამოყვირება იქ მისვლისას: „Доктор, это агония?!“ და მაკაროვის სახე! :



გიორგი და დედამისი — ოლგა გურამიშვილი

რუსუდან ნიკოლაძეს მონათხრობი ნელ-ნელა მთლიანად შორდება რეპორტიორის აღწერას და დის მოთქმად გაისმის:

: დღე, საღამო, ღამე. კიდევ დილა, კიდევ საღამო და ღამე... ხალხი, ხალხი, ჩვენ თვითონ. დედას გულის წუხილი, ჟორჟეტა, ჩვენ, უძმოთ დარჩენილი დები, რომელნიც ერთი დაბადებიდან, მეორე... 42 წელიწადი უბედნიერესი დები ვიყავით ჩვენი სიამაყის — ძმისა... და დედა!

და ჟორჟეტა!

აი, როდის გვიხაროდა რომ მამა აღარ გვყავს. არც დეიდა მაშო და ძია დათიკო...

ნიკო! ნიკო! პაწია გურამიკოც კი... დუნია! ყველა!..

ტატა... ზინა... იქ, შორს კი ელიკო, ქეთი, კაკი... ალბერიც...

მოსკოვში ბესიკი...

7 თებერვალს დილიდანვე... ჩააცვეს გიორგის... ჩააცვეს, როგორც ჟორჟეტას უყვარდა მისი ნახვა, როგორც ის უკანასკნელად დადიოდა...

და მალე, შუადღეზე ყველასი დახევა უკან, გასავალ ოთახში, დედას სურვილით, რომ მარტო გამოვთხოვებოდეთ გიორგის...

და შემდეგ ეს გამოთხოვება!.. დედა, ჩვენ სამი — ჟორჟეტა — მე — თამრო, ნიკო და აღარ ვიცი, კიდევ ვინ...

დედა და გიორგი.

ახლა დედა მივარდა ასევე გიორგის — შვილო! გიორგი! ჩემო სიცოცხლევ! შვილო! შემომხედე, შვილო! გესმის ჩემი ხმა? გესმის დედაშენის ხმა? შემომხედე, შვილო! გიორგი!.. — მამა ჩემს ესმის, იყო პასუხი — ძლივს მოძრავი ენით, გაძნელებული სუნთქვით... გიორგი! გიორგი! მივარდა გიორგის თამრო: შენი ჭირიმე, გიორგი, ჩვენო სიამაყე — გიორგი, გიორგი! — გიორგი! Что это, доктор?! Он умирает, Георгий?! — გაისმა გიორგის მარცხენა ხელიდან ჟორჟეტას ხმა. დედა და თამრო კი მარჯვნიდან იდგნენ. მე ფეხებში...

გიორგიმ ყველას თვალი გადმოგვავლო და კიდევ უფრო ალუღლუღებული — უკვე თითქმის დამბლადაცემული ენით გვითხრა: ნუ პამპულობთ! ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგჭირდებათ...

ჟორჟეტა და დედა გაიყვანეს ცოტა ხნის შემდეგ... ყველაფერი აირია — დავრბოდით — ჟანგბადი, ქილები, მომაკვდავს დილის კონსილიუმმა ქილები გამოუწერა გულზე — კიდევ რაღაცეები — ფელდშერიცები, გაბო, ზინა, ექიმები დარბოდენ, რაღაცას აკეთებდენ... გიორგი კი კვდებოდა, კვდებოდა...

ვინ არ მოვიდა, ვინ არ მოიჭრა ამაში დასადასტურებლად!..

უეცრად გაახილა თვალები, მე გამიღიმა და ვიღაცის ძებნა დაიწყო თვალებით. ახლავე მოვლენ დედა და ჟორჟეტა! წამოვიძახე მე და გავვარდი მათ შემოსაყვანად. დედას წყლით აბრუნებდენ — მას ფეხები წაერთვა, მუხლები ეკეცებოდა, ის თითქმის „მოიტანეს“ გიორგისთან. ჟორჟეტა კი იატაკზე დაეცა და არ მოდიოდა — რევოლვერი მომეცით, თავი უნდა მოვიკლაო. რამდენი ვეხვეწეთ — გიორგი გეძებს, გეძახის. რამდენი წუთი დავკარგე გიორგის უკანასკნელ წუთებიდან ამის გამო... როგორც იყო ავაყენეთ ჟორჟეტა, ისიც მივიყვანეთ, თითქმის ერთდროულად დედასთან... ღმერთო რა „ციური“ ღიმილით შეხვდა გიორგი ჯერ დედას, მის მარჯვნივ მდგარის, მერე ჟორჟეტას, დედას პირდაპირ, მის მარცხნივ გაჩერებულს...

ეს იყო გიორგის უკანასკნელი პირადი — ცნობის ღიმილი. ორი ღიმილი, დედას და ცოლს, თავის ჟორჟეტას.

კვდებოდა გიორგი, აბა მეტი რა დავწერო — იმ კრულ, შავ-ბნელ დილაზე, შუადღეზე?..

მისი ლოგინი ფანჯრისკენ გასწიეს, ფანჯარა გააღეს, ჟანგბადით ოთახს ავსებდენ, მაგრამ გიორგის სუნთქვა იკლებდა, უკვე მხოლოდ დრო-გამოშვებით იყო...

ა-ა-ა! გაისმა თამროს კივილი და ნიკომ და ვიღაცეებმა გააცილეს ის მის ოთახში. დედაც, ჟორჟეტაც დიდი ხანია გაყვანილი იყვნენ, ვეღარ უძლებდა ვერავინ მომხდარს...

იმ სურათს...

მეც წავედი სადღაც მაგრამ ფეხებმა უკან მომიტანეს, ოღონდ ვეღარ ვიარე და სჩანს კართან ჩავმჯდარვარ იატაკზე.

მასზე, რომელიც თეთნულდსაც კი გადაურჩა. თითქოს მართლაც სვანების „წმინდა გიორგის“, თავისი ციური სეხნიის მადლით!..

თუ, პირიქით, უდგება: ასე შეუკრთომლად, გულგრილად, აუღელვებლივ მიიღო გიორგიმ თავისი „ულუფა“... მიიღო, გაუღიმა და გამოეთხოვა მზეს, ცას, ციურ ხმებს და გაჰყვა შავ სიკვდილს, სადაც მას სურდა... :

გიორგი ნიკოლაძის სიკვდილი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს. რადიო ახალი ხილი იყო და, რა თქმა უნდა, როგორც ყველაფერი სიახლე, ნიკოლაძეების სახლში ის უკვე აღარავის უკვირდა:

: თურმე მთელ ტფილისს მოედო ეს საზარელი და დაუჯერებელი ამბავი. მთელ ტფილისს ერთბაშად: იმ „ელსმენით“ და იმ „ელწერით“, რომელსაც ასეთი მხიარული სიცილით გიორგიმ დაარქვა ჩემთან ერთად მათი ახალი, ქართული „ფუტურისტული“ სახელები... გიორგის „ელსმენი“ — რამდენი მისი ნომრით იტყობდენ, გიორგის 21-17 ნომრიდან, იმას, რაც მოხდა „უთხუთმეტო ორზე“, როგორც აგრეთვე გიორგიმ შემოიღო დროის დასახელება... ტელეგრაფი კი? რამდენი „ელვაც“ წავიდა სხვადასხვა ქალაქში, უბრალო „ელწერილიც“: გიორგი ნიკოლაძე გარდაიცვალა.

ავადმყოფსაც კი ედგა გვერდში მისი „8 ნათურიანი“ საზღვარგარეთული მიმღები და ედო მის ზემო თაროზე ეს რადიოგრამები.

ხან სად გადაგვაფრენდა გიორგი, ხრახნის ერთი მოსმით თავის მიმღებზე ხან სად! ხან ვალკირიების ფრენას შუა ქარბუქში მოვხვდებოდით, ხან პრაჰის დაუბოლოვებელ ფოქსტროტ-ჩარლსტონში, ხან უელსის პრინცის სიტყვას მოვკრავდით ყურს ან ვესტმინსტერის საათის შუაღამის 12 დარტყმას აქაური ღამის 3 საათის დროს... ხან — ერთს წუთში მილანოს „La Scala“-ს იტალიურ ოპერაზე ამოვყოფდით თავს თუ არა, ყურს მაინც!.. გიორგი გიორგი არ იქნებოდა, რომ მარტო მას ქონოდა რადიო, მას და ჟორჟეტას. მათ ჰქონდათ ეს მიმღებიც, საერთო, ქალაქის ქსელის მიმღებიც, რომლიდანაც ყველას ოთახში გაიყვანა გიორგიმ მავთულები, გარდა ჩემი და ნიკოსა, რომელთაც პირდაპირ გვაიძულა ეს რადიო-ღრიალი და აქაური ხმამაღალი გადმოცემა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დათო მაღრაძე

წითელი უდაბნო

და ფრთები... და ფრთები...
წყალობა, ან თუა
სასჯელი, რომ გახდე
სამიზნე მონათა,
დე სენტ-ეგზიუპერი გამიმხელს ანტუან
და ან ლივინგსტონი, თოლია ჯონათან.
ვისკიში რომ ჩაყრი ყინულის ბურთულებს,
მძაფრდება რწმენა, რომ
სადღაც მეტი ცაა...
როცა ეკიპაჟი აცხადებს ტურბულენსს,
მაშინ პოეზია = პეტიციას!
ამიტომ, რაც ხდება მიწაზე მხეცობა,
ეთხოვა პოეტს, რომ მიწეროს მეგობარს,
რადგანაც პოეტი მაღლიდან ეცნობა
იმ რუკას, რომელიც
ასახავს ეპოქას.

შევუღე დროებას ის კარი Hotel-ის,
რომელსაც ამშვენებს წარწერა — Gloria
და შევხვდი მენეჯერს ისკარიოტელის,
რომელიც ყველგან და
ყოველთვის სწორია.
შევამკო მინდა და არ ვიცი, რარიგად,
ამჟამად რომელი ტიტულით ტიტულობს...
დგას დემოკრატიის დამწვარი ბარიგა,
გაყიდის დემოსს და
კრატიას ყიდულობს.
ასე რომ, ციური საგნები — ენელოც
საფარი აღმოჩნდა მიწიერ ვნებათა,
ისმინე, შენ ჩემო ძვირფასო მსმენელო,
შენ იცი, მე არ ვცნობ
სხვის ნაცნობ ეპატაჟს.

ტრენდი და შაბლონი დროს ვეღარ ინელებს,
სიახლის წყურვილის სიმძაფრით გალესილს...
— შეხედე პიკასოს ავინიონელებს!
— გნებავთ, ოლიმპიას! — ედუარდ მანესი.
გაცვეთილ ბილიკებს საჩქაროდ უარი
თუ არ მივაგებეთ, მომავალს უარესს
მივიღებთ, ცარიელ ლოჟას ბენუარის
შეავსებს, ვინც გუშინ
ნატრობდა იარუსს.
ასეა... და ასე ყოფილა ოდითგან, —
სპეტაკი სითეთრე ვინა სთქვა უშავოდ...
მართალი — ჯერ თავის სამშობლოს მოკითხავს,
მტყუანი — სხვა ქვეყნის ცოდვებზე მუშაობს.

უცხოელ ჩინოვნიკს სალამიც არ ნებავს,
თუ იმპერიული ხავილი სოპრანოდ
არ გააშიარე... და ამპარტავნების
აუშვეს აფრანი,
სულ უფრო უფრონი...
ჩანს, პერიფერიის ქლესობა უსაპნო
ჰეგემონს სულ უფრო
და უფრო ევასა,
რაც ანტონიონის „წითელმა უდაბნომ“
მოიცვა წალკოტი ადამ და ევასი.
ეს წუთისოფელიც ერთ წრეზე გვატრია-
ლებს, კარის შეღებაც არ იქნა NATO-სი,
თაღლითი სიყვარულს უმტკიცებს პატრიას,
საბჭოთა ქართული ნაცნობი პათოსით.

იმ სიტყვებს დავეძებ, დღეს ვწერდი მეგობარს,
ნატიფი ქართლი რომ შევიდეს მოდაში,
რომ თანამედროვე გადარჩეს ეპოქა,
ან ტატოს ვესტუმროთ,
ან სწავლულ დოდაშვილს.
რომც დიად განზრახვას მოჰქონდეს ხიფათი,
მინდა, რომ ამბავი გადამხდეს საგმირო...
განსაცდელს შევხვდები არხეინ სიფათით,
ნატიფი ქართლი რომ...
ნატიფი ქართლი რომ...
მაგრამ თუ წიგნიდან გამოვლენ გმირები,
რომ ვიცნო ქართული კულტურის ატაშედ,
შევმატო ამ საქმეს რამ წვლილი მცირედი,
ან ვიტყვი — ალუდას!
ან — ლეკო თათაშელს!

ძველი დრო თუ ჩარჩა წარსულის მხარეში,
ახალი დროება რას იტყვის, რო რაო?..
ტრენდული ევროპა, ჯვარცმულის გარეშე,
ფსიქოთერაპევტის დივანზე გორაობს.
დრო მუდამ ერთია, —
რა ის დრო... რა ეს დრო...
დრო ღმერთს რომ „გაუსწრებს“, ის დროა საშიში...
პარიზულ ტანგოს რომ იხსენებს მაესტრო, —
კარაქს რომ მიახმარს ევროპას ა.შ.შ.
— ახალი მანე და
— ახალი პიკასო!
ჩამოშლის უსულო ეპოქის მეფობას,
რომ ღვინის ბოკალი ვარჩიო „სიბაზონს“
— უარი ფსიქოლოგს!
— სალამი მეგობარს!

და ფრთები... და ფრთები... წყალობა, ან თუა
სასჯელი, რომ გახდე სამიზნე მონათა.
გამიმხელს უკვდავი პილოტი ანტუან
და ან ლივინგსტონი თოლია ჯონათან.

პოეტის ვეტო

რა არის საზოგადოება
ჰეროიკული განზომილების გარეშე?
ჟან ბოდრიარი

მოძებნე აკორდი, თუ ძმა ხარ,
რომალე,
რომ მალე შევიხსნათ დრო-ჟამის ჰალსტუხი,
ლექსი ნაბიჯია,
გადავდგი რომელიც,
სიკვდილთან სიცოცხლით რომ ვაგო პასუხი.
სტრიქონით ნაპირის ნისლი რომ გავფანტე,
გამოჩნდა ტალღაზე პირველი თოლია,
მეორე, ჰაერში რომელიც ფარფატებს,
თურმე იმ პირველის
მესამე ცოლია.
რომალე, აკორდით
დრო იქნებ წავშალოთ...
ფრთები რომ საათის ისრების ტოლია,
ვიწამე... და ველარ ვიქნები საშუალო,
დროს ფრთებით მაჩვენებს
ზეცაზე თოლია.

ნისლს რომ შევუყეფე
და რომ გაიფანტა,
გავხედე ზეცას... და ცა ცაზე მეტია...
და ლექსად მივწერე გულისთქმა ინფანტას,
რომალეს აკორდში რაც არ დაეტია.
— დიდება ინფანტას! პოეტის დრო თუა,
ნიშნავს, რომ სასახლის კარზე ვარ წვეული...
კარეტით მივალ,
თუ გავყვები ტროტუარს,
სხვადასხვა ეპოქით ერთად ვართ სნეული.
თუნდაც ფოტოები გაღებოს სეპიამ,
დრო მუდამ ერთია, —
რა ის დრო...
რა ეს დრო...
ღირსება ახსოვდეს,
რომ Homo Sapiens-ს
შეკითხვით მივმართავ დიდებულ მაესტროს:

— ანდრეი არსენიჩ! — ბახსა და ბრეიგელს
სიზმარი გაწვდის და გაღვიძებს ოფლიანს,
სამყაროს გაუწვდი „სარკეს“ და შეირგებ
დროის საიდუმლოს
და ფილოსოფიას.
— ანდრეი არსენიჩ,
მამის სულს გაფიცებ,
უდროო დროში რომ დაეძებ რეზონანსს,
დროს როლზე რომელი
კასთინგით ამტკიცებ,
დროს, შენი ხილვების
ძირითად პერსონაჟს?..
...ახალი ამბავი, სახელად ნიუსი,
ვერ მოაქვს ინტერნეტს,
ვერც ანონსს გაზეთის,
რადგან Dolorosa-ს შოსეზე იესომ
მარადით წაშალა
დრო, როგორც ასეთი.

და ერთიც:
მჯერა, რომ უდროო მხარეში
დროს მომცემს,
დავითმა რომ ვძლიო გოლიათს,
ბერგმანის საათი, ისრების გარეშე,
ანუ, ფრთებდაყრილი ნაპირზე თოლია.

თუნდაც საუკუნეს ითვლიდეს მილიარდს,
უდროო დროიდან ავკენკავ იმ წამებს,
აქ, წიწამურთან რომ ვერ მოკლეს ილია,
ახალი ეპოქის დასაწყისს ვიწამებ.
დარდებს კი მივანდობ მშვენიერ გეიშას,
ღვინოში ვენდობი ალაზნის ვენახებს,
ფანჯრიდან შევირგებ მშობლიურ პეიზაჟს...
— ჰო, მართლა! სანუკვარ
სამშობლოს შესახებ:
ხან ხელში იარაღს,
ხან სხვის ლექსს, მავანი
მაჩეჩებს და ხარობს, რომ მჩუქნის ამ წამებს,
რადგანაც ქართველთა არხეინ სავანეს
სამშობლო დავარქვი —
და ცილი დავწამე.

...ოცნებობს მედროვე, რომ თანამედროვე
იერით იაროს, სინდისზე უარით...
თუმცა ჯერჯერობით პოეტის ვეტო ვერ
დავადე... ვუთხარი დროს ორეუარი.
მრავალჯერ სიზიფეს ტვირთივით დავგორდი,
თუმც ახლა ხელთა მაქვს ახალი მეთოდი...
დრო თუ ვერ წავშალე რომალეს აკორდით,
მაინც შევაჩერებ პოეტის ვეტოთი...
რადგანაც კენწერო ვიწამე ფესვიდან
და უფლის გზავნილად მივიღე თოლია...
რადგან სიყვარული ახალი ლექსის და
სინათლის სიჩქარის
ნამრავლის ტოლია.

P.S.
სალამი, ავანგარდს! — როდესაც არიერ-
გარდშია ფესვი და ძიების დრო არი...
პოეტის ვეტოთი ვშლი დროის ბარიერს,
მახარებს, დრო თავად
უდროო რო არი...
ქალი რო გაივლის და ქალი რო არი...
კაცი რო შეგხვდება და კაცი რო არი...
რა იშვიათია... In English rare-ი...
დო როცა დოა და რე როცა რე არი...
— გვახსოვდეს ღირსება! —
ამბობს ბოდრიარი.



ქეთევან ნათელაძე

რომ ზღვა იყავი

სიმღერას ჰგავდა ყველა ფიქრში შენი საბედო,
იმ სიმღერების შენ იქეცი მძევლად, დარაჯად,
ერთ დღეს კი
მაინც საკუთარ გულს უნდა ჩახედო,
რომ დაინახო, რომ გაიგო, მისგან რა დარჩა...

შენ ხომ იცოდი, რომ ზამთარი დიდხანს გასტანდა,
დაიმახსოვრე ის ზაფხული, ის მზე, ის ჩერო,
ვინ დაიჯერებს, რომ წერილებს ჩიტებს ატანდი,
ვინ დაიჯერებს, ან რად გინდა, რომ დაიჯერონ!

როგორც ლიმონი, შენი თავი ისე გაწურე,
ისე მოარგე გულგრილობის ცივი ნიღაბი,
ისე ბოლომდე ამოხაპე, ისე დააშრე,
ვინ დაიჯერებს, რომ ღრმა იყავ, რომ ზღვა იყავი.

უნდა გვეცადა

რა ხანმოკლეა ზოგჯერ ცხოვრება,
მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გვეცადა,
დავმგვანებოდით ბავშვებს და ხეებს,
რომელთაც ცამდე გაზრდა ეწადათ.

რა ხანმოკლეა დილა ზაფხულის,
მწვანე ფოთლებში ქარვის მიგნება,
რა ხანმოკლეა წყვილი წვიმაში,
რომელიც ხვალ აქ აღარ იქნება.

რა ხანმოკლეა ზოგჯერ ღიმილი,
ან მწუხარება რა გზის ამბნევი...
და სიყვარულიც, ასე ხანმოკლე,
ჰგავს გაელვებას იასამნების.

თითქოს გამოგვრჩა რაღაც მთავარი,
რა ხანმოკლეა, როცა მირეკავ,
რა ხანმოკლეა სარკე ოთახში,
რომელიც ყველა სევდას ირეკლავს.

მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გველოცა
და გავყოლოდით ნიშნებს ბრმასავით,
რა ხანმოკლეა, მატარებლები
გეზს აიღებენ როცა არსაით.

როცა ლოდინის წამი მორჩება,
და გავიფიქრებთ: „ღირდა რისათვის“,
მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გვეცხოვრა,
თუნდაც ამ მოკლე შეხვედრისათვის.

ვერ დავემგვანეთ ბავშვებს და ხეებს,
რომელთაც ცამდე გაზრდა ეწადათ.
რა ხანმოკლეა ზოგჯერ ცხოვრება,
მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გვეცადა.

წარმოსახვა

წარმოსახვასთან ვმარცხდებოდი თითქმის ყოველთვის,
დღემდე ასეა — ცხრა სამყარო აქვს და ცხრა კარი,
ჩემ წარმოსახვას სხვა რამ უნდა, სხვა სწამს, სხვა სჯერა,
სინამდვილე კი გამუდმებით არის სხვაგვარი.

მოკვდი შენ, ჩემო წარმოსახვავ, ან მე მომკალი,
თორემ ვიქეცით საკუთარი თავის მონებად,
იმის ირწმუნე, რაც არსებობს, ის დაიჯერე,
რაც არ არსებობს, ის სიმართლე ნუ გეგონება.

* * *

ქარმა ხეები ფილმებივით გაახმოვანა,
ვიმსხვრევი მინის, ვარდისფერი მახსოვს დაისი,
რა ნაზი იყო ის შეხვედრა, რა ცეცხლოვანი,
როგორც მაისში თაფლობისთვე, როგორც მაისი...

ვიმსხვრევი მინის, მზეს შეაბეს ყინვის ხუნდები,
ხვალ აქ სხვა ქალი დაიწყება, ხვალ აქ სხვა მოვა,
ის ზღვა რა ზღვაა, საიდანაც უკან ბრუნდები,
იმ ზღვაში შევალ, საიდანაც ვეღარ გამოვალ.

* * *

ვისთვის რა არის თასი გრაალის,
ზოგჯერ მწუხარე ქარიც ვერ ტირის,
და ვინ რა იცის, ვისთვის რა არის
ბოლო ზღვარი, ან ბოლო წერტილი.

ბოლოს ყველა გზა ხდება ირიბი
და თავს დაგვცქერის ღამე თაღებად,
ვისთვის რა არის ბოლო ბილიკი,
ბოლო ზეცამდე ამოძახება.

ვისთვის რა არის ბოლო ნოტები,
სულაც არ ჟღერდნენ თუნდაც საშინლად,
როცა არავინ არ ელოდება,
ზოგჯერ წერტილებს სვამენ მაშინაც.

ყვავების სევდა

რა უხეიროდ შავები ხართ, ყვავებო, მართლაც,
რამ გაგაშავათ, რა იდარდეთ ასეთი დარდით,
ასე სასტიკი რამ გარგუნათ ყოფა და ხვედრი,
მჯერა, რომ უწინ თქვენ მღეროდით ბულბულთა ხმაზე
და თქვენი ფრთებიც თეთრი იყო, თოვლივით თეთრი.

რა შემზარავად შავები ხართ, ყვავებო, მართლაც,
მობინადრენო საფლავების, წყევლის და შიშის,
მოჩვენებებო უკაცრიელ ტყეთა და ველთა,
მოფრინდით ღამით, ჩემი ბაღის ყვავილებს გჩუქნით,
ყველა ყვავილი წაიღეთ და თქვენ დარჩით ჩემთან.

ჩემი მძივებით და იმედით მოირთეთ თავი,
მტვრიან წიგნებში, ძველ კაბებში დაიდეთ ბინა,
ვერ შემაშინებთ მაგ ყრანტალით, ნახშირის ფრთებით,
მეც თქვენნაირად დამშრალი და შავი მაქვს გული,
ასე გვალვებში თვალუწვდენი შრებიან ჭები.

შემოეხვიეთ სიმინდების ყანებს კვამლივით,
ცივი ზამთრების ღამეებმა ვიდრე მომცელეს,
გაფრინდით მერე, შავ ქალებზე ამცნეთ სამყაროს,
შავი თვალებით, შავი თმებით, შავი დარდებით,
რომ შეიყვარეს და იოცნებეს...

რა სიკვდილივით შავები ხართ, ყვავებო, მართლაც,
რამ გაგაშავათ, რა იდარდეთ ასეთი დარდით,
ასე სასტიკი რამ გარგუნათ ყოფა და ხვედრი,
მჯერა, რომ უწინ ბულბულების მღეროდით ხმაზე
და თქვენი ფრთებიც თეთრი იყო, თოვლივით თეთრი.

* * *

ზოგი ელტვოდა მინდვრებს მძინარეს,
ქარის სიმღერებს ვერ შეეჩვია,
ასეც მომხდარა, ზოგჯერ მდინარეს
ტალახიანი გუბე ერჩიათ.

ზოგი უცქერდა მიწას გალახულს
და ეშინოდა ცაში ახედვა,
ამჯობინებდა ულაყს არაბულს,
გაძვალტყავებულ, ჩია სახედარს.

ზოგს უკუნეთი უჯობს ბილიკი,
ზოგს მთვარიანი გზის სურს დანახვა,
ვარდსაც კი უთხრეს ერთხელ ქილიკით,
შენ გჯობიაო მყრალაბალახა.





პაატა ნაცვლიშვილი

ჟორჟეტა

დოკუმენტური რომანის ჩანაფიქრი ხუთ წიგნად

გაგრძელება

და აი იმ ოთახში სადაც ახლა ასეთი სურათი ევლინებოდა შემსვლელს — ახლა კუბო იდგა და შიგ გიორგი!

გიორგი, გარეგნულად ისეთივე გამოცვლილი ჟორჟეტას სურვილით, როგორც გამოიცვალა სამუდამოდ და „უცნობლად“ მისი ოთახიც: მთები ამ ერთ პანორამამდე იყვენ დაყვანილი, დანარჩენი კი სულ ახალნაირად გამოეწყო ჟორჟეტას და თამარის გემოვნებით, ჟორჟეტას გეგმით, წარმოდგინებით... :

და აქ რუსუდან ნიკოლაძეს გიორგის სიტყვები მოჰყავს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი მისი ლექსიდან — „მე ვარ მთლად, სრულად სულით ობოლი!“ — და მერე ვრცელ პასაჟს უძღვნის ჟორჟეტა ღამბაშიძეს:

: ამ ლექსის დაწერიდან 13 წლის შემდეგ გიორგის ეს ობოლი სული ირჩევს ჟორჟეტას.

ამ „მზიან ბავშვს“, გიორგის ბუნების თითქოს ანტიპოდს...

ბევრს ბოლომდე არ ესმოდა, რატომ აირჩია გიორგიმ, „გიორგი ნიკოლაძემ“ ასეთი მეგობარი, ცოლი, თავისი გულის „მფლობელი“.

ეს იმათ უკვირდათ, ვინც ვერ იცნობდა ნამდვილ გიორგის, მისი გულის სრულ სიღრმეს... იმათ უკვირდათ ეს აგრეთვე, ვისაც სრულიად ზერელედ და გარეგნულად ესმოდათ გიორგის გრძნობა და გიორგის ბედნიერება... გიორგი-ჟორჟეტას მშვენიერი, მზიანი ბავშვური სიხარულით სავსე ყრმა-ახალგაზრდა დამოკიდებულება, მათი „გვრიტული“ ცხოვრება, სიყვარული, ყოფა-ქცევა...

გიორგი ერთსა და იმავე დროს სულით ობოლი არწივიც იყო, „გვრიტიც“, ბრძენიც, ბავშვიც, სხივოსანი სიხარულიც, ჯოჯოხეთური ტანჯვაც...

ქალებისათვის კი — ყველასთვის „სფინქსი“. ერთი არ ყოფილა, რომ მისთვის ეს არ ეწოდებინოს, არ ეთქვას, არ მოეწეროს. და ის სულ მარტო აპირებდა თავისი გზის დამთავრებას...

მაშ როგორ მოხდა, რომ მან ერთ თვეში, რამდენიმე კვირაში შეიცვალა პარიზში თავისი ეს გადაწყვეტილება, მთელი თავისი — როგორც მას ეგონა — ბუნება.

როგორ მოხდა, რომ მან ჟორჟეტა აირჩია თავისი ცხოვრების თანამგზავრად, როგორც მამამ — დედა?

როგორ მოხდა, რომ მან საერთოდ ცოლი შეირთო?

აი როგორ — თვით გიორგის თქმით:

„ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ჟორჟეტა! წუხელის მითხარი: „შენ ხარ ჩემი საქართველო“!! ამაზე მშვენიერი აბა რა გითქვამს, ან რაღას მეტყვი? რა გიპასუხო სამაგიერო? სამჯერ შემხვდი ცხოვრებაში: ერთხელ პატარა ცემში, მერე ტფილისში, და ბოლოს აქ, დედამიწის დედაქალაქში — პარიზში. თანაც ჩემ გულში იკავებდი შესაფერისს ადგილს: ჯერ პატარას, როგორიც არის პატარა ცემი, მერე როგორც ტფილისი და ბოლოს ეხლა შენ გახდი ჩემი გულის პარიზი...“

და მამას გაცილების შემდეგ საქართველოში:

„ვარ მარსელში და ვარ მარტო. ბევრს ვფიქრობ და უმთავრესად შენზე...

...რა უფრო სანატრელია შენთვის: მე თუ, კომფორტი? ან მე თუ მიგაჩნივარ შენ „კომფორტად“? თუ ასეა, ცოტა ცდები, იმიტომ რომ წინდაწინ იცოდე: მე თუ შეგიყვარდები, ძალიან გაიწვალები და ბედნიერებასთან ერთად ბევრ მწარე წუთებსაც ნახავ... „ყველაფერი — „კომფორტია“ — ეს არის ისეთი ადამიანის თქმა, რომელსაც არაფერი (და არავინ) სანატრელი, არავითარი სასურველი არ გააჩნია დედამიწაზე. სიყვარულმა კი სხვა რამეც იცის. შეიძლება სიყვარულმა „ხმელი პურის რეჟიმში“ ჩაგაყენოს გამუშავოს მეტი, ვიდრე ეხლა მუშაობ, და შენ კი უუბედნიერეს არსებად გრძნობდე თავს.

რამდენი ყოფილა რომ კომფორტს გაქცევია და „სიღარიბეში“ გაბედნიერებულა. ასეთებს არ უთქვამთ „კომფორტი ყველაფერიაო“... მეტადრე მე უნდა მიფრთხილდე, ჩემო კარგო. ხომ იცი, ადამიანის პიროვნებაზე დიდი გავლენა მაქვს...

ზოგიერთს ბედნიერება სვანეთის მინგრეულ ქოხშიაც კი ვაგრძნობინე და ეს სრულიად გარეშე ყოველგვარი „სიყვარულის“ გრძნობისა. შენ კი, ჩემო საყვარელო, თუ შეგიყვარდი — სულ დაიღუპები. ასე რომ მიფრთხილდი.

...თავგანწირული ადამიანისთვის, რომელიც არ ფიქრობს თავის თავზე და გატაცებულია „იდეებით“ და „მოღვაწეობის აზრებით“ — ასეთ ადამიანისთვის თავდავიწყებული შეყვარება „ხასიათის ნგრევას“ არ გამოიწვევს და ბუნებრივია, მეტადრე თუ ის შეხვდა მასზე არა ნაკლებ თავგანწირულ „გმირს“, როგორიც მე ვარ ბევრის წარმოდგენაში. თავის სიღარიბეში ასეთი ადამიანი მდიდარია და ბედნიერი და მისთვის ბუნებრივია ჩემი პიროვნებით მოხიბლვა, როგორათაც ის ისახება ბევრის წარმოდგენაში... შენ კი სულ სხვა რამე ხარ: დინჯი, „დალაგებული“, „ეგოისტი“ და ძლიერ ნაკლებად „თავგანწირული“. შენ, მართალია, თავს დასცინი, როცა ამბობ, ისეთ აეროპლანზე ვოცნებობ, რომელიც მუდამ ღამეში მატარებდესო, მაგრამ მაინც სიმართლეა, რომ შენ თანდათან „იძინებდი“ (ყოველ შემთხვევაში ჩემთან შეხვედრამდე). თავგანწირულობაზე რაღა ვილაპარაკო, როდესაც ყოველგვარი ღრმა სურვილებიც თანდათან ატროფიას განიცდიდენ (თუ განიცდიან?) და რჩებოდა (თუ რჩება?) ერთი: პირადი კომფორტის სურვილი, ცხოვრების „სიძნელის“ თავიდან მოშორება — „ეგოისტური ბედნიერების“ გრძნობა. უწინდელი ერთგვარი „გატაცებიდან“, რომელიც ბავშვობაში ოდნავ მაინც გქონდა („შევარდენი“), ეხლა მხოლოდ რაღაც სიცარიელეს და მარტოობის გრძნობაღა გრჩება, რომელსაც „მეგობარს“ თუ გაუმჟღავნებ...

თავგანწირული ადამიანის მიერ თავდავიწყებული სიყვარული ბუნებრივია და „ხასიათის გადაშენებას“ არ იწვევს. შენთვის კი? სულ სხვაა. ასეთი „დაძინებული“ და „დამძიმებული“ ადამიანისთვის ნამდვილი შეყვარება ძნელი რამეა, რადგან პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ბუნებას. საჭიროა დანგრევა მთელი მისი არსების და ნანგრევებიდან ახალი „ხასიათის“ აგება. და მე ჯერ შორიდან, მაგრამ თანდათან უფრო ახლოს შენსკენ მომავალი ძლიერი ხმით გაღვიძებ და გიყვირი: გაიღვიძე, გამოფხიზლდი, გამხიარულდი, გაბრწყინდი, იგრძენი ცხოვრების სილამაზე და სიმშვენიერე. იმ ჟორჟეტიდან, რომელიც ხარ, გახდი იმ ჟორჟეტათ, რომელიც შეგიძლია და უნდა იყო. წელში გაიმართე, ამაღლდი! მე მინდა ეს იმიტომ, რომ ხარ ჩემი სანატრელი, ჩემი მშვენიერი“...

აი, ვინ აირჩია მეგობრად გიორგის გულმა და ობოლმა სულმა...

და მერე წერს.

„როდესაც ჟორჟეტაზე ნაწყენი ვიქნები კიდევ, გამახსენდეს მისი მისწრაფიანობის შელახვა, ე.ი. მისი გულის ტრაღედია. მისი უწინდელი მზიანი სული, სრული ნდობა და მზიანი აღტაცება მამამისის მოღვაწეობით, მამამისის მისდამი სიყვარულის სინაზე, რომელიც ასე ვიგრძენი პარიზიდან აქეთ გამომგზავრებისას და დღეს ამაში ყველაფერში ჩემ საყვარელ და ძვირფას ჟორჟეტას გულის გატეხილობა. ჩემი საკუთარი გულის ტრაღედიის გამო ეს ყველაფერი მე ხშირად სასტიკად მავიწყდება და ჟორჟეტას მზიურ და მთლიან ხასიათს მე ამით უხეშად ვთრგუნავ და ვუღამებ. ეს უნდა მუდამ მახსოვდეს, მუდამ, მუდამ. ჩემი პირადი კი უნდა უკუვაგდო“...

და ის ასეც იქცეოდა სიკვდილამდე, უკანასკნელ წუთამდე...

გიორგის თქმა და საქმე — ერთი იყო...

ასეთი იყო გიორგის ძირითადი სიყვარული, მისი გულის „საქართველო“. წელიწადი ერგო მხოლოდ ამ სიყვარულს, ასე ინება შავ-ბნელმა სიკვდილმა!.. :

გიორგის ცხედარი ბოლოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის იმ შენობაში იყო მოთავსებული, სადაც დღეს საქართველოს საპატრიარქოა. ხოლო ფეროშენადნობთა დიდუბის საცდელი ქარხნის ცხელმა თუ ცივმა ქარიშხალმა კვლავ დიდუბეში ისურვა დაწყნარება. რუსუდან ნიკოლაძე თითქმის კვლავ რეპორტიორის მონდომებით აღწერს გიორგის დაკრძალვის პროცესიას გიორგის საყვარელი ბარათაშვილის უბნიდან დიდუბის პანთეონამდე.

: დედას არ უნახავს გიორგი კუბოში.

არც ჟორჟეტას...

მაგრამ მათ, ვინც 7 თებერვლის ღამე გაათიეს აქ გიორგისთან? ნუ-თუ მათ არ ახადეს თავი კუბოს — არც ერთხელ, როცა მეც წამოვედი — ნიკოზე ცოტა უფრო გვიან, ღამის პირველ საათზე ჩემი და გიორგის მეტალურგიული ინსტიტუტიდან — გიორგისაგან, მისი კუბოსაგან, რომლის გვერდში დავტოვე ლიტუსი და მარო ბეჟანიშვილი, შოთა და დევიკო, ელიკო და ასმათი, სოსო და მიქელი...

— ყველა გავიდეს, ჩვენ მარტო დავრჩეთ, მოისურვა დედამ, რომელიც თავის ოთახში იყო ლოგინზე დაწოლილი სწორედ იქ, სადაც მამა გარდაიცვალა. შუა ოთახში — ჩვენ სასადილო ოთახში. ჩვენი საერთო ასეთი მხიარული სასადილო მაგიდის ადგილას გიორგის კუბო იდგა, ერთი საათით იქ დასვენებული, ამ ოთახის იქით კი — ყოფილ ჩემ ოთახში ახლა ჟორჟეტა იყო „შეხიზნული“ — უმწეოდ — გიჟივით — ხან თავის ლოგინზე პირქვეით დაცემული, ხან ცხელ ღუმელზე აყუდებული, აკანკალებული...

დაცარიელდა სასადილო, კუბოს ოთახი და გამოვიყვანეთ სრულიად ფეხებწართმეული დედა... მერე ჟორჟეტა...

ყველა... დაგვაჩოქა დედამ გიორგის კუბოს წინ... კი არ ეცა მის კუბოს და კი არ „ჩაიკრა“ გულში უკანასკნელად თავისი გიორგი, თავისი პატარა გიორგი, თავისი ბოხი ხმიანი და ციურ ღიმილიანი შავი ბიჭი — არა, მან სათნოებით, რაღაცა სასოწარკვეთილებითი ექსტაზით, რაღაცა ზეადამიანური გატაცებით დაეცა — დაჩოქილი თავისი ვაჟის კუბოს წინ — დაეცა და... ლოცვა დაიწყო... დედამ, რომელსაც 15 წლიდან არ სწამდა ღმერთი და რომელმაც ჩვენ ეს ადრე ბავშვობიდან გადმოგვცა მე და გიორგის... მერე თამროსაც...

მაგრამ ოჰ, რა „ლოცვა“ იყო ეს ლოცვა!.. გიორგის სულზე ლოცვა... რომელსაც ის უკვე ცაში ხედავდა, შუქურ ვარსკვლავად დაანთებს ჩვენს სახელმძღვანელოდ, თავისი სამშობლოს საგუშაგოდ... და დედამ ფიცი დაგვადებინა — ყველას — მეთამრო-ჟორჟეტას — თავის თავს — ნიკს და გურამს — რომ ჩვენ ამ შუქურვარსკვლავს გავყვებით, მუდამ ის გვეხსოვნება ჩვენს საქციელში, მის ღირსად მოვიქცევით, სულით არ დავეცემით, მას ვემსახურებით — მას და საქართველოს — რისთვისაც გიორგი აინთო — სამუდამოდ — შუქურ ვარსკვლავად თავის სამშობლოს ცაზე...

აუწერელია ის წუთი, ის წუთები და დედა...

უნდა ყოლოდა! ის კი მას... ასაფლავებდა.

ეთხოვებოდა! სამუდამოდ! სამუდამოდ... შვილო! მშვიდობით, ჩემო შუქურ-ვარსკვლავო, შენი სამშობლოს კელაპტარო! მშვიდობით გიორგი! ფიცსა ვდებთ დედა შენი, შენი ჟორჟეტა, შენი დები რომ შენ ღირსად მოვიქცევით უშენოდ — საქართველოს ვემსახურებით, შენი და მამას კვალს მივსდევთ... შვიდობით, შვილო გიორგი... დაიფიცეთ, რუსო, თამრო, ჟორჟეტ, ნიკო... შვიდობით, შვიდობით...

ცისკენ — ვარსკვლავ-გიორგისკენ მიმსწრაფი და ხელებაწეული დაეცა დედა გულშეწუხებული და არა კუბოზე მიკრული — როგორც ეს ჩვეულებრივია — როგორც ეს იაგორასაც ეჩვენებოდა მყინვარწვერიდან იმ დღეს... :

დაბოლოს, რუსუდან ნიკოლაძე აქ იმ ლექსს იხსენებს, რომლითაც იაგორა კაზალიკაშვილმა დაიტირა თავისი მეგობარი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარიამ კაპანაძე

თეთრი ხალათი

ფანჯრიდან შემოსული ნიავი ფეხებს მიყინავს და მაიძულებს, ავდგე. ვწერ და მგონია, შუაგზაზე გავწყვეტ, მერე ამასაც დაერქმევა დაუსრულებელი, მკითხველისთვის ყველაფერი შეწყდება და ერთ გვერდზე დაიწყებს ბორგვას — შეეცდება, 300 სიტყვით გამაშიშვლოს და ისე დამაკვირდეს, როგორც ქირურგები აკვირდებიან ხოლმე ადამიანის ამოსაკვეთ ან გასაჭრელ ორგანოს... მათთვის ეს ადვილია, ჩამოუსვამენ სკალპელს, სისხლის ჭავლს შეაშველებენ ლურჯ ხელებს, ტამპონებს, მერე გაკერავენ და ისევ უნდა განაგრძოს კაცმა ან ქალმა ცხოვრება ისე, თითქოს არაფერი მომხდარა.

სანამ მარტო ხარ, მანამდე ასწრებ საკუთარი სულის დაცლას. ფურცლები იღებება. ტორშერის შუქი თვალებს გიბრმავებს. ფეხები ისევ გეყინება, მაგრამ არ დგები. ისიც იცი, რომ არავინ მოვა და არავინ დაკეტავს... თითქოს გაფხიზლებსო... იქნებდა, არ დათვრე იმით, რასაც ადამიანთა მონატრება ჰქვია!

ბავშვობის მერე ბევრი რამ შეგეცვალა. იქიდან რომ იხედები, პატარა დანგრეული ეჩვენები, არადა, ჯერ ცხოვრების ნახევარიც არ გაგივლია... ქუჩაში გასული ისევ ისე დადიხარ, როგორც ადრე — გაფართოებული გუგებითა და გახშირებული სუნთქვით. სულ გგონია, რომ ვიღაც მოვა და უკნიდან ყურში ნაზად ჩაგჩურჩულებს გასავლელი გზების მისამართებს. იქნებ იმ ოხერტიალ გზაზეც გამოგყვეს — კაცმა არ იცის, იქნებ იპოვო!

სახლში შენახული ან ჩამოკიდებული თოჯინების მიღმა შენი ცხოვრება იმალება და ის ერთი ადამიანიც ამ თოჯინაშია ჩასახლებული, ოღონდ შენ არ იცი, პლასტმასს არ გინდა, მიამგვანო, გეშინია, ვაითუ, მეც მისებრ ვიქცე თოჯინადო, არადა, შენც თოჯინა ხარ, შენი კუჭი ამოვსებულია ფიქრებით და განაყრებს, ოღონდ იცი, რომ ერთხელაც ეს ფიქრებით ამოყორილი კუჭი გაჩერდება, ეს ნარჩენი მოგწამლავს და მერე მიაკითხავ ექიმს, რომელიც შენი ყურის უკან მარჯვენა მხარზე უნდა ჩამომჯდარიყო!

ექიმი ცივი და უხეშია. მძიმე ნაბიჯებით მოდის. გამაბრუებელი სუნამო ასხია. გულზე გედება სურნელი. ამოვსილი კუჭი მუცლის ღრუს გატკივებს და იშლები. უყურებ მას — ვინმე ლ. რ-ს, მისი თაფლისფერი თვალები შენს მწვანე თვალებს ერთვის, მისი ტუჩები კი შენს მარჯვენა ყურს უახლოვდება, ნაზად ამბობს: აღებინეთ, ქალბატონო, თქვენი ნარჩენი აღებინეთ და მერე ყველაფერი გაცილებით კარგად იქნება!

გაოგნებული უბრუნებ კითხვას:

— როგორ თუ ვაღებინო? მე ხომ მხოლოდ ის დამრჩა, ისაა ჩემი საკვები...

— საკვები?! თქვენ თქვენს წარსულს ჭამთ, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ავად ხართ...

ამას ამბობს მაღალი, შეუვალი ექიმი და სადღაც ბნელ ოთახში მიგაგორებთ...

— ზედა აიწიეთ.

— ახლა? რა საჭიროა?

— საჭიროა, უნდა გაგსინჯოთ.

ზედას იწევთ გამხდარი ხელის მტევნებით, ექიმი თქვენს მუცელს უმზერს დიდი ინტერესით, ათვალიერებს, თითქოს ხაზებს ავლებსო, ოღონდ არ იცი, ეს გავლებული ხაზები რაში სჭირდება. შენ ხომ უბრალოდ კუჭი გტკივა, არც მოელი, რომ რამე უნდა ამოგკვეთოს!

ლ. რ. თავის მოვალეობას ასრულებს, მერე ნაზად გიწევთ მაისურს დაბლა, სახლში გიშვებთ...

შუაღამისას ეს ნახაზები პირს დააფჩენენ და აგტკივდებიან, კუჭიც გტკივათ, ეს დაფლეთილი ხორცებიც... მოდიან ნიაღვრად ჩაგროვებული, გადაყლაპული ფიქრები, რასაც ექიმმა წარსული შეარქვა. იცლები, ხორცი პირს აფჩენს, ლამისაა ლაპარაკიც დაიწყოს, წევხარ, მოსვენებას კარგავ, არ გინდა, გამოეთხოვო, მაგრამ ეთხოვები, იცლები და პატარავდები.

იმ დღის მერე ყვავილად გადაქცეულხარ, ექიმ ლ. რ.-ს ქოთანში გადაურგიხარ და ყოველდღე გისხამდა თურმე წყალს სიცოცხლისთვის, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს ისევ დაეჭრა ფოთლები ან ხორცები ახოვან ვაჟს, რომელსაც ხალათი დილით თეთრი ჰქონდა, საღამოობით კი სისხლისფერი და არავინ იცოდა, ეს რატომ ხდებოდა მაშინ, როცა არავინ უკვდებოდა, არავის სისხლი ეშხეფებოდა.

სპექტაკლი

ცივ კედელს ვეყრდნობი, ხერხემალი მტკივა, თავი მძიმედ მაწვება მხრებზე და დაღლილობა თვალებს მახუჭვინებს. ვფიქრობ — წარმოსახვა უფრო ძლიერია თუ ცხადი? ადამიანი წარმოდგენით ბევრ რამეს წარმოიდგენ, მაგრამ შესაძლოა, ის რეალობად ვერასდროს იქცეს. ისე კი, შეუძლებელი ნამდვილად არაფერია ამ ქვეყნად! ეს შენი წარმოსახვები სანახევროდ მაინც აგიხდება...

გააჩნია, რას წარმოიდგენ — მდიდრულ ბინას, ფულის მფრინავ ტომრებს თუ პატარა ოთახსა და სიყვარულით დახუნძლულ სულს!..

უფლის ხატება მაშინ დაგდის სულზე, ხელის კანკალით რომ იწერ პირჯვარს, მხრებზე მოწოლილი ცოდვებით დადიხარ, აკლებ და ამატებ ნებსით ან უნებლიეთ!

სპექტაკლი დაგიდგამთ ბავშვობაში? მე მიფიქრია ამაზე. მახსოვს, მითამაშია კიდეც ბავშვობის მეგობრებთან ერთად. მთავარი რეჟისორი ერთი ჩვენი მეზობელი იყო, სახელად თამრია — მხიარული და კრეატიული. ცდილობდა, მუდამ ბედნიერები ვყოფილიყავით. ახლაც რომ მხვდება, უწინდებური სიყვარული აქვს თვალებში...

თქვენ როგორ ფიქრობთ, სპექტაკლი რამდენჯერ შეიძლება დადგას ადამიანმა თუ ის მსახიობი არაა? მხოლოდ ბავშვობაში? არა, მე ასე არ ვფიქრობ. რატომ? აი, შეხედეთ ცხოვრებას და მიხვდებით. ხსენებული მეგობრები გაიზარდნენ, სახეც კი შეეცვალათ, ვაჟკაცებად იქცნენ. სამიდან ერთ-ერთს ვიღაც უყვარს, არა მეგობრულად, არამედ ისე, ღვთაებრივად, ვარსკვლავს ეთამაშება და მოწყვეტას ან აკიაფებას ცდილობს.

ფეხის გადაბრუნებაზე დედამისის გაფრთხილება ახსენდება და თმას ისწორებს ნერვიულად, პიანინოსთან მისულს მე ვახსენდები ან ჩვენი ბავშვობა. ხან მცირდებიან ადამიანები, ხანაც იზრდებიან. თქვენ რა, არ გინახავთ ნიღბიანი კაცი კლოუნის ან მკვლელის სახებით?!

რა გრძნობა გეუფლებათ, როცა სპექტაკლებს უყურებთ? თითო პერსონაჟი თავისას ჰყვება, შენ კიდევ უცქერ, გიყვარდება ან ბრაზდები და მოურიდებლად გაიძახი — „რა უშნო არსებას თამაშობს...“ თუ პირველად უყურებ, არ იცი, როგორ დასრულდება და მთელი ემოციებით შიგნით ხარ...

შენს ცხოვრებასაც უყურებ თითქოს. მე მეგობრისას გვერდიდან ვუყურებ, ისიც მიყურებს. თამრია არაა ჩვენი სპექტაკლების რეჟისორი, თავად ცხოვრებაა და კაცმა არ იცის, როგორ დასრულდება, ვინ რას ჩაიცვამს, იცეკვებს, დაშლის ან ააწყობს.

მთავარ როლებში მყოფები ზოგჯერ კლოუნებადაც გვევლინებიან და თვალთახედვას გვიცვლიან. გრძელია ჩვენი სცენა, არ ვიცით, იქნებ ბავშვობის სპექტაკლი მოგვენატროს თავისსავე ფორმებითა და როლებით.

მთავარი რეჟისორი ამაზე დაგვცინებს, უცებ მოგვაძახებს — ამოიწურა ის დრო, რაც გაქვთ სათამაშო, ის განაგრძეთო და ჩვენც გავაგრძელებთ თავდახრილები ან თავაწეულები, გააჩნია, როდის როგორ როლს მოვირგებთ.

ისიც კი არ ვიცით, რას წარმოვადგენთ, ამიტომ ვეტრფით ბავშვობასა და ბებოს სპექტაკლებს, თუმცა თამაში ყოველთვის ცუდად როდი მთავრდება.

იქნებ შენც გიწევს მოკიაფე ვარსკვლავთან ლიცლიცი, რომელიც ლოცვანს კითხულობს ანალოგიასთან, ღაღადებს ან მღერის თავის ცხოვრებას, იქნებ შენი სპექტაკლის ბოლო გარდაცვალების მერე კარგ დასასრულს იფერებს.

რეალობაში დაბრუნებულს ისევ თამრიას დადგმული სპექტაკლები მირჩევნია და ბავშვური თრობა მწყურია ნამდვილი მეგობრებით, მაგრამ მარცხენა მხარზე „შემჯდარი“ ცხოვრება უკან დაბრუნების გზებს მიხერგავს.

უჰონორაროდ უნდა დადგაო შენი სპექტაკლი, მახსენებს და წინ იშვერს თითს — მთავარი სცენისკენ, სადაც ჭრელ-ჭრელი ნაცნობები ან უცნობები დგანან.

დაკეცილი ტანსაცმელი

განათებულ ოთახში ვზივარ. პირველი საათია. მანიკიურისა და აცეტონის სუნია — ატმის სუნი აქვს და გულზე მეფინება, აპრილია და თავიდან ყვავდება ყველაფერი, ბუნება იღვიძებს, მაგრამ საკითხავია, ადამიანები იღვიძებენ თუ არა ჩამოღამებული ოთახების მივარდნილ ადგილას... ნოემბერში ჩაწვნენ, გამოზაფხულდა და ისევ წვანან, არაფრის ან ყველაფრის გამო! წვანან და ფიქრობენ — შეიძლება თუ არა, თავი დააღწიონ ღრმა სიშორიდან მოსულ სიბნელეს.

აღდგომა ახლოვდება. შვიდგზის ზეთისცხებები ტარდება, ზოგი ასწრებს მისვლას საცხებლად, ზოგი — ვერა და ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს გაუწმენდელი ხვდება დღესასწაულს. ის ქალი, ღრმა სიბნელიდან რომ იყურება, მარხვასაც ვერ იცავს, ან არ იცავს. ზოგჯერ იკარგება და საერთოდ არ იცის, აქ რა უნდა, რას ელის ცხოვრებისგან. მისი ყოფა ერთფეროვანი და მოსაწყენია, აცეტონისა და მანიკიურის სუნში გაჟღენთილია, მხოლოდ იმ ატმის სურნელით ტკბება, საწოლის გვერდით, ტუმბოზე მდგარ სითხეს რომ ასდის და ელოდება, როდის გამოისხამენ მისი ხელები ატმის რტოებს.

კარადაში ტანსაცმლის ნაცვლად უწყვია დაკეცილი მოგონებები — გამოიღებს, გადაიცვამს და დადის. აღარავინ ეკითხება, დაუმოკლდა თუ არა სვიტერი, აღარც მის გულის ხმას უსმენენ ახლო მეგობრები. გუშინწინ პირველი ჭაღარა იპოვა თმაში, ხვალ-ზეგ პირველ ნაოჭს აღმოაჩენს სახეზე, რომელიც ორ ნაწილად გაყოფს — ხან აქეთ იცხოვრებს, ხან — იქით, ახალგაზრდობაში.

თმას ისევ აიწევს და გადახედავს გარემოს, რომელიც მისი ოთახის ფანჯრიდან მოჩანს. განდეგილია. არავინ ცხოვრობს მასთან. მხოლოდ ღამ-ღამობით მოდიან სულთან საჭორაოდ წარსულთა ლანდნი.

ერთ სიბრტყეზეა, ერთ ოთახში. აქ არის ქრისტეც, ეშმაკიც, წარსულიც, აწმყოც... ზოგჯერ უნდა დახუჭოს თვალი და ააბობღდება ეშმაკი გულზე, ჩაჰყვირის და ჩაჰყვირის რაღაცას, არ იცის ამ ქალმა, ამათ გარდა, წლებია, აღარავინ უნახავს. დაფანტულია ოთახში და ყველაფერი მის წინ უფერულია, მხოლოდ ერთს არჩევს — ქრისტეს... და კარადაში დაწყობილ ტანსაცმელებს.

დილით წამოდგება, გადაიცვამს თავის ახალგაზრდობას და ჯერ კიდევ უთენებელში მისგან წარმოქმნილ კაცს დაინახავს, მის წინ ეს კაცი დაიხრება, დაეწაფება, მოშიშვლებულ ყელს დაუკოცნის, მერე რაღაცაზე პატიებას სთხოვს, ისევ ჩაიკრავს გულში და აქვითინდება, გაქრება.

ქალი დარჩება, მისი ხელები მოხრილია, თითქოს ვინმეს ეხუტებაო, მას მერე ქალს ეს ზედა აღარ გაუხდია. მონასტერში წავიდა, იქაც ეს ეცვა. ურწმუნო კაცი შეიყვანა ტაძრის წიაღში შუაღამისას. აღდგომის წინა შაბათს ისევ გამოიძერწება მასში წარსულის კაცი, დადგება საკურთხეველთან ახლოს და გადაიწერს განცხრომით პირჯვარს, შეავლებს თვალს ხატებს, ქალს, ჯვარცმას და დაიჩოქება! დედაოს სამოსში გამოწყობილი ქალი უყურებს, მხოლოდ ახლა ცნობს სიყვარულს, აღარ ეწაფება კაცი მის ყელს, ხელებს უკოცნის და ხატიდან ჩამოღვენთილ მირონს აცხებს ჯვრებად.

ახლა გაპრიალდება თმაჭაღარა ქალისთვის, ახლა გამოვა სიშავიდან, იგრძნობს დაკვირტული ატმის სუნს და ამაღლდება ზეცად კაცთან ერთად აღდგომის შაბათს!

ალბათ იქ უცდიან ისინი ოთახს, რომელშიც დაკეცილი ტანსაცმელების ნაცვლად თვითონვე შექმნიან ახალ სამოსებს ფერადი ძაფებით.

გარდაქმნის ხელოვნება
ანუ როგორ ვიმღეროთ სრულყოფილებამდე

შეხედე,
როგორ ვცდილობ სიყვარულის კანზე განაწილებას,
ისე, რომ შევძლო ხერხემლის გაშლა და
თან შენს ხანგრძლივ ამოსუნთქვას შეესატყვისოს.

არ შეიძლებოდა სარკეების ნდობა,
შევცოდე და შევეცოდე...
მას შემდეგ ამ ხმას ვარბილებ,
წყევლასავით რომ დამდევს იქამდე,
სადაც აზრი იქნება საკმარისი
ყოველი ცვლილებისთვის.

სიტყვის ჩრდილები მეკედლებიან და
მე მიყვარს მათში დაცული სიყვარული,
რომელიც დრამად გაჭიმული საუბარია სიმღერამდე,
სიმღერამდე კი ქამელეონის გასხვაფერება...

ვიდრე დრო პატიებას ითამაშებს სპექტრის ზურგით
(სადაც მე ვცხოვრობ ყველა ჩემი თავით,
რადგან ძალიან ცოტას იტევს აწმყო),
დავიჯერებ,
რომ გარდაქმნის პროცესშია სრულყოფილება.

* * *

არაფერია ისე ხანგრძლივი,
როგორც გრძნობების გარშემო
მოძრაობა შეყვარებამდე...
ჰო, აბა, რას მომცემს წვეთის სიღრმის კვლევა,
როცა მისი საწყისი
ტკივილებითაა გადაფარული და
არც მზისგან მიტაცებული სევდა,
სპილენძისფერი,
არც ვერანდის ნათურებიდან დაჭერილი შუქი
მოითხოვს განმარტებას,
რადგან მხოლოდ სინათლე არ კმარა
მადლიერების დაბალ ნოტზე
ადამიანად შექმნისთვის:
დღის მქონე,
ანდა, პირდაპირ დღესავით არსებულ ადამიანად.
შენ, ჩემო მოულოდნელო არშეხვედრავ,
როგორ დაიჯერე,
რომ ვისაც არ უყვარს — სანთლებს წვავს,
ან ვისაც უყვარს — შიგნიდან იწვის...
და თუ ლირიკაში გეღვენთება
უფუნქციო ყველა მანძილი,
არაფერია აქ ხელოვნური,
არაფერია წვეთოვან ბედნიერებაზე ხანგრძლივი...

* * *

მე უფრო ის მაინტერესებს,
ფიქრებში რომ
მდნარი ლითონის ჩასხმა შეიძლებოდეს,
რა მონუმენტი ამოვა აზროვნებიდან...
შემოეფცქვნები და დადებ სამხილივით,
რომ ყოველ დევნაზე მიუთითო:
აი, ისაა ცნობიერება,
შენ — არაფერშუაში.
ფასადი ფიდიასიდან,
მაგრამ მატყუარა,
ქვის ქალღმერთების საპირისპირო,
როცა ფორმას შინაარსი სჭარბობს
და ისევ ერთი და იგივე...
მანაც ფეხი არ წამოჰკრა გარეგნულ სიბლაგვეს?!
მერე ლითონის ელვარება როგორ დათრგუნოს,
თუ ჯერ არ იცის,
რომ შენს განსხვავებულ იერებს შორის,
ყველაზე ნამდვილი
თვალებიდან გადმოღვრილი მინიმალიზმია,
უნაპირო,
ვერშეძენილი ექსპონატივით...

* * *

ამ ამბის ვარიაცია სხვადასხვაა,
შენ როგორ გაწყობს?..
მე ცოტა ხნის წინ სხვა გაკვეთილად ავითვისე.
თავის ხელში აყვანისას
ბავშვის ხელებად გამობმული კიდურები
ყელზე შემომეხვივნენ და ხანდახან მახრჩობენ,
თან ამ დროს გადარჩენას მასწავლიან...
ნახავ, რატომ ვეძებ ისეთ ადგილებს,
სადაც მე ვარ მყარი სხეული,
საწოლში გვერდით კი — სირბილეა
და ფერმკრთალი სისხლძარღვების
შესანიშნავი მონახაზები...
მაგრამ არაა, არსადაა საკუთარი თავის ნაწილი,
ისევე როგორც სიხარული,
როგორც გამოძერწილი ხელნაკეთობა,
თუნდაც ცივი ხელებით გამოძერწილი,
ცივი ხელების დაავადებით,
ამიტომ იატაკზე ვიჩვევ ძილს,
ჩუმად და მიწასთან ახლოს.
მერე ისევ ჩემს მკლავებში ვჯდები
(რომელთაც აქვთ თავიანთი პირადი სიღრმე),
ისინი არასდროს ცდილობენ ჩემს სადმე წაყვანას...
და ასე, სულ ვცდები დროში,
ვცდები დროით და
ვცდები დროს,
რაც ვერ ვისწავლე და არც გამაჩნია.

* * *

დრო ტყდება საშინლად...
აი, მაგალითად,
ისე აღარ გჯერა მეგობრობის გამოცდილების,
რომ გადახედავ ირგვლივ ცარიელ ადგილს
და იმედიც
თმის ჩაწნულ ნაწილთან ერთად ჩამოგეშლება,
ჩვენს შორის ნათქვამი
საიდუმლო სიტყვების კვალით...
სიყვარულით სიმშვიდე თუ შემოგევლება
და მოჩვენების გარეშე
გახდება ყველაფერი ისე ნამდვილი,
რომ სიტყვის დასრულებამდე
შემოსული რამდენიმე ზარიც ვერაფერს შეცვლის.

დრო გატყდა საშინლად,
დგახარ ბზარებზე და
გავხარ გაღიმებულს გაოგნებამდე.

მარტო სიარულიც ხელოვნებაა,
ვიდრე სიმარტივეს არ მივაგნებ,
ნუ მახსენდები!

* * *

ნუ შემეწინააღმდეგები,
თუ ეგოიზმი არა, მაშინ რაა,
როდესაც ყოველი წუხილის
გამოშვების შემდეგ
შორისდებულ გალავნებს ამოიყვან,
დავიწყების უნარიც
პირდაპირ მადლივით და
თავში ჩაკეტვის სირთულე
სინონიმივით შემოგარსდება.
აბა, როგორღა მოგისმინონ,
აბა, როგორ გაიგონ...
შესაბამისად, მაინც დიდი შეღავათია,
ღმერთის გვერდით რომ გსურდეს და
ამ დროს ცის გადასაწმენდად გაგიშვან.
გამოეკიდები ქარს,
ღრუბლების გაქრობას შეეცდები.
ამის შემდეგ სიმკვეთრე უფრო დამღლელია
და სული თითქოს უფუნქციო,
თუ თვალებიდან არ ამოვიდა.
თუ ამ და სხვა მოლოდინზე
ენაწართმეულმა ხმოვნებმა ვერ გითხრეს,
ფიქრებმა მაინც როგორ არ გიამბონ
მუდმივად იმ სიტყვის ძიებაზე,
რომელიც ორივეს
აუცილებლად გადაგვარჩენდა.

* * *

ვინ გაიხსენებს დასაწყისის ზუსტ წერტილს...
ქვებს ლაპარაკი რომ შეძლებოდათ,
იტყოდნენ:
კენჭის სიმყარე აქვს ეჭვის ფორიაქს,
ან იქნებ ნისლის ისეთი სიმკვრივე,
მიმართულების შეგრძნებას რომ გააშეშებს.
ზღვა ვერ შეგირევს,
თმას ოდნავ შეგირხევს,
კანს დაგინაღმავს,
თვალებში სათითაო ნაპერწკლებად დაიბადება
და დაბადებაც ისე უხმაუროდ გიაშკარავებს
სახელს გარე სივრციდან,
სახელს ფესვის გარეშე,
რომ მიმიკიდან ნაკვთებამდე
მხოლოდ მეწამული ატომები გამოუჩნდება
და თუ ქვების მზაობაც,
იქვე ცეცხლი...
რომელ სტატიკურობას ელი?!
ზღვა რომ დატოვე და ხანძრად იქცა —
მანათებს...

* * *

უამინდო შესვენებებით
შეწყობილი დიალოგია
ჩვენი სულიერი კომპოზიცია,
მე სულ ვსაუბრობ,
შენ — მეთანხმები...
არცერთი გრამით მეტი უჩვეულობა,
არცერთი ამინდი შეუსაბამო,
სიმბოლიზმი უნიფორმასავით...
ისე კი,
სულ რამდენიმე სიტყვის მოქნევაა საკმარისი,
რომ გაგიკვირდეს...
როგორ შეიძლება ამდენ ცისფერში
წამიერი შემღვრევა?
სიმრგვალე მუხლებს მოგაგონებს,
სითეთრეს — გამორეული სახამებელი.
უმწეობა გინდა?
შესამჩნევია
ერთი ტონით გაღიავება,
როგორც ხავერდზე
ხელის გადასმა
საპირისპირო მიმართულებით...
იმ საწყის წერტილზე დაბრუნებაც
(ღერძს რომ გულისხმობს
სამყაროს შემოტარების მცდელობით)
უკლიმატოს ხდის ტილოზე ნისლებს
და როცა გაზაფხულის გამოტოვება
თვალებში სიცისფრის გადარბენით მოიღრუბლება,
მოდი და ნუ გაწვიმდები,
ნუ გაწვიმდები...

* * *

ერთხელაც უნდა გაიხსნა და დაიცალო.
ხერხემალზე აკიდებულ ყოფით ძველმანებს
ვეღარ დამალავ.
იდგები ზურგით, ამინდივით ღია.
მოვლენ და ვინ რას წაიღებს —
განცდის რომელ მალას,
სანახაობას წარმოადგენს,
მოწყენამდე მარტივს.
მერე იქნები ისეთივე ცარიელი,
გაყუჩებული,
როგორც სანაპირო წყლით უკან დახევისას,
თითქოს სამყარომ ტალღები შეისუნთქა
და ელოდები კლდეების ექოს.
ეს ის სიმშვიდეა,
რომელშიც შენი ხმოვანი შენარევები
სენტიმენტების ზურგს უნდა მიეყრდნონ,
ჯერ სტრიქონები გაიარონ,
მერე — ხელები და სუფთა ხერხემალზე,
წვიმის აქცენტის საპირისპიროდ
წარუშლელობის თავდაჯერებით მოხაზონ
სხვა სიყვარულის ანატომია.

ხათუნა დოლიძე

არ ვიცი, ვინ ვარ...

არ ვიცი, ვინ ვარ, საიდან მოველ —
ვარ ზეცის პირმშო, თუ ცოდვილ მიწის?!
ან ვინ ბატონობს ამ ფიქრთა მორევს:
მხარს ანგელოზი, თუ ეშმა მიზის?!

იქნებ, მართლაცდა... თიხის ვარ გუნდა,
იქნებ, ვარსკვლავი — ცაზე რომ ენთო?
ან ეს სიცოცხლე რად მადევს ხუნდად,
წუთისოფლის ტყვედ რად შემქმენ, ღმერთო?!

მე ახლა სული ამივსო სევდით —
უთქმელ სიტყვათა უღონო ხმობამ!
ვერ ვეთაყვანე ცრუ კერპებს დღემდის,
მხოლოდ მუზათა ვიწამე ტრფობა!

...და თუ სიმართლის ჭრიალა ურემს
უკან იტოვებს სიცრუის რაში...
ისევ კალამში ჩავახშობ ურვებს,
ან კი ნუგეში ვიპოვო რაში?!

არ ვიცი, ვინ ვარ, საიდან მოველ,
ვარ ზეცის პირმშო, თუ ცოდვილ მიწის?!
ან წავალ საით, სამყაროს რომელს —
ეს მხოლოდ ერთმა... უფალმა იცის!

გულო, გამაგრდი კლდესავით!

შემოათენდა სალ კლდეებს —
უღრან ხევებში მძინარეს...
თავზე მოადგა რიჟრაჟი
გულზე დარდ-გადამდინარეს.

კლდეებს პირქუშად მომზირალს
ნისლებად ადევს ნაღველი...
რამდენი რამე უნახავთ —
რამდენი რამ აქვთ სათქმელი...

გულო, გამაგრდი კლდესავით,
ნუ დაგიმონებს ტკივილი...
ისევ მოიხმე დარაჯად
მგზნებარე სულის ყივილი!

გულო, ნუ ურჩობ, მიენდე
რჩევას და ფიქრებს გონების...
შენ კიდევ ვერ შეგიცვნია
ავი და კარგი ცხოვრების...

სხივებმა შუქი მოჰფინა
კლდეთა მრისხანე იერსაც...
სითბოთი მოდრეკ ამ ქვეყნად
ყველას: სუსტსაც და ძლიერსაც!

დამიბრუნდი, გაზაფხულო... დამიბრუნდი!

ახლა სულში დაივანა ბნელმა ღამემ
და საათიც აჰყოლია გულისცემას.
ზმანებები უსწრაფესად ცვლიან დრამებს —
თუ ვით ელის ბედისწერა ჩემს დაცემას!

ცის კიდიდან მოპარულა დილის სხივი,
იფერფლება წყვდიადი და... მწარედ ბორგავს.
ხილვის ალში მომწყვდეული — სული კივის,
ილუზია რეალობას როგორ მოჰგავს!

ოჰ, ეს გული, ავ ფიქრებით მოჯარული,
რად გამხდარა სათარეშოდ შავ აჩრდილთა?
მარტმა რად ვერ მოიყვანა... გაზაფხული,
ან სიმშვიდის თეთრი მტრედი სად გაფრინდა?!

ახლა მუზას ვეჭიდები მძლავრად ფრთებზე,
განთიადმა შორს გაფანტა ეს ბინდ-ბუნდი...
ცრემლებივით დაიწურა თოვლი მთებზე:
დამიბრუნდი, გაზაფხულო... დამიბრუნდი!

ვარდობისთვეს, შენ რომ აღარ გამეცანი!

როცა ღამით სულს ტანჯავდა კაეშანი —
როგორ მსურდა, შორს გავცლოდი ცოდვილ მიწას...
ვარდობისთვეს შენ რომ აღარ გამეცანი —
დავტოვებდი ამ სამყაროს — ალბათ იმ წამს!

მახსოვს, როგორ მომძახოდნენ მიმოზები,
დაბრუნდიო — მიხმობდნენ და ცრემლებს ღვრიდნენ...
მისასვლელი დაბურული იყო გზები,
ტკივილები მისერავდნენ გულის კიდეს!

დაბრუნდიო! — მომკიოდა უკან ქარი,
ღამის წყვდიადს დალალები გაეფინა...
დედამიწამ მომიხურა... რადგან კარი —
თეთრ ღრუბლებში დავეძებდი ახლა ბინას!

დამელოდე! — ჩურჩულებდა გაზაფხული —
დაგაყრიო... აფეთქებულ ტყემლის ფიფქებს!
მეძახოდა სიყმაწვილე გარდასული —
სინათლის გზა იპოვოო ბინდში იქნებ...

როცა ღამით სულს ტანჯავდა კაეშანი —
როგორ მსურდა, შორს გავცლოდი ცოდვილ მიწას...
ვარდობისთვეს შენ რომ აღარ გამეცანი —
დავტოვებდი ამ სამყაროს — ალბათ იმ წამს!

მდუმარეების ხმაური დღემდე უღვთოდ მაწამებს!

ბედის ლაბირინთებში — მისნობს ტარო გრძნეული,
ვხედავ, ჩემს წინ გაშლილა ახლა სულ სხვა ასტრალი...
ვდგავარ პირას უფსკრულის მე ფრთებგადამსხვრეული,
დღეთა უსახურობით... დამაშვრალი, დამზრალი!

ღამის ბნელი უბიდან მიმზერს შიშის აჩრდილი,
მტერიც სათნოდ მიღიმის ანგელოზის ბაგიდან...
ლაჟვარდისკენ გაფრენა არ ყოფილა ადვილი,
კვლავ მეძახის ნაყოფი — აკრძალული ბაღიდან!

მდუმარების ხმაური დღემდე უღვთოდ მაწამებს,
უკან დამდევს ლანდივით — მარტოობის ზმანება...
ცრემლის მარგალიტები წამოუსხამს წამწამებს,
ჩემი წილი გოლგოთის — ვერვინ შესძლო ტარება!

ტკივილიან ნაპრალებს ვურგავ იებს ჯიუტად,
სული გადამებზარა, როგორც ბროლის ლარნაკი...
გზად მიმავალს შემომხვდა, ეჰ, რამდენი იუდა,
მაინც გულით ვირწმუნე ერთგულების არაკი!

უხმოდ გამოვერიდე იმ უდაბურ სამანებს,
ვერ ვისმინე ღაღადი — მოირათა მისნობის...
პოეზიის ნაპირზე ვპოვე მშვიდი სავანე,
შორით მოსჩანს ლაჟვარდი —
სულის მარადისობის!

მიყვარს...

ხან ვარსკვლავი ვარ — ჩამქრალი,
ხანაც მზესავით ვინთები...
გული სავსეა სიმშვიდით,
ხან ბორგავს რისხვის ზვირთებით!

ვარდს მიჯობს მორცხვი გვირილა,
უბრალოებით მოსილი —
კაცი მებრძოლი სულისა,
არა სვე-ბედის მორჩილი!

დგას ასწლოვანი ჭადარი,
თუმც თვალს იტაცებს ჩინარი...
მიყვარს წრფელი და გულღია —
კაცი, პირბაგე მცინარი.

ვაჟკაცი — სიტყვის პატრონი,
ქალი — მოსილი კდემითა...
ზღვა — მოლივლივე ტალღებით,
სალი კლდე — უღრან ხევითა!

დილა — სხივებით ნაფერი,
კამკამა ზეცის ნაშობი...
ლექსი — მომწყდარი ჯეგირებს,
ვით მოვარდნილი ღვარცოფი!

მიყვარს გზად ბროწეულების,
მინდვრად — ყაყაჩოს ხანძარი...
ეს მიწა — სულის სამოთხე,
სადიდებელი ტაძარი!

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული ღამე!

ხის ტოტებში ჩაესვენა მთვარე,
ღამე უხმობს საცეკვაოდ ლანდებს...
მკრთალი სხივით ნაფერადებ არეს
უჩვეულო ელვარება ადევს!

სურს, გაექცეს ველ-მინდვრებს და ჭალას,
თავი ცისკენ აუწვდია ჩინარს...
ჭრიჭინები უმღერიან „ნანას“
ახალშობილს — მთვარის გულში მძინარს!

მიმაქროლებს ვარსკვლავებთან ქარი —
თითქოს ვხედავ მე იდუმალ სიზმარს
და მუზების შთაგონებით მთვრალი
ოცნებებით ვაფერადებ... ცის თაღს!

ჩამჩურჩულებს ეს გრძნეული ღამე:
სტრიქონები გრძნობის ცეცხლით ვძერწო!
გამოვსტაცო... შორს გაფრენილ წამებს
სიხარული — თუნდაც ერთი ბეწო.

ძვირფასო მარიამ!

ემიგრანტი ბებიას წერილი შვილიშვილს

სამშობლოს მიწა-წყალს ნატრული,
წერილს გწერ, ძვირფასო მარიამ:
წლებია, ვერ მათბობს ზაფხული,
სულში წვიმს, თუმც გარეთ დარია!

მეოცედ აყვავდნენ ატმები,
ეზო-კარს ამშვენებს აპრილი...
ქათქათა გაზაფხულს კვლავ ვხვდები —
მშობლიურ კერასთან გაყრილი!

სიშორეს აღმართულს ქვის ზღუდედ
რა დიდი ტკივილი ჰხლებია
და ახლა... ხიზანი სხვის ბუდეს —
გულში ვერ გიხუტებს ბებია!

მზის სხივი მიღიმის სარკმლიდან,
თუმც გული წყვდიადით მოცულა...
პატარავ, გახედე მაღლიდან —
ჩვენს სახლთან მერცხლები მოსულან!

ეზოში გაშლილან ვარდები,
მოუსხამთ ნარცისებს მზეები...
ქარებში გაფანტე დარდები,
მოქარგე ოცნებით დღეები!

მეძახის მზიანი მინდვრები
და სოფლის ბილიკი საცალო.
ჩემს წუხილს ოდესმე მიხვდები —
ეს მიწა არასდროს გაცვალო!

სამშობლოს მიწა-წყალს ნატრული,
წერილს გწერ, ძვირფასო მარიამ:
წლებია, ვერ მათბობს ზაფხული,
სულში წვიმს, თუმც გარეთ დარია!

გიორგი
მგალობლიშვილი

ცარიელი ფურცელი

— ისევ შენს რომანზე ფიქრობ, არა? — ჰკითხა გოგონამ დადუმებულ ვაჟს და სიყვარულით სავსე თვალებით შეხედა.

— ჰო, თეკლა, ვფიქრობ. აგერ, უკვე ხუთი-ექვსი თვეა, ამ ფიქრებში ვათენებ და ვაღამებ, მაგრამ რომანის ფაბულაც კი ვერ მოვიფიქრე, — უპასუხა ახალგაზრდამ.

— თომა, შენ ხომ მშვენიერ მოთხრობებს წერ. თუ მოინდომებ, კარგი რომანის დაწერასაც შეძლებ, — თქვა თეკლამ.

— ეჰ, ამ საქმეს რომ მხოლოდ მონდომება ჰყოფნიდეს... — მიუგო ვაჟმა და დაღლილი თვალები კაფეში მსხდომ ადამიანებს მოავლო, — როდესაც რომანის წერას დავასრულებ, დავქორწინდეთ.

— მანამდე არა? — ეშმაკური ღიმილით ჰკითხა თეკლამ, — მაშინ ვისურვებ, რომ რაც შეიძლება მალე დაგეწყოს და დაგემთავრებინოს შენი რომანი.

— ახლა იმდენად ვარ შეპყრობილი მართლა დიდი ნაწარმოების შექმნის სურვილით, რომ სხვა რამეზე ვეღარ ვფიქრობ, — დამნაშავესავით უპასუხა თომამ.

— გაგეხუმრე, სულელო, შენ კი ჩემი სიტყვები სერიოზულად აღიქვი, — სიცილით თქვა გოგონამ და საათს დახედა, — უი, რა დრო გასულა, ცხრა სრულდება უკვე, ახლავე უნდა წავიდე სახლში, თორემ „დოქტორ ფაუსტუსის“ კითხვას ვერ დავასრულებ. ხვალ სემინარი გვექნება ამ რომანის შესახებ.

უკვე ბნელოდა, როცა ქალ-ვაჟი კაფედან გავიდა. თომამ გოგონა სახლამდე მიაცილა, მერე მოკლეზე მოჭრა გზა და რამდენიმე წუთის შემდეგ თავადაც შინ იყო. ოთახში შესვლისთანავე სამუშაო მაგიდას მიუჯდა, უჯრიდან ფურცლების დასტა ამოიღო და წინ დაიდო.

გასულ წელს ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალში დაბეჭდილმა მისმა ორმა მოთხრობამ კრიტიკოსთა ქება დაიმსახურა. ნაცნობ-მეგობრებმაც მიულოცეს და ხუმრობით თუ გულწრფელად მომავალში შედევრების შექმნა უსურვეს. ის იყო და ის, მას შემდეგ დიდი რომანის დაწერის აზრი აეკვიატა და დღედაღამ ამაზე ოცნებობდა.

თომა კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, მაგრამ ერთი ხეირიანი აზრიც არ მოსდიოდა თავში. შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო, როდესაც გამოერკვა და ცარიელ ფურცლებს დახედა. მათმა სითეთრემ გააღიზიანა და თანაც ერთგვარი შიშიც კი მოჰგვარა. დაღლილობისგან თავი უბრუოდა და ძილი ერეოდა.

* * *

მოულოდნელად თომას კარის გაღების ხმა შემოესმა, უკან რომ მიიხედა, დაინახა პირხმელი, ტანმაღალი მამაკაცი, რომელიც ოდნავი კოჭლობით შევიდა ოთახში. უცნობი მაგიდას მიუახლოვდა და ვაჟის გვერდით დაჯდა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჰკითხა გაკვირვებულმა თომამ.

— მე უამრავი სახელი მაქვს, მაგრამ შენ შეგიძლია სატეშით მომმართო. კარგა ხანია, თვალ-ყურს ვადევნებ, რა უნაყოფოდ იჭყლეტ ტვინს. შემებრალე და გადავწყვიტე, რომ დაგაწერინო გენიალური რომანი, — თქვა მამაკაცმა და ვაჟის გაოგნებულ სახეს ყურადღებით დააკვირდა.

— თქვენ ან ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ხართ გამოქცეული ან რაღაც ავი სული ჩაგსახლებიათ.

— არა, ავი სული თავად მე ვარ. ეს უმძიმესი სასჯელი ღმერთმა დამადო ჩემი ჯანყის გამო, თუმცა ამაზე საუბარი არ ღირს, — უპასუხა სატეშმა შიშისაგან ფერდაკარგულ თომას, — შენ ახლა ის მითხარი, გსურს თუ არა, მიიღო ჩემი დახმარება?

— რა დახმარება? მე ისიც არ ვიცი, თქვენ ვინა ხართ, მართლა ბოროტი სული? თუ ასეა, გააჩნია, სანაცვლოდ რას ითხოვთ.

— ადამიანი უნდა მოკლა, — მოკლედ მოუჭრა მამაკაცმა.

— რა მითხარით? — აღმოხდა გაოგნებულ თომას.

— ადამიანის სისხლში უნდა გაისვარო ხელი, თუ გინდა, სახელგანთქმული მწერალი გახდე.

— მე ქათმის დაკვლაც კი არ შემიძლია, არათუ ადამიანის მოკვლა.

— ბევრი მინახავს შენნაირი, ვისაც ჭიანჭველასთვისაც არ დაუდგამს ფეხი, მაგრამ ადამიანი თვალის დაუხამხამებლად მოუკლავს.

— არა, არ შემიძლია, ჩემთვის შეუძლებელია ამის გაკეთება, — უეცრად წამოიყვირა თომამ.

— კარგი, მაშინ მე წავალ, მშვიდობით, — თქვა სატეშმა და წამოდგომა დააპირა.

— მოიცადეთ, ცოტა დრო მაინც მომეცით მოსაფიქრებლად. აბა, როგორ უნდა დაგიჯეროთ, როდესაც არ ვიცი, ვინ ბრძანდებით. იქნებ ვიღაც მატყუარა ხართ და მასხრად მიგდებთ.

— ოჰ, ეს მუდამ ეჭვით შეპყრობილი ადამიანები, — ამოიოხრა მამაკაცმა, — მაშ, ჩემი გამოცდა გწადია, არა? კიბატონო, იყოს ნება შენი.

უცებ აივანზე გამავალი კარი თავისით გაიღო, თომა კი სკამიანად ჰაერში აღმოჩნდა და ოთახიდან გარეთ გაფრინდა. რამდენიმე წამში ის უკვე შენობების თავზე დაქროდა. გაოგნებული ვაჟი ისე ჩაბღაუჭებოდა სკამის სახელურებს, თითქოს ხელებით ზედ დადუღებოდა. ელვის სისწრაფით შემოუფრინა მთელ ქალაქს და ისევ თავის საწერ მაგიდასთან აღმოჩნდა.

— დარწმუნდი თუ არა, რომ ყოვლისშემძლე ვარ? — ირონიული ღიმილით ჰკითხა სატეშმა.

— ვაღიარებ თქვენს ზებუნებრივ ძალას, — ამოილუღლუღა განცდილით გაოგნებულმა თომამ.

— კიდევ ხომ არ გინდა, რაიმე სასწაული მოვახდინო?

— არა, ჩემთვის ეს გასეირნებაც საკმარისი იყო. მჯერა, რომ თქვენ მართლაც არაამქვეყნიური არსება ბრძანდებით.

— ძალიან კარგი, ახლა რამე გადაწყვეტილება უნდა მიიღო. უკვე ჩემი წასვლის დროა, საცაა ინათებს, — თქვა მამაკაცმა.

— თანახმა ვარ... ვინ უნდა მოვკლა?

— მოკალი თეკლას ძმა, ანდრო, რომელსაც თავად სურს სიკვდილი, მაგრამ ფიზიკური უძლურების გამო ვერ ახერხებს თავის მოკვლას. საბრალო ბიჭი მთელი დღეები ფართხალებს, განუწყვეტლივ იქნევს ხელ-ფეხს, ეტლში ზის თუ ლოგინში წევს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად რაღაცას ლუღლუღებს.

— ანდროს როგორ შეუძლია, იფიქროს თვითმკვლელობაზე, როდესაც საერთოდ ვერ აზროვნებს? — ჩაილაპარაკა თომამ.

— ყველას ჰგონია, რომ ანდროს გონება სრული წყვდიადითაა მოცული და აზრის ნატამალიც არ გააჩნია, — მიუგო სატეშმა, — თუმცა, ეს მთლად ასე არ არის, რადგან ნათელი გონი ჯერ კიდევ კიაფობს ტვინის ღრმა ფენებში, მაგრამ მისი მკრთალი შუქი ვერ აღწევს გარე სამყარომდე.

— თქვენ შეგიძლიათ ანდროს განკურნება, არა? თქვენ ხომ ყოვლისშემძლე ხართ! ოღონდ იგი სრულად გამოაჯანმრთელეთ და მე თანახმა ვარ, უარი ვთქვა არათუ თქვენი დახმარების მიღებაზე, არამედ საერთოდ მწერლობაზე.

— მერე შენ არასოდეს ინანებ ამ გადაწყვეტილებას? — ჰკითხა მამაკაცმა თომას, რომელსაც თავი დაეხარა და დაჰყურებდა მაგიდაზე მიმოფანტულ ცარიელ ფურცლებს, — თუ მართლა გსურს ანდროს განკურნება, რად დუმხარ? შენი დუმილი ყველაფრის მთქმელია, ჩემო კარგო. მაშინ ჰქენი სიკეთე და მოკალი, ამით მაინც გაათავისუფლე მისი ტანჯული სული განუწყვეტლად მოფართხალე სხეულის არტახებისაგან. მერწმუნე, ეს მისთვის საუკეთესო საჩუქარი იქნება. ერთ კვირას გაძლევ მოსაფიქრებლად.

* * *

დიდი ხნის ნაავადმყოფარივით ფერგამკრთალმა თომამ სადარბაზოს კარი გაიხურა და ვიწრო ქუჩას გაუყვა. მიდიოდა უკაცრიელი, ჩაბნელებული ქუჩებით, რათა არავის შეემჩნია. შუაღამის მიუხედავად გარეთ მაინც სულის შემხუთველი სიცხე იდგა, თითქმის ყველა სახლის ფანჯარა ღია იყო.

— ჰო, ჰო, უნდა მოვკლა. ამას მხოლოდ ჩემთვის კი არა, არამედ მისთვისაც გავაკეთებ. ანდროს ეტყობა, რომ მართლა აღარ სურს სიცოცხლე, მე კი სახელისა და დიდების მოხვეჭა მწადია, — თავისთვის ბუტბუტებდა თომა, — მაგრამ იქნებ სატეში მატყუებს და ანდრო საერთოდ ვერ აზროვნებს, არ შეუძლია, განასხვაოს სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთისაგან. თუ იმას ვერ ხვდება, ცოცხალია თუ არა, მაშინ მისთვის სიკვდილიც სულერთი იქნება.

ვაჟს უცებ თვალწინ თეკლას მოღიმარი სახე დაუდგა.

— ღმერთო, თეკლას რა ვუყო?! მას ხომ ძალიან უყვარს ძმა.

თომა გველნაკბენივით შეჩერდა და მიმოიხედა. დაინახა, რომ უკვე აფთიაქის წინ იდგა. აქედან თეკლას სახლამდე ორიოდე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი. ერთხანს უცქირა მედიცინის ციფრად მოხატულ სიმბოლოს. მერე სწრაფად შეტრიალდა და გზა განაგრძო.

— თუმცა, თუ ამ სიტუაციას კარგად დავუფიქრდები, სწორედ თეკლას გამო უნდა მოვკლა ანდრო. როდესაც მშობლები გარდაეცვლებათ, იმ გონარეული ხეიბრის მოვლა-პატრონობის მთელი ტვირთი ხომ მას დააწვება კისერზე.

თომა უეცრად შეკრთა, აკანკალებული ხელი მკერდზე მოისვა და რაღაც ცივი და მკვრივი საგნის შეხება იგრძნო. ეს იყო სანადირო დანა, რომელიც სახლიდან გასვლისას თავად ჩაიდო პიჯაკის შიდა ჯიბეში, მაგრამ მისი არსებობა სულ გადავიწყნოდა ფიქრში გართულს.

— დაწყნარდი, ნუთუ იმან შეგაშინა, რომ ანდროს სისხლში უნდა გაისვარო ხელი? შეუშვი მაგ წყეულ თავში, რომ მისი სიკვდილი ყველასთვის კარგი იქნება, — საკუთარ თავს შეუძახა ვაჟმა.

რამდენიმე წამში თეკლას სახლს მიადგა. აგურით ნაშენ კედელზე ადვილად აცოცდა და მეორე სართულის ღია სარკმელში გადაძვრა. ფანჯრის რაფიდან უხმაუროდ ჩასრიალდა იატაკზე, წამით შეჩერდა, აჩქარებული სუნთქვა ცოტა დაიმშვიდა და იქაურობას თვალი მოავლო. ოთახში გვერდი-გვერდ ორი საწოლი იდგა. სარკმლის მხარეს მდგარი საწოლიდან საბანი იატაკამდე ჩამოცურებულიყო, ლოგინში არავინ იწვა. მეორეში ანდროს ეძინა. დღისით მუდამ დაძაბული, უნებლიეთ მოძრავი სახის კუნთები ახლა მოდუნებული და დამშვიდებული ჰქონდა, მოკლედ შეკრეჭილი წვერი სანდომიან იერს აძლევდა. თხელი საბნიდან მუშტებად შეკრული, დაგრეხილი ხელები ამოეყო.

თომა ხეიბრის ლოგინთან მივიდა. ერთხანს დასცქეროდა მის დახვეწილ, ნაცნობ ნაკვთებს. მერე ჯიბიდან დანა სწრაფად ამოიღო და მკერდში ჩასცა. ბასრმა ლითონმა წამსვე ჩააღწია გულამდე. ანდრომ ერთი ამოიხრიალა და პირიდან სისხლი გადმოუვიდა. თავზარდაცემულმა მკვლელმა სხეულიდან ამოძრობილ გასისხლიანებულ დანას დახედა, სწრაფად შეტრიალდა და ფანჯარას მივარდა.

* * *

თომა ტელეფონის გაბმულმა ზარმა გააღვიძა, შეშინებული წამოჯდა ლოგინზე და აკანკალებული ხელით მობილური ყურთან მიიტანა:

— გისმენ, თეკლა!

— ჩემი ძმა მოკლეს, გესმის? მოკლეს! ჩქარა მოდი, გთხოვ, — ქვითინით თქვა გოგონამ და ტელეფონი გათიშა.

აუცილებლად უნდა წავიდე, მაგრამ საკმარისია ერთი უმნიშვნელო შეცდომა და შესაძლოა, ყველაფერი გამოაშკარავდეს. თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებ, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. თანაც, ალბათ სატეშიც დამეხმარება. ჰო, მართლა სად არის ახლა სატეში? ბოროტად ხომ არ გამეხუმრა და უკვალოდ გაუჩინარდა, — ფიქრობდა მკვლელი და თან სწრაფად იცვამდა.

— თომა, სად მიდიხარ ასე დილაადრიან? — ჰკითხა გაკვირვებულმა მამამ გასასვლელი კარისკენ მიმავალ ვაჟს.

— ეს წუთია დამირეკა თეკლამ. მისი ძმა მოუკლავთ, — სწრაფად მიუგო და გარეთ გავარდა.

მიდიოდა თომა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა, შიში მშიერი მგელივით კვალდაკვალ მისდევდა. თეკლასთან შეხვედრა ყველაზე მეტად აშინებდა. ასე ეგონა, გოგ-

ონა მისი გაფითრებული სახის დანახვისთანავე მიხვდებოდა, ვინ იყო მკვლელი. მიუხედავად ამისა, ვაჟს მაინც არ შეუნელებია ნაბიჯი, მოედანი გადაჭრა და ქვაფენილიან აღმართს აუყვა.

შორიდანვე დაინახა პოლიციელები, რომლებიც რაღაც შეფუთულ ნივთებს ავტომობილის საბარგულში აწყობდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ. თომამ შეიცადა, ვიდრე პოლიციის მანქანები ჩაივლიდნენ და გზა განაგრძო.

— ეს რა უბედურება მომხდარა, — ძლივს ამოსთქვა სასტუმრო ოთახში შესულმა ვაჟმა და თვალი აარიდა თეკლას, რომელიც გულდანდობით მიუახლოვდა და ჩაეხუტა.

— ორიოდ წუთით გავედი საძინებელი ოთახიდან, ალბათ მაშინ გადმოიპარა ფანჯრიდან ვიღაც წყეული და მომიკლა შვილი. ღმერთო, ვის რას უშავებდა ჩემი ანდრო, რატომ მომიკლეს? რატომ? — მოთქვამდა დედა.

ამ სიტყვებმა და თეკლას სიახლოვემ თომას სული შეუხუთა, პირი გააღო, რათა დაეყვირა, მე მოვკალიო, მაგრამ ამ დროს დაინახა ოთახში შემომავალი სატეში, რომელსაც თაბახის ფურცლების სქელი დასტა იღლიაში ამოეჩარა. ვაჟი მისმა გამოჩენამ შეაძრწუნა, მაგრამ ერთგვარი შვებაც მოჰგვარა და დადუმდა.

* * *

უკვე შუადღე იყო, როდესაც თომა და სატეში თეკლას სახლიდან გამოვიდნენ, იქვე მდებარე პატარა სკვერში შევიდნენ და მერხზე ჩამოსხდნენ. მამაკაცმა ვაჟს ფურცლების დასტა უხმოდ გაუწოდა. თომამ სწრაფად გადაავლო თვალი რამდენიმე აბზაცს და აღშფოთებულმა შეჰყვირა:

— თქვენ მე მომატყუეთ, ეს რომანი უკვე დაწერილია! არ ვაპირებ სხვისი ტექსტის მისაკუთრებას! ან როგორ უნდა მივითვისო ის წიგნი, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს. ეს შედევრი რომ მივიტანო რომელიმე გამომცემლობაში, ხომ დამცინებენ და კინწისკვრით გამომაგდებენ იქედან!

— ამაზე არ იდარდო. იმ წამიდან, როდესაც მე შენ ეს ტექსტი მოგეცი, ის გაქრა ყოველი ადამიანის მეხსიერებიდან. მას ვერც ბიბლიოთეკებში მოიძიებენ და ვერც მაღაზიებში. შენ უნდა დათანხმდე მის ავტორობას, თუ არ გინდა, ეს მართლაც დიდებული რომანი სამუდამო დავიწყებას მიეცეს.

— ვერც ინტერნეტში ნახავენ? — ჰკითხა თომამ.

— როგორც გითხარი, მაგ წიგნის ხსენებასაც ვერსად ნახავ, — მტკიცედ უპასუხა სატეშმა.

— თუ მაინც უნდა გაქრეს ეს ტექსტი, მაშინ მე ვალდებულიც კი ვარ, რომ ყოველი ღონე ვიხმარო მის გადასარჩენად, თუნდაც ამისთვის მისი ავტორობა ვიკისრო, — გაიფიქრა თომამ და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— კარგი, მაშინ მივიტან გამომცემლობაში.

— ჰოდა, ძალიან კარგი. იმის შიში ნამდვილად არ უნდა გქონდეს, რომ პლაგიატობას დაგწამებენ. ახლა კი ჩემი წასვლის დრო მოვიდა. მშვიდობით.

— მეტად ვეღარასოდეს შევხვდებით?

— ამქვეყნად ვეღარ, იმქვეყნად კი ვნახოთ, ყველაფერი ღვთის ნებაა, — ირონიული ღიმილით მიუგო მამაკაცმა და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა.

* * *

ნაწვიმარ ქუჩაში ქალ-ვაჟი ნელი ნაბიჯით მისეირნობდა. თავჩაღუნული თომა დროდადრო თეკლას გახედავდა და იმავე წამს თავს ისევ დაბლა ხრიდა, თითქოს საცოლის სიახლოვე რაღაც შიშსა თუ ტკივილს ჰგვრიდა.

— გამომცემლობიდან ხომ არავინ დაგკავშირებია? — ჰკითხა თეკლამ ვაჟს, — მე დარწმუნებული ვარ, რომ შენს რომანს დაბეჭდავენ. ამ წიგნის კითხვამ გადამატანინა ეს ტკივილით სავსე დღეები. მართლა არ ველოდი ასეთ ღრმა, ფილოსოფიურ ტექსტს თუ დაწერდი, ნამდვილი გენიოსი ხარ.

— გამომცემლობიდან ჯერ არავის დაურეკავს, — უხალისოდ უპასუხა თომამ.

— ჰო, მართლა, ამ დილით გამომძიებელმა მამაჩემს დაურეკა და ხვალისთვის დაიბარა პოლიციის განყოფილებაში. აი, უკვე თვეზე მეტია, რაც ძმა მომიკლეს, მაგრამ, მგონი, ჯერ ეჭვმიტანილიც არ ჰყავთ.

— იქნებ ახლა მაინც იყოს რაიმე სიახლე, — ნაძალადევი სიმშვიდით მიუგო ვაჟმა და გვერდზე გაიხედა, რომ თეკლას მისი მღელვარება არ შეემჩნია. ამ დროს თომას მობილურის ზარი გაისმა.

— დიახ, — უპასუხა თომამ და ერთხანს ხმაამოუღებლად უსმენდა უჩინარ მოსაუბრეს.

— ვინ იყო? რა გითხრეს, თომა, ასე რატომ აღელდი? — ჰკითხა გოგონამ, როგორც კი ვაჟმა ტელეფონი გათიშა.

— გამომცემლობის მთავარი რედაქტორი იყო. მითხრა, რომ ჩემს რომანს დაბეჭდავენ.

— გილოცავ! — წამოიყვირა თეკლამ და ვაჟს კისერზე ჩამოეკიდა, — ხომ გითხარი, დაგიბეჭდავენ-მეთქი.

თომას უეცრად შეეკრა სუნთქვა, ეგონა, თითქოს გოგონა ახრჩობდა. მჭიდროდ შემოჭდობილი მკლავებისაგან თავის დაღწევა სურდა, მაგრამ ვერ ინძრეოდა, გაშეშებული იდგა ერთ ადგილზე და კანკალებდა. ცდილობდა, ღრმად ჩაესუნთქა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მკერდში ძლიერ ტკივილს გრძნობდა, თითქოს უეცრად მოახლოებული სიკვდილის ზარდამცემმა შიშმა მოიცვა მთელი მისი არსება.

— რა მოგდის, თომა, რა მძიმედ სუნთქავ! სული გეხუთება? ალბათ ეს მეტისმეტი სიხარულის გამოა, — თქვა თეკლამ და ხელები მკერდზე დაადო, — ფსიქიატრმა ხომ გითხრა, რომ ეს ნერვების ბრალია. ეგ არაფერი, გაივლის, მაგრამ თავს უნდა მოუარო, უკვე მეხუთედ მოგდის ასე. ჩემი შეხება ხომ არ იწვევს მაგ შეტევებს?

— ჰო, შეიძლება ასეც იყოს. მეჩვენება, თითქოს გული მიჩერდება, — ქანცმილეული ხმით მიუგო ვაჟმა და ძალდატანებით გაუღიმა, — ალბათ იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ.

— მეც მიყვარხარ, მაგრამ ჩემი შეხება თუ ასეთ რეაქციას იწვევს შენში, ეგებ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს?

— არა, შენს დაკარგვას ვერ გადავიტან. ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება.

* * *

— გილოცავ, ძალიან გამახარე, — თქვა თეკლამ, რომელიც ტელეფონზე ესაუბრებოდა თომას, — მაგრამ ასეთი მოწყენილი ხმით რატომ მეუბნები ამ სასიხარულო ამბავს? შეტევა მოგივიდა?

— არა, უკვე ერთი წელია, არაფერი მომსვლია. მაგ მხრივ ყველაფერი რიგზეა, მადლობა ღმერთს.

— აბა, რა იყო? რა გაწუხებს?

— მეშინია...

— რისი გეშინია?

— იმის მეშინია, რომ ჩემი რომანი რაც უფრო მეტ წარმატებას მომიტანს, მით უფრო ცუდად ვიქნები. წარმატებაც ერთგვარი ტვირთია. ნეტავ, სულაც არ დამეწერა ეს წყეული წიგნი. ასე მგონია, ახლა რომ მყავდე მკერდში ჩაკრული, ყველანაირი შიში თავისთავად გაქრებოდა.

— თუ გინდა, ახლავე მოვალ შენთან.

— მოდი, სახლში ვარ. იქნებ შენთან ყოფნამ მაინც გამიფანტოს ეს უჟმური განწყობა.

— კარგი, მალე მოვალ!

— თომას ელაპარაკებოდი? რა მიულოცე? — ჰკითხა თეკლას ოთახში შესულმა დედამ.

— ჰო, თომა იყო, მისი რომანი ლიტერატურული კონკურსის მოკლე სიაში მოხვდა.

— ყოჩაღ, ძალიან ნიჭიერი ბიჭია. ახლა თომასთან უნდა წახვიდე? გავიგონე, თითქოს რაღაცის ეშინია...

პასუხის მაგივრად გოგონამ დედას ლოყაზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

* * *

თეკლა სწრაფად მიაბიჯებდა ივლისის ხვატით გახურებულ ქუჩაში, თან თომაზე ფიქრობდა — რა მოსდის ამ ბიჭს, დღითი დღე სულ უფრო გულჩათხრობილი და პირქუში ხდება; მართალია, ბოლო ერთი წლის მანძილზე არ ჰქონია ეს უცნაური შეტევა, მაგრამ მთელი ეს დრო მეშინოდა, მოვხვეოდი, თუმცა ეგებ მე არაფერ შუაში ვარ და ყველა შეტევა უბრალოდ დაემთხვა ჩემს შეხებას.

* * *

თომა თავდახრილი იჯდა მაგიდასთან და დასცქეროდა წიგნს, რომლის ყდაზე მისი სახელი და გვარი იყო წითელი ასოებით გამოყვანილი. ვაჟს სახე გაფითრებოდა და ტუჩები უკანკალებდა. უეცრად მოეჩვენა, თითქოს ასოები გაცოცხლდნენ და გველებივით დაიკლაკნენ. მათი ფართოდ გაღებული პირიდან თითქოს სისხლმა დაიწყო დენა. შეძრწუნებულმა თომამ ხელი დაავლო წიგნს და კედელს მიახალა. სწორედ ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა.

— ღიაა, შემოდი!

— ამ წიგნს მაინც რაღას ერჩოდი? — ჰკითხა ოთახში შესულმა თეკლამ და იატაკიდან ფრთხილად აიღო.

— მაგ წიგნის დანახვაც აღარ მინდა, წაიღე, შენთან იყოს.

— კი მაგრამ რატომ, რა მოხდა? შენ ხომ ასე ელოდი მის გამოცემას. ვერ გავიგე, ასე რატომ შეიძულე ეს რომანი?

— არ ვიცი, ასე მგონია, სიკვდილის სუნი ასდის.

— კარგი რა, თომა, ეს ისევ შენი ნერვების ბრალია და გეჩვენება რაღაც.

— არ ვიცი, შეიძლება, მართლაც მეჩვენება, მაგრამ ამის ატანა აღარ შემიძლია.

— ჰო, კარგი, კარგი, აი, უკვე ჩანთაში ჩავდე, — საჩქაროდ თქვა გოგონამ.

— თეკლა, დაჯექი, რას დგახარ, — თომამ ახლაღა შეამჩნია, რომ თეკლა ჯერ ისევ ფეხზე იდგა, თითქოს წასვლას აპირებსო.

— არა, არ დავჯდები. ჯერ იცი, რა მინდა, გავიგო?

— ვიცი, — უპასუხა ვაჟმა, — შენ არაფერ შუაში ხარ. მოდი ჩემთან, მოდი. ოდესმე ხომ უნდა შევეხოთ ერთმანეთს?! ჩვენ ხომ სექტემბერში ვქორწინდებით.

თეკლა ნელა მიუახლოვდა და ფრთხილად შეეხო მისკენ გამოწვდილ ხელს. რამდენიმე წამი არაფერი მომხდარა და გახარებულმა გოგონამ საქმროს ყელზე მოეხვია. თომას უცებ სულის ხუთვა და თავბრუსხვევა დაეწყო. სავარძლიდან წამოდგომა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო და სიმწრით წამოიხრიალა: „თეკლა...“

— ოჰ, ღმერთო, მართლა ჩემი ბრალი ყოფილა... — ჩაიჩურჩულა გაოგნებულმა თეკლამ და ნაბიჯი უკან გადადგა.

— მოიცა, კიდევ ერთხელ ვცადოთ, — თქვა თომამ და სკამიდან წამოდგა, მოეხვია დარდისგან გაშეშებულ გოგონას, მაგრამ სუნთქვა ისევ შეეკრა და მკერდის არეში საშინელი ტკივილი იგრძნო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ოთახში ყველა ნივთმა უჩვეულო ფორმა მიიღო.

ეს ყველაფერი მხოლოდ მეჩვენება. ეტყობა, ამ სნეულებას ახასიათებს ასეთი რამ, გაიფიქრა ვაჟმა და თვალები დახუჭა. არ უნდოდა, მოშორებოდა თეკლას, მაგრამ რამდენიმე წუთის მეტი ვერ გაუძლო ჰაერის უკმარისობას და ძალგამოცლილი სკამზე დაეშვა.

— თომა, გირეკავენ, არ გესმის?!

— განძრევის თავი არ მაქვს. შენ უპასუხე.

— კარგი, — უთხრა თეკლამ და სწრაფად უპასუხა თომას მობილურს, — გისმენთ!

— ბატონ თომა ოქუმელთან მსურს საუბარი.

— ის ახლა შეუძლოდ გრძნობს თავს, ვერ დაგელაპარაკებათ.

— მაშინ გადაეცით, რომ ხვალ დილის ათ საათზე ვიწვევთ ტელეკომპანიაში მის რომანსა და პრემიის სხვა ნომინანტების წიგნებზე სასაუბროდ.

— გადავცემ. დიდი მადლობა, — უპასუხა გოგონამ, ტელეფონი გათიშა და თომას შეხედა, — გაიგონე, რა მითხრეს?

— გავიგონე, მაგრამ არ წავალ. არ მინდა ეს იაფფასიანი პოპულარობა, მეშინია... — თქვა ვაჟმა.

— თუ ასე ცუდად მოქმედებს შენზე ეს ამბავი, მაშინ ნუ წახვალ. ახლა როგორ გრძნობ თავს? — ჰკითხა თეკლამ.

— უკეთესად.

— თანდათანობით უფრო უკეთ გახდები. ის მაინც მაცოდინა, რატომ ხდები ცუდად ჩემი შეხებისთანავე, მაშინ იქნებ გამოსავალი გვეპოვა... იცი რა, ჩვენ რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

— როგორც შენ გინდა, მე ყველაფერზე თანახმა ვარ, — მიუგო თომამ.

— მგონი, ჩვენი დაშორების გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს.

* * *

თომას დედას, ელენეს, სივრცისთვის გაეშტერებინა ნამტირალევი თვალები და არ ინძრეოდა. მერე თითქოს მოაგონდა, რისი გაკეთება სურდა და ჩანთიდან მობილური ამოიღო.

— თეკლა, შენთან დალაპარაკება მინდა. შენი სახლის წინ სკვერში გელოდები. თუ შეგიძლია, მოდი.

— ახლავე გამოვალ. თომა ხომ კარგად არის?

— ჩემმა შვილმა თავის მოკვლა სცადა გუშინ საღამოს, ძლივს გადავარჩინეთ. ყველაფერს მოგიყვები, როცა მოხვალ.

თეკლა სახლიდან გავარდა, ქუჩა სირბილით გადაკვეთა და გულამოვარდნილმა მიირბინა ელენესთან, რომელიც სკვერში სკამზე ჩამომჯდარიყო და უხმოდ ქვითინებდა.

— ელენე დეიდა, ეს საშინელება როგორ მოხდა?

— ყველაფერი ათი-თერთმეტი დღის წინ დაიწყო, თქვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ. შენი წასვლისთანავე მასთან შევედი. თომა საწერ მაგიდასთან იდგა. საშინლად გაფითრებული იყო და მთელი სხეულით კანკალებდა. ვიფიქრე, სიცხე აქვს-მეთქი და ვთხოვე, დაწოლილიყო. ისიც უსიტყვოდ დამთანხმდა. ამის მერე აღარ ამდგარა ლოგინიდან. მთელი ეს დრო კედლისკენ მიბრუნებული იწვა და საჭმელს თითქმის არ ჭამდა. საათობით ვიჯექი მის საწოლთან, მაგრამ იშვიათად თუ რამეს მეტყოდა. ასე გავიდა სამი-ოთხი დღე და ბოლოს გადავწყვიტე, ექიმისთვის მიმემართა. დავურეკე მის ფსიქიატრს და მან მითხრა, ეს აშკარად დეპრესიის სიმპტომებია, მოიყვანეთ ჩემთან და ვნახოთ, რისი გაკეთება შეიძლებაო, მაგრამ თომამ უარი თქვა.

— ნეტა ჩემთვის დაგერეკათ, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გოგონამ, — იქნებ მე დამეყოლიებინა, რომ მისულიყო ექიმთან და ემკურნალა, — მეც მინდოდა შენთან საუბარი, დავაპირე კიდეც დარეკვა, მაგრამ თომამ მითხრა, არ დაურეკო, ჩვენ დავშორდით ერთმანეთსო. ახლა ისე მოვედი აქ, რომ მისთვის არაფერი მითქვამს, — მიუგო ქალმა და განაგრძო შეწყვეტილი ამბის თხრობა, — გუშინ საღამოს მეგობრის პანაშვიდზე ვიყავი და შინ რომ დავბრუნდი, ფრთხილად შევაღე თომას ოთახის კარი. თავდაპირველად უჩვეულო არაფერი შემინიშნავს, როგორც ყოველთვის, კედლისკენ იყო მიბრუნებული, მაგრამ რომ მივუახლოვდი, დავინახე, ლოგინი სისხლით იყო გაჟღენთილი. ვენები ჰქონდა გადაჭრილი, საბანზე კი მისი სანადირო დანა ეგდო. თავზარი დამეცა და ჩემს ქმარს დავუძახე, სასწრაფოს გამოუძახე-მეთქი. თან სისხლდენის შეჩერებას ვცდილობდი. გადავარჩინეთ, მაგრამ ბევრი სისხლი დაკარგა. ახლა ძალიან სუსტადაა და რამდენიმე დღე მოუწევს საავადმყოფოში დარჩენა.

— სად? რომელ საავადმყოფოში? ახლავე უნდა ვნახო, — თქვა თეკლამ.

* * *

— თომა, როგორ ხარ? — ვინ იცის, მერამდენედ ჩურჩულით ეკითხებოდა თეკლა.

— არა მიშავს, ყველაფერი რიგზეა. ძალიან მიყვარხარ...

— ერთი წამით თქვენს ყურადღებას ვითხოვ, თანამეინახენო, — თქვა ფეხზეწამომდგარმა თამადამ, — დაწყებულია ლიტერატურული პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი. წარმატება ვუსურვოთ თომას, რომელიც ამ დიდ ლიტერატურულ კონკურსში იღებს მონაწილეობას.

კედელზე დაკიდებული მონიტორი მოულოდნელად ჩაირთო და კადრში ხალხით სავსე დარბაზი გამოჩნდა. შეჭაღარავებულმა წამყვანმა მარჯვენა ხელით მიკროფონი მოიმარჯვა, მარცხენა ხელი კი, რომელშიც პატარა თეთრი კონვერტი ეჭირა, მაღლა ასწია და იქ მყოფთ მიმართა:

— ძვირფასო საზოგადოებავ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნომინაცია ახალბედა, ნიჭიერი მწერლების აღმოჩენასა და დაფასებას უწყობს ხელს. ვნახოთ, წელს ვინ დაიმსახურა ეს ჯილდო, — ამ სიტყვებით მან კონვერტი გახსნა და ბარათი ამოიღო, — ლიტერატურული პრემია საუკეთესო დებიუტისთვის გადაეცემა თომა ოქუმელს. თომა აქ არ იმყოფება, რადგან დღეს ქორწილი აქვს და ამიტომ მის მაგივრად ვუხმოთ გამომცემელს...

დასასრული მე-13 გვერდზე

ზოია ცხადაია

ორი ნაპირი, ორი სიმართლე

1990-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები აქტუალურია უახლოეს ქართულ ლიტერატურაში. სახელმწიფო გადატრიალება — სამოქალაქო ომად შერაცხილი, სამეგრელოს დარბევა და აფხაზეთის ტრაგედია — ქართველთა და აფხაზთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება... ამ მოვლენებზე ბევრი დაიწერა. ამჯერად შევჩერდებით ქართველი მწერლის, ზვიად კვარაცხელიას, მოთხრობების კრებულზე „ყიფლიბანდი“ (2012) და აფხაზი მწერლის, დაურ ნაჭყებიას, რომანზე „ღამის ნაპირი“ (დაწერილია აფხაზურ ენაზე, რუსულიდან ქართულად თარგმნა გურამ ოდიშარიამ, წიგნი გამოიცა 2010 წელს).

ზვიად კვარაცხელიას მოთხრობები ისტორიული ქრონიკების მხატვრული ინტერპრეტაციაა რეალური სურათებით — არაფერი ხელოვნური, გამოგონილი, ჰიპერბოლიზებული... ესაა ორ ბანაკად გაყოფილი დედაქალაქი თავისი ინტელექტუალებით თუ ინტელიგენციით, „ერთმორწმუნე ძმისგან ერთმანეთს გადამტერებული“ მოქალაქეები, საპროტესტო მიტინგები „დიქტატურის“ დასამხობად, სამეგრელოს ეგზეკუცია და „თავისუფლების ჯვაროსნების“ მიღწეული მიზანი — ტყე-უღრანში მიტოვებული ბელადის გაურკვეველი აღსასრული... მრავალი დამაფიქრებელი ფაქტი მხატვრული მასალისთვის შესაფერი ირონიითაა გადმოცემული მწერლის მიერ. იგი არ განსჯის მოვლენებს, ამას მკითხველს ანდობს. აქ მხატვრულ შტრიხებად და სურათებადქცეული ფაქტები მეტყველებენ, ირონიულ შტრიხებში თუ მიხვდებით ავტორის დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი.

კრებულის პირველი მოთხრობა „ყიფლიბანდი“ პოლიტიკურად ჯაგარაშლილი დედაქალაქის ცოცხალი სურათია. ორად დაყოფილი ქალაქის ორი სხვადასხვა შეხედულების ინტელიგენტი: გურამი და ნატა. ქალაქში უკვე ფეხით დადიან, ტრანსპორტი არ ჩანს. გურამი ნიშნისმოგებით თანაუგრძნობს ქალს უტრანსპორტობის გამო, ადრე უნდა გეფიქრათ, გენაცვალეო და, მოპოვებული თავისუფლებისადმი ირონიულად განწყობილი, დაამატებს: „რა თავში ვიხლით ამ ჰაიჰარად მორთმეულ დამოუკიდებლობასო“ (იყო კი ჰაიჰარად მორთმეული ეს თავისუფლება?!)... „ულუკმაპუროდ, უიმედოდ დარჩენილები დავერიეთ ერთმანეთს“, — იმართლებს თავს თუ ამართლებს შექმნილ მოვლენებს. იგი სარგებლობს შემთხვევით და იწყებს მჭევრმეტყველებას — ქართველების მოპოვებულ ნაადრევ თავისუფლებას ჩვილის ყიფლიბანდს ადარებს, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, სანამ გამაგრდება. თეორიულად სწორია მისი ნათქვამი, მაგრამ პრაქტიკულად ვის უნდა დაბრალდეს „ყიფლიბანდის“ ხელყოფა, დაზიანება ანუ მოპოვებული თავისუფლების დაღუპვა... პასუხიც აქვს: „რაც ახლა დაგვემართა, ჩვენი ბედოვლათობით დაგვემართა: მიუღწეველს წავეპოტინეთ და ამ წვერგლეჯაში ბევრი მოვიმდურეთ“... „ბევრში“ „ერთმორწმუნე ძმას“ გულისხმობს, რომელმაც, მასთან მოპაექრე ნატას აზრით, „ერთმანეთს გადაგვამტერა და ის თავმოყვარეობაც აღარ შეგვარჩინა, რითაც თავს ვიწონებდით ყოველთვის“. მათ დიალოგში სიმართლე ნატას მხარესაა, რომელიც იტყვის: „სადაც არ იბადებიან, იქ არც სიცოცხლე ფასობს და, ბოლოს და ბოლოს, ყიფლიბანდის შიშით ბავშვი ვის არ გაუჩენია“. გურამი (მეცნიერი) თავისას არ იშლის, ახლა ისაა ძლიერი და გამარჯვებული, ამიტომაც საფინალო სიტყვაც მას მიაკუთვნა ავტორმა (ასეთი იყო რეალობა): „ხვალე წავალ საპროტესტო მიტინგზე, ხვალიდან ხელს მოვაწერ ყველა მოწოდებას და პროკლამაციას, სადაც დიქტატურა იქნება დაგმობილი“. დიქტატურის დაგმობის სახელით კი ქვეყანა იქცეოდა და თავი ყველას მართალი ეგონა.

ამ მეცნიერის მსგავსი გულანთებული და თავგამოდებული ინტელიგენტები მრავლად იყვნენ. იყვნენ ნეიტრალურებიც, შორიდან მაყურებლები იმ იმედით, რომ გასაკეთებელს სხვები გააკეთებდნენ („დიდი ყურულთაი“). მოთხრობის პერსონაჟი, დოცენტი და გაქექილი რეპეტიტორი ირინა, სწორედ ამ ნეიტრალურებს მიეკუთვნება. თავის კაბინეტში მდუმარედ სიგარეტს აფუილებდა და რომ იტყვიან, სიკვდილს ათავებდა, ვინმეს ხმას რომ გაიგონებდა, იმის შიშით, „კიბეზე თუ მეძახიანო, გარეთ გაცვენილები კი მზად იყვნენ: ოღონდ ის ბონაპარტი ჩამოვაგდოთ ტახტიდან და ერთი წელი უხელფასოდ ვივლით ლექციაზეო“ (ესეც ნაცნობი ფაქტი იმ სამარცხვინო ისტორიიდან). დღე-დღეზე უნდა შემდგარიყო „დიდი კრება, დიდი ყურულთაი“. მოთხრობის სათაურიც ხომ ესაა — შესანიშნავი ხაზგასმა ირონიისათვის. ამ კრების შიში ჰქონია ირინას. იქ გაიხსენებდნენ ყველას: „ვისაც დროშები ეჭირა და კიბეზე იჯდა, ვინც თავი მოიავადმყოფა, შინიდან გამოსვლა დაეზარა და ვინც კაბინეტში გამოიკეტა“.

ირონიული პასაჟები ზვიად კვარაცხელიას მოთხრობებში ზომიერად და ზუსტად იქ დაგხვდებათ, სადაც საჭიროა, რამდენადაც საჭიროა. ამით თხრობის სტილს, მთავარი სათქმელის ელფერს დამაჯერებლობას სძენს.

თბილისური ამბებიდან საინტერესოა მოთხრობა „მემაწვნე გოგია“. მემაწვნე გოგიას გული დაწყვიტა აკადემიკოს ნოშრევან ლომთათიძის პირდაპირ ეთერში ნათქვამმა: „წითლებს და უვარგისებს რომ გვიწოდებს, აგერ, ბატონო, რაც მიიღო, პასუხი აგოსო... ხალხი დაერია ერთმანეთს, დანა-სისხლად გადაეკიდა... ბნელი ძალები გაიმარჯვებს (გულისხმობს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მომხრეებს). მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ახალგაზრდას, ხელში აიღოს იარაღი და დაიცვას სამშობლო!..“ ვისგან უნდა დაეცვათ სამშობლო, ვის წინააღმდეგ უნდა აეღოთ იარაღი... ვისი სისხლი უნდა დაღვრილიყო და რატომ, რის მისაღწევად... რას კარგავდნენ — სამშობლოს თუ სამშობლოში მყუდრო და გარანტირებულ კომფორტს — დამსახურებულს თუ დაუმსახურებელს...

ერთი შეხედვით, ღიმილისმომგვრელია (არა ირონიულის) მემაწვნე გოგიას „შურისძიება“, როცა გადაწყვეტს: „მე მაგ კაცს მაწონს აღარ მივუტანო“. ალალ-მართალი გულით გადაწყვიტა, როგორც შეეძლო, ისე გადაეხადა სამაგიერო პატივცემული აკადემიკოსისთვის. „მე ერთი უბრალო მემაწვნე კაცი ვარ, ეგაა ჩემი ინსტიტუტიც და აკადემიაცა... მაგრამ სინდისი უფალთან მაქვს დათქმული — მე მაგ კაცს მაწონს აღარ მივუტან!..“ ესეც განაჩენია — უარი პატივისცემაზე, მცირეოდენით, მაგრამ აქ სიმცირე არ იყო მნიშვნელოვანი.

„სიტყვები ვერცხლისფერი დოქიდან“ მოგვითხრობს იმაზე, როგორ აღმოჩნდნენ ამ ორომტრიალში მწერლები და ჟურნალისტები, ბოღმით სავსე კალამმომარჯვებულები, ბელადს რომ მიწასთან გაასწორებენ და თავიანთ ნაღვაწს მის მომხრეებს სახეზე რომ ააფარებენ.

ზვიად კვარაცხელია ბევრი რამის თვითმხილველია, მერე რა, რომ მაშინ ძალიან პატარა იყო (დაბადებულია 1986 წელს). ბავშვის მეხსიერება, დიახაც, სანდოა. მით უმეტეს, როცა შიშის, უშუქობის, ავტომატების ჯერის, „ჰაუბიცების“ და „გრადების“ ხმის ფონზე იწერებოდა პატარის მეხსიერებაში 90-იანი წლების შემაძრწუნებელი ისტორია. მერე განგებამ მწერლის გამორჩეული ნიჭიც დაანათლა და სრულიად ახალგაზრდამ დაწერა ეს მოთხრობები — ისტორია ჩვენი ახლო წარსულისა, ისტორია საკუთარი სულის ტკივილისა. აწ უკვე ისტორიულ სურათებს და კონკრეტულ დეტალებს იგი ოსტატურად განაზოგადებს, სახეს და სახელს უცვლის ფაქტებს და პერსონებს. აქ არ ჩანს არც კონკრეტული ქალაქი, არც კონკრეტული სოფელი, მაგრამ რაც ხდებოდა ერთგან, ის ხდებოდა ყველგან. საომარი ბატალიების ასპარეზი სრულიად სამეგრელო იყო.

სახელშეცვლილ ხელოვან-ინტელიგენტში თუ ინტელიგენტებში მკითხველს შეუძლია კონკრეტული პერსონების ამოცნობა. „მაროდიორობა ომის თანმხლებიაო“ — ამბობდნენ. ზოგი მორიდებულად, ზოგიც — ჩვეულებრივი პათეტიკით. კალიასავით მოედო მთელ კუთხეს ომის ეს „დაუწერელი კანონი“. ახლა მწერალს მოვუსმინოთ, რამდენიმე შტრიხიც საკმარისია: კოჩობა წყაბელის გამთენიისას მიაკითხეს („ექსპედიცია ადრიან დილით“). წინდაწინ დაუჭერია თადარიგი, ამიტომ არ შემდრკალა ხაკისფერების დანახვაზე... საკუთარი ფეხით შეუძღვა სახლ-კარის გასატიალებლად მოსულებს. მაინც „ამშვიდებდა“ მოსულთაგან ერთი: „ნუ იღელვებ, ბიძა, ვიცით ჩვენ ყველაფერი, მალე მოვაყომარებთო...“ მაგრამ დიდხანს არ ეყოთ მოთმინება: „ფული, ავეჯი, მანქანა, ოქრო.“ დამწიოკებლების დასახვედრად ოჯახებში თადარიგს იჭერდნენ — გაშლილი სუფრით ხვდებოდნენ, რომ ისინი ნაკლებად აგრესიულები ყოფილიყვნენ. კარგადაც მიირთმევდნენ და თან დასცინოდნენ დაბნეულ, დაუცველ ხალხს. ამჯერადაც ასე მიმართავენ მასპინძელს: „გაშლილი სუფრებით რო გვხვდებიან ყველგან, შენთანაც ველოდით პურმარილს. ისე, მართლა გეტყობა ზარალი (კოჩობა წყაბელის იმ წელს ორი მიცვალებული გაუსვენებია), თორე აქაური პადხალიმაჟი არც შენ შეგეშლებოდა... გლუპოი პასიოლოკ“... მართლაც შემზარავი იყო ეს სუფრები, მაგრამ სხვა ხსნა, სხვა გზა არ იყო.

„ხარი ხანისათვის“ — ასე ჰქვია ნოველას, რომელშიც მთავარი პერსონაჟი 90-იანი წლების ერთ დაუვიწყარ, ბავშვის ფსიქიკაში მწარედ ჩარჩენილ ფაქტზე მოგვითხრობს. ეს რეალობიდანაა, ავტომატიანების ნადირობა შინაურ საქონელზე, დღისით, მზისით — ქალაქის ცენტრში (სენაკში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში)...

ავტომატების ჯერით ხოცავდნენ პირუტყვს. იქვე ბავშვების და ქალების თვალწინ ხდებოდა ყველაფერი. იქ უფრო მოსახერხებელი იყო ყველაფერი, რაც მერე მათი ვახშმის მომზადებას სჭირდებოდა. ასე გამოღადრეს ყელი პატარა ბიჭის — მთხრობლის შვინდას ბრონეჟილეტიანებმა, იგივე „შიშებმა“ — როგორც აღიქვამდა მათ ბავშვის დამფრთხალი გონება. „ბევრნი იყვნენ შიშები... ტანკები დასავლეთისკენ რომ დაიძრნენ, ყველა ამბობდა, მიწასთან გაგვასწორებენ, ჩვენს დასასჯელად და დასაბუგად მოდიანო“... „ერთადერთი გამოსავალი ამ შიშებისგან (ეს უკვე ბიჭის მამის სიტყვებია) ისაა, თბილი ოთახი, სალაფავი და ხორცის ნაჭერი არ მოაკლო... აბა, ლობიოთი ხომ არ გავისტუმრებდი ამისთანა დიდებულ ხალხსო“, — არ თაკილობდა პირფერობას მასპინძელი, იქნებ ამას იქით არ წასულიყო მათი მადა... ლობიოს ხსენებაზე თავიანთი ბელადის სიბრძნე გაახსენდათ: „ლობიოობა დამთავრდა, აწი წესრიგი და მშვიდობა უნდა იყვეს ქვეყანაში („იყვეს“... „ტო“ — სიტყვები შემთხვევით არ უნდა იყოს ნახმარი...); ეს არ იყო სილაჩრის შიში. ეს იყო ოჯახის, შვილების და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ქმედება, როცა ტანკით და ბეტეერით მოგადგებიან კართან — აი, ის „შიშები“ გახლდათ.

ერთი შინაგანად შეუვალი პერსონაჟიც შეგვხვდება — ასაკოვანი, სასიკვდილოდ განწირული კაცი, სკოლის დირექტორი (ის რამდენიმე ნოველაში გვხვდება განმეორებით — ისევ და ისევ თავის ამპლუაში, ყველგან საკუთარი ღირსებისა და სკოლის დამცველი). მას სამხედროფორმიანები სთხოვენ, მისცეს მათ სკოლაში დაბანაკების უფლება, რაზედაც ცივ უარს იღებენ. „ეგრევე ქამრისკენ წავიღე ხელი. ბუდეში დანა მქონდა ჩამაგრებული, ვიფიქრე, გავუყრი და მოვათავებ ამ გათახსირებულს-მეთქი, მაგრამ ერთი ჩამიხტა, იქაური ბიჭი (ვინც გზა მიგვასწავლა და გვერდიდან არ გვცილდებოდა), გეხვეწებით, მაგის ნამოწაფარი ვარ, მე მაჩუქე, „ტრუპს“ ნუ აიკიდებო. მერე ბავშვები გამოცვივდნენ ეზოდან, „ბაბუა, ბაბუა“, — კიოდნენ და ტიროდნენ. უცებ შევბრუნდი და მოხრეშილ შუკას შევუყენე ვილისი“, — იხსენებს ეგრეთ წოდებული მეომარი („ერთი მწიკვი სიმართლე“, — დიახ, ასეთი სიმართლე ცოტა იყო, „ერთი მწიკვიც“ იმიტომ ჰქვია. „იმ დღეს ნახევრად ჩამოიქცა ბაბუაშენი, ახლა კიდევ ანევრიზმაო“, — გაახსენებენ მთხრობელს მეორე ნოველაში („თავი ბოლო ზღაპარი“), როცა ბაბუა ცუდად ხდება...

ასეთია ზოგადი შტრიხები მწერლის ნოველებში მონათხრობისა — ზვიად კვარაცხელიამ ფაქტების მხატვრული კონსტატაციით გვითხრა თავისი სათქმელი. მიუხედავად შემზარავი, საჩოთირო დეტალებისა, იგი ჩინებულად ახერხებს მწერლობად, მწერლის ნახელავად აქციოს ის, რაც აწუხებდა და რასაც თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. წანამძღვარიც წიგნისა ძალზე ნიშანდობლივად მოფიქრებულია — „წაკითხვა სავალდებულოა“.

დაურ ნაჭყებიას წიგნი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ომის თემაზეა, თუმცა — საომარი ბატალიებისა და უმოწყალოდ დახოცილთა სიმრავლის გარეშე. მხოლოდ აქაიქ თუ გაისმის ჰაუბიცების გრუხუნი, ავტომატების კაკანი და სნაიპერის ტყვიების ზუზუნი.

რომანის მთავარი დრამა თხრობის დასაწყისშივე გათამაშდება: იღუპება მთავარი პერსონაჟი — ადგურ ა. მისი ხანმოკლე (ოცდასამი წლის), უაზრო ომში (როგორც მას, ადგურ ა-ს, მიაჩნია საბოლოოდ) თავგამოდებით გამოვლილი სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა... თანაც მაშინ, როცა ქალაქი „აიღეს“ (ბედის ირონია ორივე მხარისთვის) 93-ის ზაფხულში და გამარჯვება უკვე გარანტირებული იყო. ის 92-ის აგვისტოდან იბრძოდა. დარჩა დღიურები — სასკოლო საერთო რვეული, ბოლომდე გავსებული. მთხრობელს, რომელიც შემდეგ ბესლანის სახელით გაგვეცნობა, ეს დღიური იმან გადასცა, ვინც ადგურ ა-ს დაღუპვის დღეს მის გვერდით იმყოფებოდა, ვინც ბესლანის არსებობაც იცოდა. შეიძლება ვიფიქროთ, ადგურ ა. მთხრობლის ორეულია, მისი მეორე „მეა“. ბესლანი გულგატეხილია იმ ყველაფრით, რასაც, მისი აზრით, არავისთვის არაფერი მოუტანია — არც გამარჯვებულებისათვის, არც დამარცხებულებისათვის. ვინ იყვნენ ეს „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“? თუ მწერალ-მთხრობლის ფსიქოლოგიურ დისკურსს ჩავუღრმავდებით, ყველა აშკარა მინიშნება თუ ქვეტექსტი გავაცნობიერეთ, არ უნდა გაჭირდეს, დავასკვნათ — გამარჯვებული არავინ იყო, დამარცხებული — კი — ამჯერად — ერთი, პერსპექტივაში — ორივე; რას მოუტანდა ეს გამარჯვება აფხაზერს?.. სამშობლოში უსამშობლოდ დარჩებიან, დასავლეთით გახედვაც აეკრძალებათ, სადმე, ქალაქის განაპირას, რომელიმე მყრალი ორმოს გვერდით შეფენილი ბაზრობით უნდა დაკმაყოფილდნენ და ასე შემდეგ. ეს ბესლანის აზრებია ანუ — მთხრობლის, ანუ — ავტორის. მომავალს კიდევ უფრო მკვეთრი შტრიხებით წარმოსახავს მწერალი შემდეგ და შემდეგ პასაჟებში. მანამ კი ისევ დასაწყისს მივუბრუნდეთ — ადგურ ა-ს სიკვდილის ფაქტს. ფაქტობრივად მან თავი მოიკლა, თავი მოაკვლევინა სნაიპერს. რატომ და რისთვის — ეს არარიტორიკული კითხვა (ხან პირდაპირი მინიშნებით და პასუხებით, ხან — ქვეტექსტებით) გასდევს მთელ წიგნს, ეს არის ის, რაც აწუხებს მთხრობელს.

საგულისხმოა, რომ დაურ ნაჭყებიას ძმა დაეღუპა ამ ომში, მასაც ბოლო წელს უბრძოლია და სოხუმის აღების დღეს დაღუპულა სწორედ, როგორც წიგნის გმირი ადგურ ა. ასე რომ, ის უნდა იყოს ადგურ ა-ს პროტოტიპიც და ლირიკულ გმირად წარმოჩენილი ავტორის შინაგანი მონოლოგების ინდიკატორი. ასე შემოდის რომანის ცოცხალ სამყაროში უკვე დაღუპული მებრძოლი ახალგაზრდა აფხაზი. ნაწყვეტები მისი დღიურებიდან მრავალ/

მხრივ ჩაგვახედებს მეომრის თითქოს საბრძოლო განწყობით შემართულ, მაგრამ ადამიანურად აფორიაქებულ სულში. ნაწყვეტის ვრცელი მონაკვეთიდან, რომელშიც დღიურის ავტორი ღამის პეიზაჟს აღწერს (სიყვარული, მდინარე, ღამე, მთვარე...), მიმანიშნებელია იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი, იძულებულია, ჩაუფიქრდეს (თუნდაც წამიერად, როცა სიკვდილის პირისპირ დგას) განსაცდელს, ადამიანური ყოფის არსს. ავტორი აღნიშნავს, რომ თუნდაც სიკვდილ-სიცოცხლის ეპიცენტრში ყოფნის ჟამს ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდას, მაინც გაუელვებს წამი გამხედავი სიცოცხლისაკენ... შიშიც (რაც არ უნდა ძლიერი იყოს ადამიანი, ქვეცნობიერად მაინც...) ეგზისტენციალური... შიში ამ სილამაზის ვერ გამეტების გამო. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ვინ, რომელი ეროვნების (რომელი მხარე) იქნება ამ ფიქრების უკან — მდინარის გამოღმა თუ გაღმა ნაპირის ავტომატიანი, სანგარში ფიქრისთვის მოცლილი „ბოევიკი“. ირონიულია ადგურ ა-ს დამოკიდებულება ამ ომისადმი, შეიძლება ითქვას, ზოგადად — ომისადმი. „ბუთქ-ქუხილი“ — ასე არქმევს ის ამ სიტუაციას. შედარებისათვის სკაბრეზს იყენებს და თხრობა გრძელდება შესაბამისი ირონიით: „ამ დროს, პარალელურად, შორს, სოხუმის შემოგარენთან, სადღაც კელასურთან, იბუთქა-იქუხა, იქნებ ასე — ბუთქ-ქუხილი“ ატეხა (ჰო, ჭეშმარიტად ასე აჯობებს, ეს სიტყვა უკეთ გამოხატავს მოვლენის მასშტაბურობას) ქართულმა ჰაუბიცამ, მაგრამ თავის სქელკანიანი და არაპატივმოყვრული თვისების გამო სამყაროსეულ სივრცეს კი არ მიაბუთქუხილა, არამედ — ჩვენს პოზიციებს. კიდევ უფრო ხმიანი ბუთქ-ქუხილით აფეთქდა მისი გამონატყორცნი ჭურვი, რომელიც ქვემო ეშერაში დაასკდა საკუთარ ხმას“... ადგურ ა-სთვის ერთნაირად „ბუთქ-ქუხილია“ გაღმიდან თუ გამოღმიდან დაქუხებული ბრძოლის ხმები. „მრავალკალიბრიანი და მრავალმიზნიანი ქუხილის ხმებში ჩამეძინაო“ — ასე დაასრულებს ღამის ტექსტს („დღისით ძალიან ადვილია გულგრილად უყურო ყველაფერს, ღამით კი სულ სხვა საქმეა“, ერნესტ ჰემინგუეი, „აღმოხდების მზე“).

ბესლანი ცდილობს, ჩასწვდეს, გაიგოს, დაასრულოს დღიურის ფრაგმენტული სიტყვების „აბდაუბდა“. „აბდაუბდა“ უნდა დალაგდეს და სათქმელი გარკვეულად ითქვას, ადგურ ა. თავისი სულის ტკივილად და გულისთქმად უნდა აქციოს, ჩამოაშოროს ჭორი და ჭუჭყი მის სახელს, რომ მისი სიკვდილი უაზრობად და მხოლოდ აფექტად არ დაასკვნან. ავტორის მიზანია, საბოლოოდ მაინც კარგად გააცნობიერონ ყველაფერი, მით უმეტეს, „გულგრილმა თანამოქალაქეებმა (სოხუმელებმა), რომელთა აზრები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ორი მიცვალებული“. ყველასთვის გამოცანად რჩებოდა, რატომ ჩაიდინა ადგურ ა-მ ეს, რატომ აირჩია სიკვდილის გზა. მის ბოლოდროინდელ შინაგან ფორიაქსაც იხსენებდნენ... ან, უბრალოდ, დაიღალა და სულის მოთქმა სჭირდებოდაო, თუნდაც — ერთი კვირით. ვერ გაუძლო, რკინისა ხომ არ იყოო და ასე შემდეგ. ზოგნი ანაშას აბრალებდნენ, რომელსაც ადგურ ა. ხარბად ეტანებოდა, „პულსის დაკარგვამდე ბოლდებოდა“, მაგრამ ყველანი აღიარებდნენ, რომ ის საკუთარი ნებით ავიდა მიწაყრილზე და შუბლი ტყვიას მიუშვირა. აქ ავტორი წარსულში ბრუნდება და იხსენებს დაღუპული ახალგაზრდის, ადგურ ა-ს, უკმაყოფილებას სოხუმელების მიმართ, განსაკუთრებით, ადგილობრივი ჩინოვნიკების ცხოვრების ინტერესებისა და მათი „აღმაფრენის მიზეზებს“, რომელთაც არავითარი ღირებულება არ ჰქონდათ. მთხრობელიც უერთდება მის კრიტიკულ დისკურსს. წარმოსახვით თვალს გადაავლებს ახლო წარსულის მრავალფეროვან, მრავალტომობრივ „მოფუთფუთე პუბლიკას“, სოხუმის მჭიდროდ შემოჯარული გორაკების ხასხასა სიმწვანეს და ამ გადასახედიდან ცდილობს, იყოს რეალისტი, თვითკრიტიკულიც: „ასე ვიჭყლეტდით ტვინს, მაგრამ მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი თავდავიწყებული მსჯელობები გვამართლებდა და ასე თავხედურად და უცერემონიოდ ვაკრიტიკებდით ყველას — დიდსა თუ მცირე ავტორიტეტებს“.

როგორ ხედავს (როგორ ინახავს მეხსიერება) მწერალი ომისდროინდელ სოხუმს, მთელ საომარ ტერიტორიას და როგორ აფასებს იმ ავანტიურას, რომელიც აფხაზეთის ომის სახელით დარჩა ქართველთა და აფხაზთა უახლეს ისტორიაში. ეს ეგრეთ წოდებული ავანტიურა არ ყოფილა ცალმხრივი. სამეგრელოს ომის გავლით ის აფხაზეთს მოედო და იქაც მზადყოფნაში დახვდა ნაღმი... პატივს ვცემ ავტორის ფრთხილ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი და შევეცდები, შეძლებისდაგვარად, ასევე მოვეკიდო ძალზე სენსიტიურ ფაქტებს, რომლებსაც გვთავაზობს მწერალი და კომენტარი, ხშირ შემთხვევაში, მკითხველზეა მინდობილი. იგი განსაკუთრებულად არაფერს აღნიშნავს ისე, რომ აშკარად იგრძნო მხარე, მოწინააღმდეგე, იგივე აფხაზი, სიძულვილით აღვსილი... ნიშნისმომგების პოზაში.

წიგნის პირველი შემფასებელი რუსული კრიტიკა იყო და არ დაავიწყდათ, ეთქვათ, რომ იგი აშკარად გამოხატავდა ქართველების სიძულვილს. რა თქმა უნდა, ომში მოწინააღმდეგე არავის უყვარს, მაგრამ ოდნავ დაკვირვებული მკითხველისთვისაც კი ცხადი იქნება, რომ ამგვარი დასკვნისთვის რომანში ხელჩასაჭიდს და განსაკუთრებულს ვერ ნახავთ. არის ერთი ჩანართი — ბესლანი ომამდე სოხუმში ქირით ცხოვრობდა მოხუცებულ წყვილთან: ქმარი — მეგრელი, ცოლი — აფხაზი, ბაბცა. ომის დროს ბესლანმა შეიარა ცოლ-ქმართან. როგორც მწერალი აღნიშნავს, მშობლიურ ენაზე ლაპარაკს მონატრებული „ჭკუამოკლე, სულელი ბებრუხანა აფხაზურად საუბრისას ყოველი სიტყვის შემდეგ ოხრავდა და ხვნეშოდა, თან შეუსვენებლად წყევლიდა ქართველებს“. ალბათ ეს იყო ის, რამაც რუსულ კრიტიკას (კრიტიკოსს) მისცა საბაბი, განეზოგადებინა შეშინებული მოხუცის წყევლა. საგულისხმოა ისიც, რომ მათი შვილები საგანგებოდ არიან გადასული საქართველოში. „აფხაზების წინააღმდეგ არ იბრძოდნენო, ღმერთო, დაგვიფარე ასეთი ცოდვისგან. ისინი საქართველოში იმყოფებიან, რათა აქ ვინმეში არ შეეშალოთო. ისინი მაშინვე დაბრუნდებიან, როგორც კი ეს გაუგებრობა დამთავრდება და ცხოვრება კვლავ ძველ კალაპოტს დაუბრუნდებაო.“ დიახ, ეს მათთვის გაუგებრობაა, ვერ აღიქვამენ, როგორც ომს. ცოლ-ქმარს დაცვა სჭირდება, მაროდიორებისგან დაცვა. მოხუცებმა ბესლანს მეზობლის სახლი შესთავაზეს. იმის პატრონი ომობდა და აწი, როგორც საკუთარ ყურს, ისე ვერ ნახავს აფხაზებსო. ჩანს, ის მეზობელი ქართველია. ბესლანი არ გადადის იმ სახლში. ნათესავთან გადაბარგდება. ამაშიც გამოიხატა პერსონაჟის, ავტორის დამოკიდებულება იმ ფაქტებისადმი, რომელიც, მისი აზრით, იყო „უკიდეგანო სირცხვილი“, „მასიური სიგიჟე“. უკიდეგანო სირცხვილად ომს მიიჩნევს, მასიურ სიგიჟედ — მაროდიორობას, რომელსაც ხელს არც ერთი მხარე არ აკლებდა: უკაცრიელობა, ნანგრევები, ძარცვა — სოხუმი მაროდიორებმა დატბორეს, მაგრამ უკვე საკუთარმა მაროდიორებმა. ისინი ქალაქში მოწინავე რაზმებს შემოჰყვნენ და მაშინვე დაიწყეს ძარცვა-ყაჩაღობა, თითქოს მტრის ქალაქში შესულიყვნენ. ზოგიერთი მათგანი დაფოთლილ სამხედრო ფორმას აფარებდა თავს, ავტომატმომარჯვებულ უმრავლესობას კი სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ზოგი ფეხით, ზოგიც მოფახფახე, ძველი მანქანით დაწრიალებდა ქუჩებში და ნადავლის მოხელთებას იოლად ცდილობდა: ეპატრონებოდა ბინებს, ეძებდა ძვირფასეულობას, ფარეხებში ჩაკეტილ მანქანებს... ის მაროდიორები და ბანდიტები კი, რომლებიც თავს ამაყად საქართველოს სახელმწიფო ჯარის მებრძოლებს უწოდებდნენ, ძირითადად აფხაზებს ძარცვავდნენ და კლავდნენ. ასევე არ ინდობდნენ აფხაზების თანამგრძნობებს. ახლა კი, ომის დამთავრების შემდეგ, სხვა, ჩრდილოეთის ტალღამ გადაუარა ქალაქს, ახლა ქართველებს დაერივნენ, მათ სახლებს, მათ ბინებს, მაგრამ მაროდიორთა გაუმაძღრობა მართლაც — უსაზღვრო, ხოლო კუჭი — უძირო აღმოჩნდა და ისინი განურჩევლად ყველას ძარცვავდნენ.

კიდევ უფრო შემზარავია მკითხველისთვის და ავტორისთვის ის, რომ ყოველივე აღწერილის შემდეგ სცენაზე ნამუსრევის მაძიებელი, მშვიდობიანი მოსახლეობა დაემატა, „ამაზრზენი სიხარბის სიგიჟემ, ძარცვა-გლეჯის ავადმყოფობამ, ბევრი შეიპყრო. სახლში ეზიდებოდნენ — მაგიდებს, სკამებს, მაგიდის ნათურებს, საბნებს, ზეწრებს... ქუჩებში „ტროფეებით“ დატვირთული დროგები და საზიდრები დახრიგინებდნენ. ვიღაც „მონაპოვარს“ გზადაგზა იზომებდა“.

კიდევ ერთი მწარე სინამდვილე: ჭიშკრებსა და კარებზე ეწერა გამარჯვებული და ამაყი — „დაკავებულია“ (და დაკავებულია დღემდე სახლები იმ ქართველებისა, რომლებიც დღეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არიან გაფანტულები, ბევრი მათგანი ჯერაც უბინაოა და იმედით გაჰყურებს მომავალს აფხაზეთისაკენ...). ამას უკვე ავტორი ჰყვება, ამჟამად ის ბესლანის, როგორც მთხრობლის, როლს ვერ ითავსებს, რადგან სწორედ ბესლანზე უნდა თქვას: „ბესლანი სახლიდან არ გამოდიოდა, რათა არ ენახა ეს უკიდეგანო სირცხვილი“.

ავტორი-მთხრობელი ცდილობს, შექმნას ცნობიერების აქტივობის მხატვრულად განზოგადებული სურათები, ქაოსურად მიმოქცეულ აწმყოს, წარსულსა და მომავალს შორის. ასეთ დროს მისი სათქმელი, მისი შინაგანი მონოლოგები გადმოცემულია ცნობიერების ნაკადის სახით. ნარატივის ემოციურობა, მძიმე შთაბეჭდილების არამწყობრი (მაინც ლოგიკას საკმაოდ დაქვემდებარებული) გადასვლები ფაქტებიდან ფაქტებზე, ზოგან — თხრობის დინამიკა გამოხატულია მოშლილი პუნქტუაციით. ეს მიზანმიმართული ცდა მეტ ექსპრესიულობას სძენს მწერლის სათქმელს.

მოულოდნელად შემოჭრილი ფიქრებით მწერალი პერსონაჟის განცდებსაც წარმოაჩენს და საგულისხმო კითხვის ნიშნებსაც გაახმიანებს (შიგნით, გულის სიღრმეში). მსგავსი ნაკვეთი მრავალია მთელ ტექსტში, თუნდაც ასეთი: მოქანცული, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი, შემთხვევას მინდობილი ბესლანი (ეს ჩვევა ომიდან შემომრჩაო) ყავახანისკენ მიდის, სადაც „ძველი, სალაყბო თემები დახვდება: რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ქართველები? როგორ მოიქცევიან რუსები? ნუთუ სანდონი არიან რუსები და კვლავ არ გაგვყიდიან“ და სხვა. მსგავსი კითხვები ჰქონდა ადგურ ა-საც: „რაც გარშემო ხდება, ვიღაცის მიერაა გამოგონილი, არარეალურია; რომ ჩვენ ყველანი ვიღაცის მასიური შთაგონების მსხვერპლნი ვართ; რომ ვიღაცის ნებამ თავისი, ჩვენთვის ჯერ უცნობი მიზნების მისაღწევად დაგვიმორჩილა... ტანკსაწინააღმდეგო თხრილებსა და სანგრებში ვყრივართ და ხელში ისეთი ხელსაწყოები გვიჭირავს, რომლითაც შეგვიძლია, ცოცხალი სხეული ისე დავაზიანოთ, რომ მოისხიპება მისი სიცოცხლე. მდინარის მეორე მხარეს, ზუსტად ჩვენსავით შეიყარნენ ისინი, რომელთაც განზრახული აქვთ ყინულივით ცივი გახადონ ჩვენი სხეულები... ვის რაში სჭირდება ის, რასაც ჩვენ აქ მონდომებით ვაკეთებთ“...

ადგურ ა. დღიურში ჩაწერს, რომ ამ ომში მოკვდება და ტყვია აუცილებლად თავში მოხვდება. ამით ის სიკვდილს ეთამაშება თითქოს. თავს აჯერებს, რომ არ ეშინია სიკვდილისა. ის ერთადერთი ატარებს ჩაჩქანს, რკინის თავისქალას, სიმბოლურად იმ ტვირთს, იმ სიმძიმეს, რომელიც ომმა არგუნა. ის დაიღალა ყველაფრით, მოულოდნელად ჩაჩქანი მოიძრო, შიშველი თავით იმ დროს დატრიალდა ბრძოლის ველზე, როცა სნაიპერის ტყვიას უკვე მიზანში ჰყავდა ამოღებული. ეს იყო პროტესტი ჭაბუკისა, რომელიც გუმისთისკენ, იარაღით ხელში, უცებ არ გაქცეულა. ავტომატმომარჯვებული გუდაუთის ქუჩებში გამოჯგიმული დადიოდა, იქ ჯერ არ იყო საომარი სიტუაცია. მისი არხეინობის მიზეზიც ეს იყო. საომრად წასვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა ვიღაც ძაძებიანი ქალის სიტყვებმა ცივი წყალი გადაასხა: „ომში წადი, უსაქმოდ რას დახეტიალობო“... მეორე დღეს წინა ხაზზე აღმოჩნდა. ამით მწერალი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ ომში ყველა დიდი ხალისით არ წასულა. არც ადგურ ა., არც ბესლანი, ალბათ, ბევრი სხვაც. ასეთია ავტორის მიერ დანახული რეალობა.

განხილულმა ტექსტებმა, როგორც „ორი ნაპირის ორმა სიმართლემ“, ნათლად დაგვანახა, რომ მწერლობა, მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციისა, მაინც ახერხებს მოვლენათა ობიექტივაციას, რაც არის კიდეც მისი უპირველესი მისია; ამასთან, ამ ტექსტებში მკითხველს საშუალება ეძლევა, სამომავლო კოორდინაცია დაინახოს.

გიორგი მგალობლიშვილი

ცარიელი ფურცელი

დასასრული

დარბაზში ტაშმა იქუხა, თომას გამარჯვებას ულოცავდნენ. როცა თავდაპირველი ეიფორიული განწყობა ცოტათი დაცხრა, თამადა ისევ წამოდგა:

— ვულოცავ თომას ამ გამარჯვებას! ახლახან წავიკითხე მისი რომანი. მართლაც დიდებულია. საშინელი ტრაგედიაა, როცა ადამიანი მზად არის, სული მიჰყიდოს სატანას, რათა გენიალური მუსიკა შექმნას და სახელი მოიხვეჭოს. განა ნიჭიერ ადამიანს არ შეუძლია, საკუთარი თავგადადებული შრომით ბრწყინვალე ნაწარმოები შექმნას? აი, როგორც ჩვენმა თომამ შეძლო. შევსვათ ამ ნიჭიერი ახალგაზრდის სადღეგრძელო და კიდევ მრავალი წარმატება ვუსურვოთ მას.

თომა ფეხზე წამოდგა. სახეზე ალმური ასდიოდა. მადლობა ყველასო, წაილუღლუღა და თეკლას შეხედა. გოგონას სახეზე აღფრთოვანება და შეშფოთება ერთმანეთს ენაცვლებოდა.

— თომა, ძვირფასო, გილოცავ, — წაიჩურჩულა მან.

ეგებ მეც შემეძლო, მიმეღწია დიდებისათვის მხოლოდ ჩემი ნიჭითა და შრომით, ფიქრობდა თამადის სიტყვებით აფორიაქებული თომა და თანდათანობით ისეთი უაზრო გამომეტყველება მიიღო, კაცი იფიქრებდა, საცაა გონს დაკარგავსო. თეკლა თვალს არ აცილებდა ვაჟის გაწამებულ, ცვილისფერ სახეს. სურდა, ენუგეშებინა, მაგრამ ყელში ბურთივით გასჩხეროდა რაღაც და სიტყვა ვერ ამოეთქვა.

* * *

ზამთრის ნაცრისფერ დღეს ნელ-ნელა ბინდი ეპარებოდა. თოვდა, ფიფქები ფენაფენად ედებოდა ჯვრებსა და საფლავის ქვებს. სასაფლაოს პირქუშ მდუმარებას არღვევდა მხოლოდ ახალგაზრდა მამაკაცის ბუტბუტი, რომელიც ერთ-ერთ საფლავთან დაჩოქილიყო.

— სამ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის მანძილზე გული ყოველთვის აქეთ მომიწევდა, მაგრამ მოსვლას ვერ ვბედავდი. იცი, მეგონა, დროის გასვლასთან ერთად ეს ტკივილი თანდათანობით გაყუჩდებოდა, მაგრამ თურმე ყველაფერი პირიქით ყოფილა, დღითი დღე სულ უფრო მეტად ვიტანჯებოდი. ჩემმა რომანმა კონკურსში გაიმარჯვა. მეუბნებიან, უსათუოდ ნობელის პრემიასაც მიიღებო. შენმა სისხლმა მომიტანა ეს წარმატება, მაგრამ ეს დიდება, რაც ჩავიდინე, იმად არ ღირდა. ამ ტანჯვას ველარ ვუძლებ. ბოლო ერთი კვირაა, ვხედავ სისხლს ჩემს ხელებზე და ვგრძნობ მის სუნს. ძლივს მოვიკრიბე ძალა, რომ შენს საფლავთან მუხლი მომეყარა.

ახალგაზრდა მამაკაცი წამით დადუმდა და ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო საფლავის ქვაზე გამოსახულ სევდიან სახეს. უეცრად სიცივემ აიტანა, თოვლში მუხლებზე დგომით ფეხები სულ გაჰყინოდა, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძვროდა. აკანკალებული ხელი ჯიბეში ჩაიყო და მოკლეტარიანი დანა ამოიღო.

— მაპატიე, ანდრო, — ჩაიჩურჩულა და დანა მთელი ძალით მკერდში ჩაირტყა.

* * *

გონს მოსული თომა გაოგნებული ათვალიერებდა ქათქათა პალატას და ვერაფრით იხსენებდა, თუ როდის ან რატომ მოხვდა აქ.

საწოლიდან წამოდგომა სცადა, მაგრამ ისეთი ძლიერი თავბრუსხვევა იგრძნო, რომ ისევ მიეგდო ლოგინზე. ცოტა ხნის შემდეგ პალატაში შესულმა მედდამ მზრუნველი მზერა შეავლო თომას არეულ სახეს და დაყვავებით ჰკითხა:

— როგორ ხართ? ხომ არაფერი გინდათ?

— ცარიელი ფურცელი, ცარიელი ფურცელი... — ჩაიბუტბუტა თომამ და ამღვრეული თვალები ჭერს მიაპყრო.

ამერიკელი მოდერნისტი პოეტი უოლეს სტივენსი (1879-1955) ადვოკატი იყო და ლექსებს ღამით წერდა ან დილის გასეირნების დროს თხზავდა სამსახურისკენ მიმავალ გზაზე. განათლება ჰარვარდის უნივერსიტეტსა და ნიუ-იორკის სამართლის სკოლაში მიიღო. მთელი სიცოცხლე სადაზღვევო კომპანიის იურისტად მუშაობდა ჰართფორდში (კონექტიკუტის შტატი).

უოლეს სტივენსი

განხიბვლა 10 საათზე

სახლი ივსება თეთრპერანგიანი
მოჩვენებებით.
მათგან არცერთი არ არის მწვანე,
ან იისფერი მწვანე რგოლებით,
ან კიდევ მწვანე ყვითელ რგოლებით,
ანდა ყვითელი ლურჯი რგოლებით.
ვერ გამოარჩევ მათგან ვერცერთს
მაქმანიანი წინდებით
ან მძივიან ქამრით.
ადამიანებს სიზმრადაც არ მოევლინებათ
ბაბუინი და ზღვის ლოკოკინა.
მხოლოდ ხანდახან მოხუც მეზღვაურს,
მთვრალს, ჩაძინებულს, ჩექმებიანს,
დაესიზმრება, თუ ვეფხვებზე როგორ ნადირობს
წითელ ამინდში.

თოვლის კაცი

უნდა გაგაჩნდეს თვით ზამთრის გონი,
ყინვა რომ იგრძნო და შეამჩნიო
თოვლშეყინული ფიჭვის ტოტები.

უნდა კარგა ხანს შეგეგრძნო ყინვა,
რომ შეგემჩნია დაჭირხლული თოვლისგან ღვია,
და შორეული ბზინვარება გათოშილ ნაძვის

იანვრის მზეში; რომ არ გეფიქრა
უიღბლობაზე ქარის ზუზუნში,
და შერჩენილი ფოთლების ხმაში.

ეს მიწის ხმაა
ავსებული იმავე ქარით,
შიშველ ადგილებს გამუდმებით რომ დასტრიალებს.
მსმენელისათვის, თოვლში რომ ისმენს
და თავისით რომ ვერაფერს ხედავს,
რაც იქ არის და რაც იქ არ არის.

შაშვის ცამეტნაირი აღქმა

I
ოც დათოვლილ მთას შორის
მხოლოდ შაშვის შავი თვალი
მოძრაობდა.

II
გონება მქონდა დაყოფილი მე სამ ნაწილად,
როგორც ხეს,
სამი შაშვი რომ შეფარებია.

III
შემოდგომის ქარს აჰყოლოდა ტრიალით შაშვი.
ეს წააგავდა პანტომიმის პატარა ნაწილს.

IV
ქალი და კაცი
ერთნი არიან.
ქალი და კაცი და შაშვიც
ერთნი არიან.

V
მე არც კი ვიცი, რა ვამჯობინო,
ინტონაციის სილამაზე
თუ სილამაზე გადაკრულ სიტყვის.
შაშვის გალობა,
თუ სიჩუმე მას რომ მოყვება.

VI
ყინულის ლოლოს დაუსერავს გრძელი ფანჯარა
უხეში მინით.
შაშვის აჩრდილმა
გადაუარა მას აქეთ-იქით.
მასში განწყობამ
ამოუცნობი კვალი დალანდა.

VII
ო, ჰედემის უსუსურო კაცებო,
რად გესახებათ ოქროს ჩიტები?
ნუთუ ვერ ხედავთ თუ როგორ
უვლის ქალების ტერფებს
გარშემო შაშვი.

VIII
მე კარგად ვიცნობ კეთილშობილ აქცენტებს
და ნათელ რიტმებს, ხელიდან რომ ვერ დაგისხლტება.
მე ის ვიცი, რომ
ჩემს ცოდნაში
თავად შაშვიც ჩარეულია.

IX
როდესაც შაშვი თვალს მიეფარა,
მან ერთ-ერთი წრის
კიდე მონიშნა.

X
შაშვების ფრენას
მწვანე შუქზე თვალს რომ მოკრავენ,
იაფფასიან ევფონიის მოყვარულთაც კი
აღმოხდებათ ერთხმად ყვირილი.

XI
ის შუშის ეტლით
კონექტიკუტს მიაშურებდა.
და უცბად შიშმა აიტანა,
რადგან აღიქვა
ეკიპაჟის ჩრდილი შაშვებად.

XII
მიედინება მდინარე
და ალბათ შაშვმაც გადაიფრინა.

XIII
მთელს ნაშუადღევს მიმწუხრი იდგა.
თოვდა
და თოვას აპირებდა.
კედრის ტოტებზე
კი შაშვი იჯდა.

საგნების მარტივი არსი

როცა სრულდება ფოთოლცვენა, საგანთა
მარტივ არსს ვუბრუნდებით. თითქოს
მივედით წარმოსახვის ბოლო ზღვარამდე,
სულისგან დაცლილ და ინერტულ შემეცნებასთან.

მეტად ძნელია, შეურჩიო ზედსართავი
სიცივეს დაცლილს, ამ უმიზეზო სევდიანობას.
და ნაგებობა უზარმაზარი გადაიქცა პატარა სახლად.
და მის გაცრეცილ იატაკებზე
ჩალმიანებიც არ გაივლიან.

აქ სათბურსაც არ შერჩენია ჩვეული ფერი.
და გადახრილა ორმოცდაათი წლის საკვამური.
ფანტასტიურმა შემართებამ
დაკარგა ძალა, განმეორება
კაცთა და ბუზთა განმეორების.

თუმც წარმოსახვის არარსებობა წარმოსახვას
მოითხოვს მაინც. დიდი გუბურა,
მარტივი არსით, უანარეკლოდ, უფოთლებოდ,
აუმღვრეველი,
რომ წააგავს ჭუჭყიან შუშას, ასე თუ ისე

მდუმარების გამომხატველი, სიჩუმით ვირთხის,
რომ გამოსულა
დიდი გუბურის და
მოტივტივე შროშანების დასანახავად,
ეს ყველაფერი
წარმოსახვას მოითხოვს მაინც,
როგორც ცოდნას გარდაუვალს,
აუცილებელს, საჭიროების შესაბამისად.

გახანგრძლივებული საუბარი მდუმარე კაცთან

ხნოვანი მრეში ქათამი და ლურჯი ცა,
რომელთა შორის ვცოცხლობთ და ვკვდებით—
გორაკის ფერდზე გატეხილი ურმის ბორბალი.

თითქოს გავაშრეთ ბადეები და შევაკეთეთ იალქნები
ზღვის თანდასწრებით
და უსასრულოდ ვისაუბრეთ ათას რამეზე.

დაუსრულებელ ქარიშხალზე სურვილებისა,
ერთ სურვილზე.
მრავალ სურვილზე, ქარის ქროლვაზე,
ფოთლების მრავალმეტყველაბაზე,

ლავგარდანის ქვეშ
თავს რომ იყრის ერთ მთლიანობად,
ქარიშხლისა და ფერმის კავშირი,
ჯაჭვი გაბმული ფირუზისფერ ქათამსა და
ცის სივრცეს შორის.

და ურმის სვლის დროს გატეხილი ერთი ბორბალი.
ეს ხმა არ ისმის ლავარგარდნიდან,
ეს მეტყველება ის არ არის, ჩვენ რომ ჩაგვესმის

იმ საუბრისას, არამედ ხმაა
საგნების და მოძრაობისა: სხვა კაცი,
მონსტრი ფირუზისფერი, მუდმივ რომ ბრუნავს.

ჯარისკაცის სიკვდილი

იკუმშება სიცოცხლე, სიკვდილია მოსალოდნელი,
ისე, როგორც ჟამს შემოდგომის
ჯარისკაცი ძირს ეცემა.

ის არ მოიხვეჭს გმირის სახელს მხოლოდ სამი დღით,
იმ ქვეყნად წასვლას თავს არვის ახვევს
და არ მოითხოვს ზარსა და ზეიმს.

უცილობელი არის სიკვდილი, ძეგლის გარეშე,
როგორც სჩვევია შემოდგომას,
როცა ქარი სრულად ჩადგება,

როცა ქარი სრულად ჩადგება, ზეცაში
ისევ დიან ღრუბლები
თავიანთ გზაზე

მხიარული ვალსის სევდიანი დაძაბულობა

ჭეშმარიტება იმაშია, რომ დგება ჟამი,
როცა ჩვენ ვეღარ დავიტირებთ იმ მუსიკას,
რომელიც ასეთ უმოძრაო ბგერებად იქცა.
დადგება ჟამი, როდესაც ვალსი
აღარ იქნება სურვილის ნირი, ნირი
სურვილის გამომჟღავნების,
და დაიცლება ლანდებისაგან.
მრავალი ვალსი დასრულებულა. და თან
არსებობს ამაღლებული გონების ჰუნი,
ვისი სურვილიც არასოდეს ყოფილა ვალსი.
რომელმაც ჰპოვა ყველა ფორმა,
ყველა წესრიგი სიმარტოვეში,
ვისთვისაც ფორმა
არასოდეს არ ყოფილა კაცის ფიგურა.
ახლა კი მისთვის ეს ფორმები გაუჩინარდნენ.
არც ზღვას და არც მზეს ეს წესრიგი არ გააჩნია,
დაუკარგია ბრწყინვალება ყოველგვარ ფორმას,
და უცაბედად ვლინდებიან მასები ხალხთა.
მოულოდნელი ეს ღრუბელი სახეთ და მკლავთა,
თავისუფლება უსაზღვრო თრგუნვის,
ხმები, რომლებიც გაჰკივიან შეუცნობელად.
სურთ, მოიპოვონ ბედნიერება, თუმც
არ იციან ამისათვის რა გზას დაადგნენ,
არ შეუძლიათ თავს მოხვეულ ფორმათ აღწერა,
წესრიგს ითხოვენ, თუმც სიტყვებით ვერ გამოთქვამენ.
მრავალი ვალსი დასრულებულა. თუმცა ფორმები
რომლის გამოც ხმები კივიან,
შესაძლოა რომ ისინი იყოს
ნირი სურვილის, ნირი სურვილის გამჟღავნებისა.
მრავალი ვალსი. ურწმუნოების მთელი ეპოსი
ჟღერს უფრო ხშირად და უფრო სწრაფად,
და მუდმივი გახდება მალე.
ჰარმონიული სკეპტიკოსი მალე სკეპტიკურ მუსიკაში
დააკავშირებს ერთმანეთთან კაცთა ფიგურებს და
მოძრაობით გაბრწყინდება მათი ფორმები, მაშინ მუსიკა
ამოძრავდება და აივსება ისევ ლანდებით.

ჩაი ჰუნის სასახლეში

მიუხედავად იმისა, რომ მეწამულით გადავეშვი
დასავლურ დღეში, იმით, რასაც შენ არქმევ
მარტოსულ ჰაერს, მე არაფერი არ დამკლებია.

ეს რა მალამო გადამისვეს ნეტავი წვერზე?
ეს რა ჰიმნებმა იზუზუნეს ჩემს ყურთა მიღმა?
ეს რა ზღვა იყო, იქ რომ წამლეკა მიმოქცევისას?

ჩემს გონებიდან ოქროსფერი მალამო წვიმდა,
ჩემი ყურები აჟღერებდნენ მოსმენილ ჰიმნებს,
და მე კი თავად გადავიქეცი იმ ზღვის კომპასად.

ვიყავ სამყარო, რომელშიაც მე დავდიოდი.
რასაც ვხედავდი,
რაც მესმოდა, ან რასაც ვგრძნობდი, ჩემგან არ იყო;
და აქ ვპოვე მე ჩემი თავი
უფრო ნამდვილი და უცნაური.

მკითხველი

ვიჯექ, მთელ ღამეს კითხვით ვათევდი,
ვკითხულობდი და შევენივთე
დათალხულ ფურცლებს.

შემოდგომაზე ვარსკვლავები, ცით მოწყვეტილნი,
ეფინებოდნენ ჩამომჭკნარ ფორმებს,
შეყუჟულებს მთოვარის შუქში.

კითხვის ჟამს არსად არ ენთო შუქი,
ხმა ბუტბუტებდა: „ყველაფერი
უბრუნდება ისევ სიცივეს“,

მუშკის სურნელის მქონე მუსკატიც,
ნესვიც და ლოყებღაჟღაჟა მსხალიც
მოწეული უფოთლო ბაღში.

არ ემჩნეოდათ ასოები დათალხულ ფურცლებს,
მხოლოდ ანთებულ ვარსკვლავთა შუქის
კვალი გასდევდა ყინვიან ზეცას.

ბოცვერი, როგორც აჩრდილთა მეფე

დღის ბოლოს ფიქრი უფრო რთულია,
როცა მზეს ფარავს უფორმო ჩრდილი
და მხოლოდ შუქი რჩება შენს ბეწვზე—

და იყო კატა, რძეს რომ თქვლეფდა შეუჩერებლივ,
მსუქანი კატა, წითელი ენა, მწვანე გონება,
თეთრზე თეთრი რძე.
იდგა აგვისტო—თვე უმშვიდესი.

ბალახში ყოფნა, უმშვიდეს დროში.
კერპად ქცეული კატის გარეშე,
კატის, მთვარეზე მივიწყებულის.

იმის შეგრძნება, რომ ესაა ბოცვერის შუქი,
სადაც ყოველი მხოლოდ შენია,
და არ ჭირდება არაფერს ახსნა.

თან საფიქრელიც არაფერია.
ეს ყველაფერი თავისით მოდის;
აღმოსავლეთი დასავლეთისკენ მიექანება,
დასავლეთი კი ისწრაფვის ქვემოთ,
არა უშავს რა, იქ ბალახი სავსეა მაინც.

სავსეა შენით. შენთვის არიან ირგვლივ ხეებიც.
და ვრცელი ღამეც არსებობს შენთვის,
არსებისათვის ყველა კიდეს რომ შეეხება.

და შენ იქცევი იმ არსებად,
ღამის ოთხივე კუთხეს რომ ავსებს.
შენს ბეწვის შუქში მიიმალება წითელი კატა.
და შენ იქ მაღლა ჩაცუცქულხარ.

და შენ თანდათან იცუცქები მაღლა და მაღლა,
ქვასავით შავი—
თავაწეული ისე დამჯდარხარ,
თითქოს სივრცეში შენი თავი გამოუკვეთავთ.
და პაწაწინა მწვანე კატა დამსგავსებია ბალახში ხოჭოს.

ექვსი მნიშვნელოვანი პეიზაჟი

I
მოხუცი კაცი
ზის ჩინეთში
ფიჭვის ხის ჩრდილში.
ხედავს
თეთრსა და ლურჯ დეზურას,
ჩრდილის კიდეზე რხეულს
ქარისგან.
მოხუცის წვერი ირხევა ქარში.
ფიჭვის ტოტებიც ირხევა ქარში.
სარეველებზეც ედინება
ღვარ-ღვარად წყალი.

II
ღამე ქალის
მკლავის ფერია.
და იმალება ღამე,
ქალს რომ გავს —
იდუმალი,
სურნელოვანი, ალერსით სავსე,
გუბე ბრჭყვიალებს,
როგორც ცეკვისას
სამაჯური აელვებული.

III
და მე მაღალ ხეს ვაზომებ
ჩემს თავს.
მე გაცილებით მაღალი ვარ,
რადგან მზეს ვწვდები.
ჩემი მზერით.
და სმენითაც
ზღვის ნაპირს ვწვდები.
ოღონდ არ მომწონს
ჭიანჭველები ჩემს ჩრდილში
რომ მიდი-მოდიან.

IV
ჩემი ოცნება როცა მთვარეს მიუახლოვდა,
მისი კაბის თეთრ ნაკეცებში
ჩაიღვარა ყვითელი ფერი.
ფეხისგულები კი
შეუწითლდა.
და მახლობელმა ვარსკვლავებმა
თმები აუვსეს
ლურჯ კრისტალებით.

V
არც ლამპიონის საკვეთს,
არც საჭრეთელს გრძელი ქუჩისას,
არც გუმბათის მძიმე უროებს,
არც მაღალ კოშკებს,
არ ძალუძთ ისე გამოკვეთონ
ვაზის ფოთოლები, როგორც იმ ვარსკვლავს,
ზედ რომ სხივს აფრქვევს.

VI
რაციონალისტები ოთხკუთხა ქუდებით
ოთხკუთხა ოთახში სხედან და ფიქრობენ,
იატაკს დასცქერენ,
ხან ჭერს ახედავენ.
და ჯერდებიან სამკუთხედებით.
რომ მოესინჯათ რომბოიდები,
კონუსები ან ელიფსები, —
როგორიცაა, მაგალითად, ნახევარმთვარე —
მაშინ ისინი სომბრეროებს დაიხურავდნენ.

თარგმნა მედეა ზაალიშვილმა

ალბერ კამიუ

ქარი ჯემილაში

ARის ადგილები, სადაც კვდება სული და იბადება სიმართლე, როგორც მისი პირდაპირი უარყოფა. როდესაც ჯემილაში ჩამოვედი, ქარი და მზე დამხვდა, თუმცა ამის შესახებ შემდგომ ვისაუბრებ. ჯერ მინდა, შევნიშნო, რომ იქ სიჩუმე სუფევდა, მძიმე და ფართო სიჩუმე, ურყევი, როგორც გაწონასწორებული სასწორის ისარი. ფრინველების შეძახილები, ფლეიტის გამჭრიახი ხმა, თხების ნაბიჯები, ცის სიშორიდან მოსული ქუხილი — სწორედ ეს ყველა ხმა ქმნიდა სიჩუმისა და ამ ადგილის მიტოვებულობის შთაბეჭდილებას. რა გზითაც არ უნდა მიდიოდე, სახლის რუინებსა თუ სუფთა, ფართო ქუჩებში ბრწყინვალე კოლონებს შორის, ან თუნდაც უზარმაზარი ფორუმისგან ტრიუმფალურ თაღსა და ტაძარს შორის — შენ ყოველთვის მიხვალ ხევში, რომელიც გარს ერტყმის ჯემილას, ამ უკიდეგანო ცის ქვეშ მდებარე ტაძარში! და აღმოჩნდები ხაფანგში, განმარტოებული ქვებსა და სიჩუმესთან, თითქოს დრო შეჩერდა, მხოლოდ მთები იზრდებიან და ყვავდებიან დროთა განმავლობაში. მაგრამ ჯემილაში ქარია და მზესა და ქარის ნაერთისგან, რომელიც რუინებს ერთგვარ სინათლეს სძენს, წარმოიქმნება რაღაც ისეთი, რაც აძლევს ადამიანს საშუალებას, იგრძნოს საერთო მკვდარი ქალაქის განმარტოებასა და სიჩუმეს შორის.

დიდი დროა საჭირო ჯემილაში ჩასასვლელად. ეს არაა ისეთი ქალაქი, სადაც უბრალოდ, შემთხვევით გაივლიან ხოლმე. მისი გავლით ვერსად ვერ მოხვდები და მას არ გააჩნია ოლქი. ეს ის ადგილია, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან. მკვდარი ქალაქისაკენ საკმაოდ გრძელ გზას მიჰყავხარ, თუმცა ეს გზა უფრო გრძელი გეჩვენება, როდესაც ყოველ მოსახვევში ელოდები, რომ შენ თვალწინ ჯემილა გადაიშლება. როდესაც, როგორც იქნა, ყოველთვის დამთრგუნველ ფერებში გახვეული პლატოს უზარმაზარ მთებს უკან განთიადი და ქალაქის მოხაზულობა ჩნდება, ჯემილა ხდება სიყვარულისა და მოთმინების სიმბოლო, რომლის ერთგულებასაც შეუძლია გაგვიღოს სამყაროს სათუთი გული. იქ, პლატოზე, იშვიათ ხეებსა და ხშირ ბალახებს შორის, ჯემილა თავისი ლოდებითა და მთებით იცავს თავს ვულგარული აღფრთოვანებისაგან; წარმოდგენების მხატვრული ან სასიამოვნო თამაშის ვნებისაგან.

ჩვენ დიდხანს ვბოდიალობდით უდაბურ სილამაზეში. ქარი, რომელიც შუადღით ნაკლებად შესამჩნევი იყო, ნელნელა უფრო გამძაფრდა და თითქოს მთელი პეიზაჟი მოიცვა. ქროდა ორ მაღალ მთას შორის, მოქროდა ჰორიზონტიდან და ძრწოდა ქვებისა და მთების სამფლობელოში. შეუჩერებლად უსტვენდა ნანგრევებში, ტრიალებდა გაშეშებულ ცირკში, გარს ერტყმოდა უზარმაზარ, დაზიანებულ ლოდებს, არ ინდობდა არც ერთ კოლონას და დაუოკებელი ხმაურით მიილტვოდა ცისქვეშ გავრცელებული ფორუმისაკენ. მე ქარის მიერ ვიყავი გაშოლტილი, როგორც ქარიშხალში მოხვედრილი გემის რანჰოუტი. თვალები გამიღიზიანდა, ტუჩები დამისკდა, ხოლო გამშრალი კანი თითქოს მე აღარ მეკუთვნოდა. აქამდე გრიგალი საშუალებას მაძლევდა, აღმექვა სამყარო. იგი წერდა მასზე, როდის იყო ის ბედნიერი და როდის გაშმაგებული, ათბობდა მას ზაფხულის სუნთქვით. მაგრამ, ქართან — რომელსაც მწყობრიდან გამოვყავდი — ხანგრძლივი წინააღმდეგობის შედეგად დაღლილი, უკვე ვეღარ ვგრძნობდი, რას აღიქვამდა ჩემი სხეული. იგი მაინც თავს მესხმოდა. უფრო ვერწყმოდი სტიქიას, რომლის ძალაუფლებასაც დავმორჩილდი და, როგორც იქნა, საბოლოოდ შევუზავდი მას. ჩემი პულსი შეუერთდა ბუნების უძლიერეს, უსასრულო გულისცემას. ქარი ჩემგან სწორედ იმ გამოსახულებას ქმნიდა, რომლითაც ჯემილა იყო განმსჭვალული. და მისი მკლავების ქვეშ მე, ქვა ქვათა შორის, მოვიპოვე მარტოობა ზაფხულის ცის ფონზე, მსგავსად აქ მდგომი კოლონებისა.

→

დასასრული

ალბერ კამიუ

ქარი ჯემილაში

ქარმა და მზემ საბოლოოდ გამომფიტა. ჩემში თრთოდა, წუხდებოდა თავისუფლება, წუხდებოდა ცხოვრება, გონება ცდილობდა, პროტესტი გამოეთქვა. წამით მომეჩვენა, რომ სადაცაა დავივიწყებ ყველაფერს ამ სამყაროზე, დავივიწყებ საკუთარ თავსაც კი და ჰაერში გავღვივდები. და თავს ამ ქარად მოვიჩვენებ, და თავს ამ ქარის მიერ მოვლილ კოლონებად, თაღებად, ფილებად მოვიჩვენებ, ისინი სითბოს ასხივებენ; და თავს ქალაქის გარშემორტყმულ მთებად მოვიჩვენებ. ჯერ არასდროს მიგრძნია ასეთი განდეგილობა საკუთარი თავისგან და, ამავდროულად, სამყაროში არსებობასაც.

ჰო, მე ვარსებობ. და ამ დროს მაცვიფრებს ის აზრი, რომ ამ საზღვრის იქით წასვლა არ შემიძლია. როგორც ადამიანს, რომელსაც სამუდამო სასჯელი აქვს მოსახდელი: რაც მისთვის არსებობს, მას თან ახლავს. ამავდროულად, როგორც ადამიანს, რომელმაც იცის, რომ ხვალინდელი დღე იქნება დღევანდლის მსგავსი და დანარჩენი დღეებიც ასევე. რადგან ადამიანისთვის საკუთარი აწმყოს აღქმა ნიშნავს — არაფერს ელოდო. მხოლოდ ვულგარული პეიზაჟები აღიქმება სულიერი მდგომარეობის მიხედვით. ამ ქალაქში მე ყველგან ვგრძნობდი რაღაცას, რაც ჩემს მიერ არ იყო მოტანილი, არამედ თვითონ ქალაქს თან ახლდა — ვგრძნობდი სიკვდილის გემოს, რომელიც გვაერთიანებდა. აქ, კოლონებს შორის, დნებოდა განგაში. ქარს სინათლე ჩაენაცვლა. შიში იბადება ცოცხალთა გულში, მაგრამ ეს ცოცხალი გული ოდესმე გაჩერდება. იმის გამო, რომ დღე საღამოსკენ იხრებოდა; რომ ხმები და სინათლე ნელ-ნელა ბინდის ფერფლში იკარგებოდა, მე, საკუთარი თავის მიერ მიტოვებული, თავს უფრო დაუცველად ვგრძნობდი ჩემს გონებაში მომწიფებული ძალებისაგან საკუთარი თავის უარყოფისა.

ბევრი ვერ ხვდება, რომ საკუთარ უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ განდეგილობასთან, უარის თქმა შეიძლება. მაშ რას ნიშნავს სიტყვები „მომავალი“, „წარმატების მიღწევა“, „მდგომარეობა“? რას ნიშნავს სულიერი განვითარება? თუ მე „ოდესმე“ შევეცდები, უარვყო ყველა, მაშინ ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არ მინდა განვშორდე ჩემს ახლანდელ სიმდიდრეს. არ მსურს ვირწმუნო ის, რომ სიკვდილი ახალი ცხოვრების ზღურბლია. ჩემთვის ეს დაკეტილი კარია. არა, ეს ზღურბლი არაა, ეს საშინელი და ამაზრზენი ისტორიაა. ყველაფერი, რასაც მე მთავაზობენ, იმისკენ არის მიმართული, რომ ადამიანი საკუთარი ცხოვრების ტვირთისგან მოვაშორო. მაგრამ, როდესაც ვაკვირდები ჯემილას ცაზე მფრინავ დიდრონ ფრინველებს, სწორედ მაშინ ვაწყდები ამ ტვირთს და ვიღებ მას. ამ პასიურ ვნებაში მხოლოდ საკუთარი მთლიანობის შენახვა ძალმიძს, დანარჩენი კი ჩემზე არ არის დამოკიდებული. მე ზედმეტად სავსე ვარ ახალგაზრდობით იმისათვის, რომ ვისაუბრო სიკვდილის შესახებ. მაგრამ მგონია, რომ, თუ ვალდებული ვიქნებოდი მასზე მესაუბრა, სწორედ აქ, ჯემილაში ვნახავდი მისთვის საჭირო სიტყვებს, რათა შეშფოთებით გამოვხატო სიკვდილის გარდაუვალობა და ურყევი იმედები.

ყოველ ჩვენგანს აქვს რამდენიმე იდეა, რომელიც გულთან ახლოს გვიდევს. ორი-სამი იდეა. სამყაროსა და ადამიანებთან ურთიერთქმედების დროს, ჩვენ მათ გარდავქმნით. დაახლოებით ათი წელი დაგვჭირდება, რომ გამოვიმუშაოთ ნამდვილად ღირსეული იდეა — იდეა, რომელზეც ღირს საუბარი. რა თქმა უნდა, ეს ოდნავ თავგზას გვიბნევს, მაგრამ იგი ეხმარება ადამიანს დაინახოს სამყაროს ნათელი სახე. აქამდე ის სამყაროს ახლოდან უყურებდა. შემდეგ ნაბიჯი ოდნავ უნდა გადადგას, რათა დაინახოს იგი პროფილში. ახალგაზრდა ადამიანი სამყაროს ახლოდან უყურებს. მან ჯერ ვერ მოასწრო სიკვდილის ან არარსებობს იდეის გააზრება, თუმცა ეს ბადებს მასში შიშს. შეიძლება, სწორედ ეს სასტიკი შეხვედრა სიკვდილთან, ეს ცხოველური შიში სინათლისმოყვარული არსებისა — არის ახალგაზრდობა. ამ მხრივ, იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ჩვეულებრივ ამბობენ ახალ თაობაზე, კერძოდ ამ შემთხვევაში, ახალგაზრდათათვის ილუზიები უცხოა. მათ არ ჰქონდათ არც დრო, არც სიკეთე, რათა შეექმნათ ის. და, რატომღაც, როცა ვუყურებდი ამ მკაცრ პეიზაჟს, ჯემილას, იმედების სიკვდილს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანები, რომლებიც იმსახურებენ ამ სახელს, საფლავის კიდეზეც თვალებში უყურებენ სიკვდილს, უარყოფენ იდეებს, რომლებიც გაანდვეს და მათში იღვიძებს ხელუხლებელი სიმართლე, რომელიც ბედისწერის წინ მდგომ ძველთა მზერებში ანათებდა ხოლმე. როდესაც სიკვდილი ხელს უშლის ადამიანს, მასში ისევ ახალგაზრდობა იღვიძებს. ამ მხრივ არაფერია ავადმყოფობაზე საძულველი. ეს გამაყუჩებელია სიკვდილთან ურთიერთობისთვის. იგი ამზადებს ადამიანს. იგი ასწავლის სიკვდილს, და ამ სწავლების პირველ სტადიაზე ადამიანი კარგავს ინტერესს საკუთარი თავის მიმართ. იგი ადამიანს მხარში უდგას, რათა შეაგუოს იმ გარდაუვალ სიმართლეს, რომ ადამიანი სრულებით კვდება. მაგრამ ჯემილა... ჯემილაში მე ვგრძნობ, რომ ნამდვილი, ერთადერთი ცივილიზაციის პროგრესი, რომელსაც პიროვნება დროდადრო ეგუება, სწორედ ის არის, რომ იგი ქმნის ადამიანებს, რომლებიც გაცნობიერებულად კვდებიან.

სულ მაკვირვებდა, რომ ჩვენ, ადამიანები, რომლებსაც შეგვიძლია ასე ვრცლად ვისაუბროთ ამა თუ იმ თემაზე, ვხედავთ აზრების ამგვარ სიღარიბეს, როდესაც საუბარი სიკვდილზე იწყება. სიკვდილი — ან სიკეთე, ან ბოროტებაა. მე მეშინია მისი, ან მე მას ვეძებ (როგორც ზოგიერთი თვლის). მაგრამ ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ყველაფერი მარტივი ჩვენი ცნობიერების მაღლა დგას. რა არის ლურჯი და რა შეიძლება იფიქრო ლურჯის შესახებ? ზუსტად ასე მივყავართ ჩიხისკენ სიკვდილის საკითხსაც. სიკვდილსა და ფერების შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია, ვისაუბროთ. თუმცა რა უნდა იყოს ჩემთვის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩემ წინაშე მწოლიარე ადამიანი, მძიმე, როგორც მიწა — ეს ხომ ჩემი მომავლის სახეა. მაგრამ შემიძლია თუ არა სინამდვილეში ვისაუბრო საკუთარი მომავლის შესახებ? მე ვეუბნები საკუთარ თავს: უნდა მოვკვდე. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან არ შემიძლია ეს დავიჯერო და შემიძლია ვიყო მხოლოდ სხვისი სიკვდილის მოწმე. მე ვნახე, როგორ კვდებიან ადამიანები. და არაერთხელ მინახავს, როგორ ტოვებდნენ სიცოცხლეს ძაღლები. როცა მათ შევეხე, აღვფრთოვანდი. ასეთ დროს ვფიქრობ ყვავილებზე, ღიმილზე, ქალებზე, რომლებიც ჩემში სურვილს აღვიძებენ, და ვხვდები, რომ ეს შიში სიკვდილის მიმართ განპირობებულია ჩემი ეჭვიანი სიყვარულით სიცოცხლის მიმართ. მე ვეჭვიანობ მათზე, რომლებიც იცხოვრებენ ჩემი სიკვდილის შემდეგ და რომელთათვისაც იარსებებს ყვავილები და ქალები. შურიანი ვარ, იმიტომ რომ ზედმეტად მიყვარს ცხოვრება, რათა არ ვიყო ეგოისტური. შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს გაიგებ: „ძლიერი ადამიანი ბრძანდებით, და მინდა, გულწრფელად გითხრათ: თქვენ მალე მოკვდებით“. შენ დაწვები ცხოვრებაზე მთელი ძალით მოჭიდებული, მთელი არსებით იგრძნობ შიშს და არაფრისმთქმელი მზერით ჩახედავ სიცარიელეს. ამასთან შედარებით რამდენად დიდია ყველაფერი!

მაგრამ ვფიქრობ, რომ ადამიანები კვდებიან საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ, იმ ყველაფრის საწინააღმდეგოდ, რითაც თავიანთ ბედს ალამაზებდნენ. მათ ეუბნებიან: „როდესაც შენ გამოჯანმრთელდები...“ — და ისინი კვდებიან. მე ეს არ მინდა. რადგან, თუ არის ისეთი დღე, როდესაც ბუნება ტყუის, არის ისეთი დღეც, როდესაც ის სიმართლეს ამბობს. ამ საღამოს ჯემილა სიმართლეს ამბობს, და რა დამაფრთხობელია ეს სილამაზე! მე არ მინდა, ვიტყუებოდე ამ სამყაროს წინაშე და არ მინდა, რომ მე მატყუებდნენ. მინდა, ბოლომდე ვატარებდე სიცხადის ამ ტვირთს და ვუყურებდე გარდაუვალობას მთელი ჩემი შეშლილი დამოკიდებულობით, შიშითა და ეჭვიანობით. მე იმდენად მეშინია სიკვდილის, რამდენადაც საკუთარ თავს გამოვყოფ სამყაროსგან; იმდენად, რამდენადაც ვუკავშირებ საკუთარ ბედს დანარჩენ მოკვდავთა ბედებს, იმის მაგივრად, რომ ვტკბებოდე მარადიული ცის თვალიერებით. ადამიანის შექმნა, რომელიც გაცნობიერებულად კვდება, — ნიშნავს შევამოკლოთ მანძილი, რომელიც გვყოფს სამყაროსგან და ფეხი უხალისოდ შევდგათ უსასრულო წრებრუნვაში, დატყვევებული არსებობის გაცნობიერებით; არსებობის, რომელიც ჩვენ სამუდამოდ უნდა დავკარგოთ. ჯემილას ბორცვების სევდიანი სიმღერის სმენისას ამ აზრებმა სულის სიღრმემდე ტკივილით შეაღწია.

საღამოსკენ იმ გზას ავყევით, რომელსაც სოფლისკენ მივყავდით, და დაბრუნებულებმა ახსნა-განმარტებები მოვისმინეთ: „აქ ისტორიული ქალაქია, იქით კი, ოდნავ მოშორებით — ქრისტიანული დასახლება. მოგვიანებით...“ ჰო, ეს მართლაც ასეა. აქ იცვლებოდა ხალხი, საზოგადოება, დამპყრობლებმა კვალი დატოვეს თავიანთი საღდაფონური ცივილიზაციით. მათ სასაცილო წარმოდგენები ჰქონდათ დიდებაზე და თავიანთი იმპერიის დიდებას დასახლებული სივრცის მასშტაბებით ზომავდნენ. მაგრამ საოცრება ისაა, რომ მათი ცივილიზაციის რუინები მათივე იდეალის პირდაპირი უარყოფაა. ვინაიდან ამ ქალაქს არ დარჩენოდა დიდების ნატამალიც კი. სამყარო ყოველთვის იმარჯვებს ისტორიაზე. მე მესმის პოეზია, რომელსაც გაქვავებული ჯემილა გადმოსცემს მთებს, ცასა და სიჩუმეს შორის: ეს ჭეშმარიტებისა და გულგრილობის პოეზიაა, ეს კი ნამდვილი ნიშანია სილამაზისა და იმედგაცრუების. გული მითრთის ამ დიდების წინაშე, რომლის დატოვებაც მოგვიწია. ჯემილა უკან რჩება თავის მოღუშულ, წყლოვან ცასთან ერთად, რჩება ფრინველებთან ერთად, რომელთა ჭიკჭიკიც პლატოს შორეული ნაწილიდან მოისმის. რჩებიან ჯემილაში თხებიც, პატარა ნაკადულებივით რომ ჩამოიქცევიან მთის კალთებზე. სამსხვერპლოს ფრონტონზე გამოსახული რქიანი ღვთაების ფონზე მათი ფიგურები ნაზ და ხმოვან ბინდს მოეცვა.

თარგმნა დიანა მიქელაძემ

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004